საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღა მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- —პოლონეთის არმიის მანევრები ლიტვის საზღვარზე. —ლიტვის პროტესტი.
- — ლიტვისა და ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირი.
- — საერთაშორისო კოოპერატიული კონგრესის დელეგატების მიტინგი სტოკჰოლმში.
- — ავსტრიელმა მენშევიკებმა ხელი აიღეს ივლისის ამბების დროს პოლიციის მოქმედების გამოძიებაზე.
- — კენიგსბერგის ბაზრობის გახსნა.
- — უნგრეთში გაფიცულია 30.000 მელითონე.
- — მუშების წამება პოლონეთის ოხრანკაში.
- — საქართველოში მოემგზავრება ამერიკის მუშათა დელეგაცია.

სამშაბათი, 23 აგვისტო 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 190 (1935)

თბილისის პარტაქტივის პასუხი ოპოზიციას

რეზოლიუცია გუშინ შეკრებილი თბილისის ორგანიზაციის აქტივისა, რომელმაც მოისმინა ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ, წარმოადგენს მრისხანე გაფრთხილებას, როგორც ოპოზიციისათვის საერთოდ, ისე მისი „ახალ-უკლონისტური" მიმდევრებისათვის საქართველოში.

მოსკოვის, ლენინგრადის, ბაქოსა და მთელ რიგ დიდ პარტიული ცენტრების შემდეგ, და მათთან სრული თანხმობით, თბილისის პროლეტარიატის პარტიულად შეკავშირებულ ნაწილის აქტივმაც სთქვა თავისი გადამწყვეტი სიტყვა იმ ბრძოლის შესახებ, რომელსაც ოპოზიცია აწარმოებს პარტიაში ტრადიციულად განმტკიცებული დისციპლინის უხეში გათელვით, პარტიის წინაშე მიცემულ დაპირებათა (1927 წ. 16 ოქტომბრის და 20 ნოემბრის) აბუჩად აგდებით და ფაქტიური გაუქმებით სწორედ იმ დროს, როდესაც საჭიროა პარტიისა და მთელი მუშათა კლასის ძალთა დარაზმვა შინაურ სიძნელეთა დასაძლევად და მოსალოდნელ გარეშე გართულებათა სათანადოთ შესახვედრად.

თბილისის ორგანიზაციის აქტივი სავსებით და მთლიანად უერთდება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და ც. ს. კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებებს ყველა საკითხებში, რომლებიც ამ პლენუმმა გაარჩია აქტივმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შინაპარტიულ მდგომარეობას, გაითვალისწინა ის საფრთხე, რომელსაც ოპოზიციონერები უმზადებენ პარტიას თავიანთი გამთიშველი მუშაობით, გაარჩია ამ მუშაობის ფაქტები, როგორც მთელი კავშირის, ისე საქართველოს მასშტაბით და მდგომარეობის სრული შეგნებითა და პასუხისმგებლობით სთქვა თავისი სიტყვა პარტიისა და ოპოზიციის გასაგონად.

აქტივმა გამოხატა გუშინ მთელი თბილისის და საქართველოს პარტიული მასის აღშფოთება ოპოზიციით, რომელიც ძველებურად ავრცელებს საიდუმლო დოკუმენტებს, აწყობს „საპეტიციო კამპანიას", და ეწევა საერთოდ საიდუმლო მუშაობას პარტიის მიერ დაგმობილი და უარყოფილი პლატფორმების ნიადაგზე, რომლებიც თითქმის ყველა საკითხებში წარმოადგენენ ოქტომბრის რევოლიუციისა და პარტიის მტრების შეხედულებათა უტიფარ განმეორებას.

მიუხედავად ხსენებული აღშფოთებისა, აქტივი მთელ პარტიასთან ერთად კიდევ ერთ გაფრთხილებას აძლევს იმ ამხანაგებს, რომლებიც ასცდენ სწორ ლენინურ ხაზს და დაექანენ პარტიის გამთიშავი გზით. პარტიას სურს შეინარჩუნოს—ის ამხანაგები, რომლებიც შეიგნებენ თავიანთი მუშაობის დამღუპველობას და დაუბრუნდებიან მის რიგებს.

აქტივის გადაწყვეტილება წარმოადგენს უკანასკნელ გაფრთხილებას ამ ამხანაგებისათვის და იმ შემთხვევაში, თუ ისინი მაინც არ შესდგებიან დროზე, დარჩებიან გარიყული პარტიული მასის მიერ და მისი ორგანიზაციის გარეშე. ეს სულისკვეთება პარტიული მასისა აშკარად და გადაჭრით გამოხატა გუშინ აქტივმა იმ ერთსულოვან პროტესტებში, რომლითაც ის შეხვდა ორიოდე თბილისელ გზააბნეულების გზააბნეულსავე გამოსვლას.

სრული უმწეობა და უბადრუკობა, სრული იზოლიაცია საერთოდ ოპოზიციისა და კერძოდ ჩვენებური „ახალ-უკლონისტებისა" სააშკარაოზე იქნა გუშინ გამოფენილი, როდესაც კრების გაჭედილი დარბაზიდან. თავმჯდომარემ მუყაითი ძებნის შემდეგ, ძლივს „ამოკრიბა" ცამეტი მორცხვათ აშვერილი ხელი რეზოლიუციის წინააღმდეგ.

შეიგნებენ თავიანთი დაცემისა და დამარცხების სიღრმეს ოპოზიცია და „ახალ-უკლონისტები"? თუ კი—ისინი დარჩებიან პარტიაში და მასთან ერთად გააგრძელებენ სოციალისტური მშენებლობის, ოქტომბრის რევოლიუციის საქმეს. თუ არა და—შეიქმნებიან კონტრრევოლიუციის კერძად. საბჭოთა სინამდვილეში, ოპოზიციონერებს, რამდენადაც ისინი არ ჩამოშორდებიან პოლიტიკურ ჩხირკედელაობას და გააგრძელებენ თავიანთ სპეციფიურ ხაზს პარტიიდან მოსალოდნელი გარიცხვის შემდეგ—სხვა გზა და სხვა გამოსავალი არა აქვთ.

პარტიის ერთსულოვანი სურვილია—და მან ამისთვის ყოველ ზომას მიმართა,—რომ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა არ განხორციელდეს.

რევოლიუციონურ გომინდანის ძალების თავმოყრა გონკონგში

ფიქრობენ, რომ სუნ-იატ-სენის ქვრივის მომხრეები ხელში ჩაიგდებენ გუანდუნს

ფინ-იუი-სიანის ჯარების შეტევა შანდუნში.—ჩინელ კომუნისტების აქტივობის გაძლიერება

„მატენ" მოქმედობს დეტერდინგის ჯგუფის კარნახით

მილიერანის ორგანოში დაბეჭდილია წერილი, რომელიც უტოპიურად თვლის მთლიანი ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნის ცდებს

ახალი ჯგუფი

შანხაი, 21 აგვისტო. უცხოეთის პრესა იუწყება, რომ გონკონგში თავი მოიყარა გომინდანელების დიდმა ჯგუფმა, რომელმაც კავშირი გასწყვიტა, როგორც ნანკინთან, ისე უხანთან და განზრახული აქვს პარტიის შიგნით ახალი ჯგუფის შექმნა. ჩან - კაი-შის და ტან-შენ-ჩის ეს ჯგუფი სთვლის ახალ მილიტარისტებათ, რომლებმაც უღალატეს გომინდანის იდეებს და ისახავენ მხოლოდ პირად მიზნებს. გონკონგის ჯგუფი ფიქრობს, რომ უხანი და ნანკინი კომუნისტების დევნით და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტით მოქმედებს სუნ-იატ-სენის ანდერძის წინააღმდეგ. ჯგუფს საჭიროთ მიაჩნია, რომ სუნ-იატ-სენის ქვრივი დაუბრუნდეს აქტიურ მუშაობას და ხელმძღვანელობა გაუწიოს პარტიას და ამასთან ერთად განზრახული აქვს ითანამშრომლოს ტან - ენ-დასთან.

აღნიშნული ჯგუფის წევრები მოგზაურობენ საგიტაციო მიზნებით გუანდუნის პროვინციაში და თავს უყრიან თავის მომხრეებს.

„ნორდ ჩაინა დეილი — ნიუსი" აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ამ ჯგუფმა ხელში ჩაიგდოს ძალა - უფლება გუანდუნის პროვინციაში, ვინაიდან ის შესდგება კანტონის მცხოვრებთაგან, რომლებიც იცნობენ მდგომარეობას. (ადს).

უჯაროთ

შანხაი, 21 აგვისტო. ნანკინის მთავრობის მიერ გუანდუნში სახელმწიფო თანამდებობაზე დაყენებული პირები სტოვებენ სამსახურს. მოხელეთა და მთავრობის წევრთა ოჯახის წევრები მიემგზავრებიან გონკონგში. კანტონში მოელიან ხო-ლუნის და ი-ე-ტინის ჯარებს, და იღებენ ზომებს ამ რაიონის გასამაგრებლათ, მაგრამ ამას აბრკოლებს ის გარემოება, რომ არც სვატოუში და არც ჩუაოჩოუში ჯარები არ მოიპოვება. (ადს).

ანგოციუნი ემზადება

შანხაი, 21 აგვისტო. იაპონიის ჟურნალისტებთან საუბრის დროს პეკინის პრემიერმა **პან-ფუმ** განაცხადა, რომ ანგოციუნი ენერგიულად ემზადება ფინ-იუი-სიანის ჯარებზე იერიშის მისატანად.

რეიტერის კორესპონდენტს საუბარი ქონდა ანგოციუნის წარმომადგენლებთან, რომლებმაც გამოსთქვეს იმედი, რომ სუნ-ჩუან-ფანი არ განიზრახავს მდინარე იანციციანის გადალახვას მანამ, სანამ არ უზრუნველყოფს ზურგს ფინ-იუი-სიანისაგან. (ადს).

ნაციონალისტების იმედები

შანხაი, 21 აგვისტო. ნაციონალისტების ზოგიერთ წრეებში აღნიშნავენ, რომ ჩან-კაი-შის გადადგომა ხელს შეუწყობს სამხედრო კამპანიის გაძლიერებას ჩრდილოელების წინააღმდეგ და სრულებით არ არის მოსალოდნელი შანხაის გადასვლა ისევ სუნ - ჩუან-ფანის ხელში. ამის დასამტკიცებლათ ნაციონალისტებს მოყავთ ცნობები ფინ - იუი-სიანის მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამაგრდა ხენანის პროვინციაში და შეუჩერებლივ მიიწევს აღმოსავლეთით, შანდუნისაკენ, ლუნხაის რკინის გზის ხაზით.

ეს გარემოება, აღნიშნული წრეების აზრით, ხელს შეუშლის სუნ - ჩუან-ფანის შანდუნის ჯარებს და ისინი ვერ მოახერხებენ სამხრეთით შორს წინ წაწევას. მაგრამ მეორე მხრივ, მიღებულია ცნობები, რომ ჩან-ძო-ლინი ძალებს აგროვებს ახალი შეტევისათვის. (ადს.)

ფინ-იუი-სიანის ჯარების შეტაკება

შანხაი, 21 აგვისტო. დაიწყო ფინ-იუი-სიანის ჯარების მოძრაობა აღმოსავლეთის მიმართულებით, რაც გოვენის სააგენტოს ცნობით, მიზნათ ისახავს შანდუნზე იერიშის მიტანას. ამავე დროს ჩან-ძო-ლინმა უბრძანა ფინტიანის დივიზიას, რომელიც დაბანაკებულია მუკდენში დაიძრას შანხაი-გუანის მიმართულებით. (ადს).

რეაქციონურ ძალების გაერთიანება

შანხაი, 21 აგვისტო. უხანის მთავრობის პოლიტიკური კურსის ცვლილების გამო, გენერლები იან-სენი და სია-ჩოო-ინი, რომლებიც თავის დროზე აჯანყდენ უხანის მთავრობის წინააღმდეგ, ამჟამად აწარმოებენ მოლაპარაკებას უხანის მთავრობის მხარეზე გადასვლის შესახებ (ადს).

სროლა აუტეხეს ინგლისის გამანადგურებელს

შანხაი, 21 აგვისტო. ჩინციანიდან 20 მილის დაშორებით ჩრდილოელთა ჯარების ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს ბრიტანეთის გამანადგურებელს. გამანადგურებლის საპასუხო სროლის შემდეგ ჩინელებმა სროლა შესწყვიტეს. (ადს).

ნანკინის მოლაპარაკება უხანთან

შანხაი, 22 აგვისტო. ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრი, რომელიც ნანკინის წარმომადგენლად დაინიშნა უხანთან მოლაპარაკებისათვის, ნანკინში გაემგზავრა. იქიდან იგი გაემგზავრება ცზიუ-ცზიანში, სადაც იგი შეხვდება უხანის სამოქალაქო და სამხედრო ბელადს. (ადს).

ყუმბარების დაშენა ვუჰუნისათვის

შანხაი, 21 აგვისტო. უცხოეთის პრესა იუწყება, რომ ვუჰუნთან (ნავთსადგური, რომელიც მდებარეობს იქ, სადაც იან-ცზი-ცზიანი ერთვის ოკეანეს), გამოჩნდა ჩრდილოელების ორი სამხედრო გემი, რომლებმაც რამოდენიმეჯერ ესროლეს ვუჰუნის სიმაგრეებს. ციხიდან საპასუხო სროლის შემდეგ გემები გაბრუნდენ; მათ ვუჰუნს ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენეს (ადს).

კომუნისტებმა აქტივობა გააძლიერეს

შანხაი, 21 აგვისტო. იაპონური გაზეთი „მაინიცი" სწერს, რომ უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით, კომუნისტებმა ისევ გააძლიერეს თავისი აქტივობა. გაზეთი ამტკიცებს, თითქოს შანხაის ჩინურ ნაწილში შესდგა რამოდენიმე ფარული კრება, რომელზედაც გადაწყდა ისევ მოეწყოს პროფკავშირთა გენერალური საბჭო, განთავისუფლებულ იქნენ ციხეში მყოფი კომუნისტები და „განადგურებულ იქნენ კონტრ-რევოლიუციონერები".

ჩინეთის პოლიცია ღებულობს ზომებს კომუნისტების აღმოსაჩენად და შესაძლებელ მღელვარების თავიდან ასაცილებლად (ადს).

კომუნისტების დევნა

შანხაი, 21 აგვისტო. ხანკოუს გაზეთები სავსეა ცნობებით, რომლებშიაც აღწერილია კომუნისტების დევნა.

გომინდანის უხანის ცეკამ დაავალა უხანის გარნიზონს ყურადღებით შეასრულოს ბრძანება ისეთ მასიურ ორგანიზაციების მოღვაწეობის აკრძალვის შესახებ, რომლების რეორგანიზაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა.

ხუბეის პროვინციალურ მთავრობის სახალხო განათლების განყოფილებამ განკარგულება გასცა, რათა ყველა სასკოლო, საზოგადოებრივ და კერძო წიგნთსაცავებში მოსპობილ იქნას ისეთი წიგნები, რომლებიც ეხებიან კომუნიზმის საკითხებს, ყურადღებით ედევნოს თვალყური მოწაფეებს და აღკვეთილ იქნას ყოველივე აგიტაცია გომინდანის წინააღმდეგ სტუდენტობის შორის.

უხანის მთავრობის შრომის სამინისტრომ სამხედრო მდგომარეობის გამო უკანონოდ გამოაცხადა ყოველგვარი გაფიცვები და იმუქრება რეპრესიებით.

„მატენ"—დეტერდინგის იარაღი

„ბერლინერ ტაგებლატ" აშკარავებს „მატენის" „მხილებათა ფასს"

ბერლინი, 21 აგვისტო. „ბერლინერ ტაგებლატი" „მატენის" „მხილებათა" შესახებ სწერს, რომ „მატენს" არ შეუძლია დაიწყოს არავითარი ანტი - საბჭოთა კამპანია, თუ „ანტი - ფრანგული შეთქმულების" სფეროში არ ჩაითრია გერმანიაც. რაც შეეხება გერმანელ მაიორს, იურგენს, რომელიც მოხსენებულია „მატენის" მიერ გამოქვეყნებულ ყალბ საბუთებში, გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად აცხადებს, რომ **გერმანიაში არ არის სრულიით ასეთი გვარის მქონე მაიორი.**

„არ ვფიქრობთ, — განაგრძობს გაზეთი — რომ **„მატენის" უბადრუკ გალაშქრებას აღფრთოვანებაში მოეყვანოს საფრანგეთის პოლიტიკის ხელმძღვანელები. უფრო დასაშვებია ვიფიქროთ, რომ „მატენის" მიერ დაწყებული კამპანია სინამდვილეში მიმართულია ნავთზე სახელმწიფო მონოპოლიის პროექტის წინააღმდეგ,** ვინაიდან ეს პროექტი გამოიწვევდა სახელმწიფოს მიერ საბჭოთა ნავთის დიდი მარაგის შეძენას. თუ ეს აზრი სწორია, მაშინ ცხადია „მატენი" ბოლოს და ბოლოს წარმოადგენს ფრანგულ სამოსელში გამოწყობილ დეტერდინგის არმიის ჯარისკაცს". (ადს.).

„მატენ" განაგრძობს ჭორიკაობას

პარიზი, 19 აგვისტო. ბურჟუაზიულ პრესაში გრძელდება ანტი - საბჭოთა კამპანია.

„მატენში" მოთავსებულია მეტად შეურიგებელი კილოთი დაწერილი ახალი წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ „მატენში" მოთავსებულ „საბუთების" სინამდვილის უარყოფას საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მიერ არავითარი ფასი არა აქვს.

ამ უარყოფას გაზეთი ადარებს „ზინოვიევის წერილის" სინამდვილის უარყოფას, იმ წერილის, რომელმაც, გაზეთის აზრით, „მაინც გამოიწვია მთავრობის შეცვლა ინგლისში".

გაზეთი აცხადებს, რომ მას აქვს საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ სამხედრო აგენტი ვოლკოვი ნამდვილად არსებობს და ამჟამად იმყოფება ბერლინში. შემდეგ გაზეთი ამტკიცებს, რომ მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები წარმოადგენდა სადისკუსიო მასალას იმ კამათში კომუნიზმთან ბრძოლის საკითხის გარშემო, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად გაიმართა მინისტრთა საბჭოში.

ამ კამპანიას მხარს უჭერენ მემარჯვენე მიმართულების გაზეთებიც.

სრულუფლებიან წარმომადგენლობის მიერ საბუთების სინამდვილის უარყოფა სრულიად მოათავსეს მხოლოდ „ვოლონტე"-მ და „ევრ"-მა.

კომპარტიის ორგანო **„ლიუმანიტე"** ეხება **საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ამ ახალ ცილისწამების კამპანიას და აცხადებს, რომ ამ კამპანიის სულის ჩამდგმელი არიან ნავთის წრეები და „დეტჩ შელლ კომპანი". გაზეთი მოუწოდებს მუშათა კლასს, ღირსეული პასუხი გასცენ ცილისწამების ახალ კამპანიას.** (ადს).

პოლონეთის ჯარები

ლიტვის საზღვრებზე

კოვნო, 21 აგვისტო. ლიტვის პრესას, ოფიციალური წყაროების თანახმად, მოჰყავს ცნობები პოლონეთის ჯარების მანევრების შესახებ პოლონეთ - ლიტვის სადემარკაციო ხაზის რაიონში. ლიტვის გაზეთების ცნობით, საარტილერიო სასწავლო სროლის შემდეგ სად. პოდბროდესთან პოლონეთის ლეგიონერთა დივიზია ამჟამად აწარმოებს პრაქტიკულ მანევრებს სვენციანი — დვინსკი—ვილნოს მიმართულებით. მანევრები გაგრძელდება დაახლოვებით 10 დღეს. მანევრების შემდეგ დივიზია დაბრუნდება თავის მუდმივ საბანაკო ადგილზე — ვილნოში. სასწავლო მოედანზე სად. პოდბროძესთან ჩავიდა პოლონეთის მე-19 ქვეითა დივიზია სამი ქვეითა ათასეულის შემადგენლობით. (ადს).

პოლონეთის აეროპლანები ლიტვას ტერიტორიაზე

კოვნო, 21 აგვისტო. ლიტვას მთავრობამ, ყველა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს დაუგზავნა ნოტები, რომელშიც ნათქვამია, რომ ლიტვას ტერიტორიაზედ კვლავ გაჩნდენ პოლონეთის აეროპლანები.

ნოტაში აღნიშნულია, რომ ლიტვას აეროპლანები დაედევნენ პოლონეთისას და სდევდენ სადემარკაციო ხაზამდე.

თბილისის პარტაქტივი

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

გუშინ, თბილისის ორგანიზაციის საქალაქო პარტაქტივის კრებაზე, რომელსაც დაესწრო 1000-ზე მეტი პარტიის წევრი. მოსმენილ იქნა ამხ. **მ. ორახელაშვილის** მოხსენება ცეკასა და ც. საკ. კომ. გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ. ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენება 3 საათზე მეტი გაგრძელდა. კრებამ მოიწონა ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმის გადაწყვეტილებები და შეუერთდა პლენუმის ყველა დადგენილებებს.

ადგილობრივ ოპოზიციის „ხელმძღვანელთა" გამოსვლამ, რომელნიც შეეცადენ „დაესაბუთებიათ" თავისი შეხედულებები, გამოიწვია პარტაქტივის კრების ღრმა აღშფოთება. დამსწრე ამხანაგებმა, განსაკუთრებით მუშებმა ნება არ მისცეს ოპოზიციის ორატორებს თავიანთ ასჯერ გადაღეჭილი ლათაიებით მოეცდინათ საქმიანი კრება. ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენების შემდეგ აქტივის კრებამ ერთსულოვნად, 13 ხმის წინააღმდეგ, მიიღო ქვემოდ მოთავსებული რეზოლიუცია, რომელიც სასტიკად ჰგმობს თავაშვებულ ადგილობრივ ოპოზიციონერებს და მოითხოვს მათდამი მკაცრი ზომების მიღებას თვით პარტიიდან გამორიცხვამდეც კი.

რეზოლიუცია

მოისმინა რა ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივი მთლიანად და სავსებით იწონებს პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს, რომლებიც სახავენ ერთადერთ სწორ ლენინურ გზას საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის საკითხებში.

უკანასკნელ ორ წელში განსაკუთრებით ნათლად გამოირკვა ძირითადი ტენდენცია საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაში, სახელდობრ საბჭოთა კავშირსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის ურთიერთობის თანდათან გამწვავების ტენდენცია. მიუხედავად მშვიდობიანობის პოლიტიკისა, რომელსაც ატარებს საბჭოთა კავშირი, ბურჟუაზია ენერგიულად ემზადება ომისათვის. აი რატომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა პლენუმის ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებებს საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტურ გამოლაშქრების საფრთხის მოახლოებასთან დაკავშირებით, აღმოსავლეთის რევოლიუციონურ მოძრაობის (კერძოდ ჩინეთის) სწორ ლენინურ ხელმძღვანელობის შესახებ. ოპოზიციის გამოსვლები და მათ მიერ წამოყენებული წინადადებები ყველა ამ საკითხების შესახებ ააშკარავებენ ტროცკიზმის სრულ იდეურ გაკოტრებას; განსაკუთრებით ოპოზიციის ის განცხადება, რომ მუშათა და გლეხთა მასები ვერ გაიგებენ მომავალ ომის მიზნებს და ხასიათს, წარმოადგენს ცილისწამების ჩმახვას, რომელსაც შეუძლია მხოლოდ შეასუსტოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმე და არევ-დარევა შეიტანოს საერთაშორისო პროლეტარიატის რიგებში, საბჭოთა კავშირის იმპერიალიზმისაგან დაცვის საქმეში.

აქტივი აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება ემყარება უწინარეს ყოვლისა სამეურნეო მშენებლობის საერთო ზრდას. ამ მხრივ პლენუმის მიერ მიღებულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც შეუძლია უზრუნველჰყონ სოციალისტურ მშენებლობის საჭირო ტემპი ჩვენს ქვეყანაში და კიდევ უფრო განამტკიცონ მუშათა კლასის კავშირი ღარიბ და საშუალო გლეხობის მასებთან. ცეკას სწორი ხელმძღვანელობით მიმდინარე სამეურნეო წელში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი სერიოზული მიღწევები, რომლებიც აძლიერებენ ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ სექტორს.

პლენუმმა გამოაშკარავა ოპოზიციის სრული დაბნეულობა, იდეური გაკოტრება სამეურნეო პოლიტიკის საკითხებში. განსაკუთრებით მის მიერ პოზიციების სრულიად დატოვება ფასების დაკლების საკითხში.

შინაპარტიულ დარგში—ჩვენი მთავარი ამოცანაა ლენინური მთლიანობისა და პარტიული რიგების ფოლადისებური დისციპლინის შენარჩუნება. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება, მიუხედავად პარტიის ცეკას მისწრაფებისა შეენარჩუნებია პარტიის მთლიანობა და მიეცა საშუალება ოპოზიციისათვის, რომ დაახლოვებოდა პარტიას, ოპოზიციამ, მიუხედავად 1926 წლის 16 ოქტომბრის განცხადებისა, კიდევ უფრო გაამწვავა ფრაქციული გამთიშავი მუშაობა საკავშირო კომპარტიაში და კომინტერნში (ზინოვიევის გამოსვლა უპარტიოთა კრებაზე, სმილგას „გაცილება", ორგანიზაციული კავშირი რუტ ფიშერის, მასლოვის და სხ. ჯგუფთან). მხოლოდ იმის შემდეგ, როცა პლენუმმა საფუძვლად მიიღო რეზოლიუცია ტროცკისა და ზინოვიევის ცეკას შემადგენლობიდან გამორიცხვის შესახებ, ოპოზიცია იძულებული გახდა აღიარებია თავისი შეცდომები (ქვეყნის თავდაცვის და „კლემანსოს" ტაქტიკის საკითხში, ტერმიდორის, კომინტერნიდან გამორიცხულ რუტ ფიშერის, მასლოვის და სხ. ჯგუფთან საორგანიზაციო კავშირის შეწყვეტისა და ფრაქციების დაშლის საკითხში). მაგრამ ოპოზიციის განცხადება, მისი ორჭოფობა ვერ აკმაყოფილებს პარტიას, იგი არ იძლევა მტკიცე გარანტიას იმისა, რომ ნამდვილად იქნება შეწყვეტილი ფრაქციული ბრძოლა ოპოზიციის მხრივ.

აქტივი ერთსულოვნად იწონებს გაფრთხილებას, რომელიც ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმმა მისცა ოპოზიციის ბელადებს და ამ გაფრთხილებას აქტივი უყურებს როგორც უკანასკნელს, რის შემდეგაც, თუ ოპოზიცია დაარღვევს თავის დაპირებას, პარტიამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს.

აქტივი გამოსთქვამს თავის აღშფოთებას ეგრედ წოდებულ „15"-ის პლატფორმის" წინააღმდეგ (საპრონოვი, ვ. მ. სმირნოვი და სხვ.), რომელიც თავისი შინაარსით უფრო ანტიპარტიულია, ვიდრე „პლატფორმა 83-ის", რომლებიც არსებითად ექანებიან აშკარა მენშევიზმისაკენ და სთვლის საჭიროდ ამ ანტიპარტიულ პლატფორმის ხელის მომწერთა მიმართ მიღებულ იქნეს პარტიული ზეგავლენის ზომები, პარტიიდან გამორიცხვამდე.

საქართველოს კომპარტიაში შექმნილი შინაპარტიული მდგომარეობა ხასიათდება აგრეთვე ოპოზიციონური ჯგუფების გამოცოცხლებით და მათი გადასვლით აშკარა ფრაქციულ მუშაობაზე.

ადგილობრივი ახალი უკლონისტური ოპოზიცია, არ კმაყოფილდებოდა რა პარტიული წესდების ჩარჩოებით, მიუხედავად ოპოზიციის ხელმძღვანელთა განცხადებისა 1926 წლის 20 ნოემბრიდან, აგრძელებდა ფრაქციულ-გამთიშავ მუშაობას, რომელმაც ზოგიერთ შემთხვევაში მიიღო მახინჯი ფორმები (არალეგალურ გზით, ფრაქციონულ დოკუმენტების გავრცელება, ჯგუფურ-არალეგალურ კრებების მოწვევა, აგენტების გაგზავნა მაზრებში და სხვა).

აქტივის კრება ღრმა აღშფოთების გრძნობით აღნიშნავს, რომ ადგილობრივ ოპოზიციის ხელმძღვანელებს დღემდე, არა თუ უარუყვიათ თავისი არასწორი და შეცდომითი პრინციპიალური შეხედულებები, აგრეთვე დაარღვიეს პარტიისადმი მიცემული დაპირება ფრაქციონულ-გამთიშავ მუშაობის შეწყვეტის შესახებ. ამისათვის, აქტივის კრება მთელ თბილისის ორგანიზაციის სახელით მოითხოვს, რომ ადგილობრივ ოპოზიციის ხელმძღვანელებმა ან ყოველგვარი პირობის გარეშე აღიარონ თავისი შეცდომები და უარჰყონ ფრაქციული გამთიშავი მოქმედება პარტიის წინააღმდეგ; უსიტყვოდ დაემორჩილონ და გაატარონ ცხოვრებაში პარტიის, ხელმძღვანელ როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანოების დადგენილებები, ან, იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ არ იქნება შესრულებული პარტიისათვის საჭირო გარანტია, მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები პარტიიდან გამორიცხვამდე იმ გამოუსწორებელ ფრაქციონერ-უკლონისტების მიმართ, რომლებიც ექანებიან ქართულ ნაციონალიზმის და მენშევიზმის პოზიციებისაკენ.

აქტივი სთხოვს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმს განიხილოს შინაპარტიული მდგომარეობა და მიიღოს ყველა აუცილებელი ზომები თავაშვებული ადგილობრივი ოპოზიციონერების ჯგუფის ასალაგმავად, მათი ფრაქციის დაუყოვნებლივ დაშლისათვის და ამით უზრუნველყოს ნორმალური პირობები სოციალისტური აღმშენებლობის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისა და პარტიის ლენინური მთლიანობის შენარჩუნების საქმეში.

თბილისის ორგანიზაცია, განაგრძობს რა შინაპარტიული დემოკრატიის განვითარებისა და განმტკიცების კურსს, პარტიის ბოლშევიკურ მთლიანობის საფუძველზე, მჭიდროდ დარაზმული პარტიის ლენინური ცეკას ირგვლივ სათანადო პასუხს გასცემს პარტიული მასიდან მოწყვეტილ ოპოზიციონერების ჯგუფს და მთელ პარტიასთან ერთად მთლიანი ლენინური რიგებით მივა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამდე.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას!

ძველი „ნაცადი" გზით

(კოოპერატიული ალიანსის კონგრესის გამო)

ამ დღეებში სტოკჰოლმში დასრულებულმა საერთაშორისო კოოპერატიული გაერთიანების (ალიანსის) კონგრესმა სრულიად გაამართლა ის იმედები, რომლებსაც ამყარებდენ მასზე ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია. როგორც ცნობილია, ალიანსი აერთიანებს თავის რიგებში სხვადასხვა მიმდინარეობათა კოოპერაციას (დაწყებული ბურჟუაზიულიდან და გათავებული საბჭოთა კოოპერაციით) წევრთა საერთო რიცხვით ორმოც და ათ მილიონ კაცამდე. თვით ალიანსში და მის ხელმძღვანელ სფეროებში გამეფებულია უკიდურესი რეფორმიზმის სული, რომელსაც ვერ წარმოუდგენია, როგორც საერთო ცხოვრების, ისე კოოპერატიული ცხოვრების განვითარება არსებულ კაპიტალისტური წესწყობილების ჩარჩოების გარეშე და ამიტომ ამ გაერთიანებიდან იდევნება ყოველივე ცდა არა თუ ამ გენერალური ხაზის შეცვლის, არამედ აქედან თვით უმნიშვნელო „გადახრისაც" რევოლიუციონური შემეცნების თვალსაზრისით. ალიანსის ხელმძღვანელების თეორიასა და პრაქტიკას ფლობს სავსებით ყბადაღებული „ნეიტრალობის" (ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ბურჟუაზიულ, რეფორმისტულ და რევოლიუციონურ პარტიათა შორის, რეფორმისტულ ყვითელ და რევოლიუციონურ პროფკავშირების შორის) პრინციპი, რომელიც **არსებითად, საქმით** უქვემდებარებს ალიანსის „პოლიტიკას", მთელ მის მუშაობას, სწორედ ბურჟუაზიულ და სწორედ რეფორმისტულ ძლიერ ზეგავლენას. ის რომ ყვირილი „ნეიტრალიტეტის" შესახებ, რომლითაც ალიანსის ხელმძღვანელები ეგებებიან ყოველი ახალ სიოს ქროლვას ალიანსის რიგებში, არის მხოლოდ ფარდა, რომელიც მოხერხებულად ახვევს ბუნდოვანი „სიტყვიერების" ბურუსში აშკარად არა-ნეიტრალიტეტის, ბურჟუაზიულ და რეფორმისტულ პარტიებისადმი დაქვემდებარების. ფაქტიურად დაქვემდებარების მუშაობის მეთოდებსა და მთელ ამ მუშაობას.

საჭიროა ეს ზემოთქმული ვიქონიოთ მხედველობაში, როდესაც ვიხილავთ ალიანსის მეთერთმეტე კონგრესის შედეგებს.

რა პირობებში მოუხდა მუშაობა კონგრესს?

დღევანდელი მომენტი ხასიათდება ბურჟუაზიის თავშეუკავებელი ეკონომიური და პოლიტიკური იერიშებით პროლეტარიატის წინააღმდეგ. წარმოების ბურჟუაზიული რაციონალიზაცია მიდის სამუშაო დღის გადიდების და ხელფასის იმდენად ძირს დაქანების ხაზით, რომ ის ემუქრება საერთოთ არსებულ მქლე ცხოვრების „სტანდარდს" (დონეს)—ეს წარმოების სფეროში. მაგრამ ბურჟუაზიის საბაჟო პოლიტიკა, რომელიც შედეგად იძლევა პირველი მოთხოვნილების საქონლის ხელოვნურ გაძვირებას, ცეცხლზე კიდევ მდუღარეს ასხამს და აუტანელ მდგომარეობას ქმნის ყველა მომხმარებლებისა და, რასაკვირველია, პირველ რიგში, ისედაც დაზარალებულ მუშათა მასიურ მომხმარებლისათვის. ეს ეკონომიურად.

ხოლო ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ფაშისტების თარეში, რომელიც კერძოთ უშუალო საბაბი შეიქნა ამას წინათ ავსტრიის პროლეტარიატის აჯანყების,—ეს თარეში დღის წესრიგში აყენებს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (სადაც ეს ჯერ მიღწეული არ არის) ფაშისტების ფორმალურადაც გაბატონების საკითხს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სფეროში.

დღევანდელი მომენტის უაღრესად დამახასიათებელია მოახლოებული ომის საფრთხე და პირველ რიგში ომის საფრთხე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დამახასიათებელია აგრეთვე იმპერიალისტების ინტერვენცია ჩინეთში და კრიზისი ჩინეთის რევოლიუციაში. ამას მივუმატოთ ბრძოლა საერთაშორისო მუშათა სოლიდარობისათვის, ბრძოლა ერთიანი ფრონტისათვის, რომლის საკითხი დიდი შეხლა-შემოხლის საგანი ხდება მუშურ ორგანიზაციების კონგრესებზე, რომ წარმოვიდგინოთ საერთოთ ის პირობები, რომელშიც შეიკრიბა სტოკჰოლმში საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის მეთორმეტე ყრილობა.

ყრილობამ მოისმინა ალიანსის აღმასკომის მოხსენება, მოხსენება სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის დამოკიდებულების შესახებ და, გაარჩია საკითხი ომის შესახებ. ყველა ამ საკითხებში საბჭოთა დელეგაციამ დაუპირდაპირა თავისი თვალსაზრისი ალიანსის ხელმძღვანელების შეხედულებებს.

პირველი შეტაკება მოხდა აღმასკომის მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დროს. ჩვენი დელეგაცია სასტიკად ილაშქრებდა „ნეიტრალიტეტის" პრინციპის წინააღმდეგ. ის ბრალს სდებდა ალიანსის ხელმძღვანელებს იმაში, რომ „ნეიტრალიტეტის" პოლიტიკით ყოველთვის სარგებლობს ბურჟუაზია და ფაქტიურად ეს უკანასკნელი იმორჩილებს კოოპერაციას კაპიტალისტურ ქვეყნებში. ბურჟუაზიამ შესძლო ის, რომ არ არსებობს არავითარი თანამშრომლობა მომხმარებელ კოოპერაციისა და პროფკავშირებს შორის, თანამშრომლობა, რომელიც ასე საჭიროა დღეს კაპიტალის შემოტევის ხანაში. „ნეიტრალიტეტის" პოლიტიკას უნდა მიეწეროს მაგალითად ის, რომ ინგლისის კოოპერატიულმა გაერთიანებამ არავითარი დახმარება არ გაუწია ინგლისის მუშებს ჯერ საერთო და შემდეგ მემაღაროეთა გაფიცვის დროს. ბურჟუაზიამ შესძლო „ნეიტრალიტეტის" მომიზეზებით ჩაეშალა ალიანსის გადაწყვეტილება, რომელიც მან გამოიტანა 1924 წელს თავის კონგრესზე ქ. გენტში იმის შესახებ, რომ აღმასკომს ემუშავა ორივე საერთაშორისო პროფესიონალურ გაერთიანებებთან (ამსტერდამი და პროფინტერნი) თანხმობით. ჩვენი დელეგაცია მოითხოვდა ალიანსის ახალი პროგრამის შედგენას ამ საერთაშორისო პროფორგანიზაციების მონაწილეობით. „ნეიტრალიტეტის" მიტოვებას და კლასთა ბრძოლის პრინციპების აღიარებას თავის მომავალ მუშაობაში. კონგრესმა უარყო საბჭოთა დელეგაციის თვალსაზრისი და წინადადება. მან თავის რეზოლიუციაში აღმასკომის მოხსენების გარშემო გაილაშქრა პირიქით კომუნისტების პროპაგანდის წინააღმდეგ ალიანსში და მით დაადასტურა ბურჟუაზიის საერთაშორისო კამპანია ამ პროპაგანდის წინააღმდეგ. დაბოლოს კონგრესმა მიიღო ალბერტ ტომას წინადადება, რომლის თანახმად უნდა „შემუშავდეს" და „შესწავლილ" იქნას ალიანსის პროგრამა. რა მიმართულებით? ყოველ შემთხვევაში არა იმ თვალსაზრისით, რომელიც წამოაყენა ჩვენმა დელეგაციამ და რომელიც უარყოფილ იქნა. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ჩვენი დელეგაციის თვალსაზრისის უარყოფის შემდეგ იძულებით მიღებული გადაწყვეტილება „პროგრამის" შესწავლის შესახებ დარჩება „ისევ იმავე ადგილას", ე.-ი. ამ „შესწავლასაც" საბოტაჟი მოელის ალიანსის დღევანდელი მესვეურებისაგან.

საკითხში სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის შორის დამოკიდებულების შესახებ, შვეციის კოოპერაციის წარმომადგენელი, რომელიც სათანადო მოხსენებით გამოვიდა კონგრესზე, უტრიალებდა იმ პრობლემას, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ უშუალოდ—შუამავალთა გარეშე—შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და როგორმე შევეცადოთ მოვსპოთ ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს სოფლელ მწარმოებელს (გლეხის) და მომხმარებელ მუშის შორისო. შუამავლის მომხრე ვინ იქნება? მაგრამ მოხსენებაში ტარდება ის აზრი თითქოს **კაპიტალისტური ურთიერთობის პირობებში** შესაძლებელია მწარმოებელ გლეხისა და მომხმარებელ მუშის ინტერესების შერიგება. ჩვენი დელეგაციის დებულება იმის შესახებ, რომ ეს მხოლოდ საბჭოთა სისტემის სინამდვილეში შეიძლება მოხერხდეს, რასაკვირველია, უარყოფილ იქნა, რადგან ეს დებულება **გამოდის** „კაპიტალიზმში შეზრდის" თეორიის და პრაქტიკის ფარგლებიდან. ამ საკითხშიც ალიანსმა არ უმტყუნა თავს და გაქვავდა თავის ტრადიციულ პოზიციაზე.

ომის საკითხში ჩვენ დელეგაციას, თუმცა რამოდენიმე შენიშვნის გაკეთებით, მოუხდა მხარი დაეჭირა ინგლისის დელეგაციის წინადადებისათვის საერთოთ. ინგლისის რეზოლიუცია არ არის მოკლებული, რასაკვირველია, პაციფისტურ შინაარს. ომი არღვევს ხალხთა შორის მშვიდობიანობას და თანამშრომლობას, ის აფერხებს კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობასაც, ამიტომ შევებრძოლოთ ომსო. რეზოლიუციაში, რომლის პროექტიც დაურიგეს დელეგატებს, ინგლისელები ასეთ დასკვნას უკეთებენ თავიანთ წინადადებას: „იღებს რა მხედველობაში, რომ ომის გავლენა გამანადგურებელი იქნება ყოველ მხრივ და რომ კოოპერატიული მოძრაობის ინტერესებისათვის აუცილებელია ომიანობა მოისპოს და ხალხთა მთელი გავლენა ამუშავდეს მშვიდობიანობის სასარგებლოდ.—კონგრესი, საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის ტრადიციული სამშვიდობო პოლიტიკის თანახმად, მოუწოდებს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციას გადაჭრით გამოაცხადონ თავისი თავი ომის მოწინააღმდეგეებად. განუცხადონ მთელ მსოფლიოს და მთავრობებს, რომ მტრულად იქნებიან განწყობილნი ყოველ მათ (მთავრობების) ეკონომიური და სამხედრო პოლიტიკისადმი, რომელიც კი იწვევს ომს ანდა აბრკოლებს კოოპერაციის პროგრამის განხორციელებას. კონგრესი მოუწოდებს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს მზად იყვნენ, რათა მათი იდეალების შეუფერხებელი განვითარების მიზნით აბსოლიუტური წინააღმდეგობა გაუწიონ ომის გამოცხადებას და ომის წარმოებას".

საბჭოთა დელეგაციამ დაუჭირა რა საერთოთ მხარი რეზოლიუციას, შეიტანა იქ შესწორებები, რომლებიც მოითხოვენ ომის წინააღმდეგ მებრძოლი მუშებისათვის მხარის დაჭერას, საერთო გაფიცვის გამოცხადებას და სამხედრო კრედიტებზე უარის თქმას, რათა არ განმეორდეს 1914 წლის ამბები.

კონგრესმა უარყო ჩვენი დელეგაციის კონკრეტიული ზომები ომის წინააღმდეგ. კონგრესმა გერმანელების დელეგაციის მოთხოვნით მოხსნა ინგლისელების რეზოლიუციის დასასრული და მის მაგიერ აღიარა, რომ წინააღმდეგობა გაეწიოს ომს **მხოლოდ კანონიერ** მეთოდებით და საშუალებებით. კანონიერი მეთოდებით... ე. ი. იმ მეთოდებით, რომელსაც სცნობს ბურჟუაზიული სახელმწიფოს (ომის დამწყებ სახელმწიფოს) **კანონი.**

აქ კომენტარიები ზედმეტია. საერთაშორისო რეფორმიზმი კვლავ ამზადებს ახალ ღალატს თუ ეს მას ამხედრებულმა მუშათა მასებმა არ ჩაამწარეს.

ალიანსის ხელმძღვანელი ცენტრის არჩევის შემდეგ (რომელშიც შედიან საბჭოთა დელეგატებიც) დაიხურა კონგრესი. ამნაირად ალიანსი კვლავ განაგრძობს თავისი ტრადიციული გზით სვლას. საჭიროა მაგარი მუჯლუგუნი რევოლიუციონური პროლეტარიატის, რომ ის დადგეს კლასთა ბრძოლის და პროლეტარიატის განმანთავისუფლებელი მოძრაობის გზაზე.

უნგრეთელ მელითონეთა გაფიცვა

30.000 გაფიცული

ვენა, 21 აგვისტო. ბუდაპეშტის პროფკავშირთა კომისიამ და მელითონეთა კავშირის გამგეობამ დაადგინეს განაახლონ მუშაობა 22 აგვისტომდე, როდესაც უნდა შესდგეს მელითონეთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი გაფიცვის შესახებ. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, **ბუდაპეშტის ყველა ის წარმოებები, სადაც სწარმოებს ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის, 19 აგვისტოს არ მუშაობდენ.**

ამჟამად გაფიცულია სულ 17.000 კაცი. ამ რიცხვში არ შედიან ბევრი წარმოებების მუშები, რომლებმაც მუშაობას თავი გაანებეს გაფიცვის ფორმალურად გამოუცხადებლათ.

საერთოდ, ხელფასის მომატებისათვის ბრძოლაში ჩაბმულია უკვე 30.000 მელითონე. მექარხნეთა კავშირი მოითხოვს მთავრობისაგან ენერგიული ზომების მიღებას. **პოლიციას განზრახული აქვს ძალით შეაჩეროს საგაფიცვო მოძრაობა.**

სოციალ - დემოკრატების დეპუტატმა კაბოკმა განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ გაფიცვა, როგორც სჩანს, დიდხანს გაგრძელდებაო. (ადს.).

დიდი მიტინგი

სტოკჰოლმი, 21 აგვისტო. კომუნისტურმა „სტოკჰოლმის მუშათა კომუნამ" გამართა გრანდიოზული მიტინგი, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდენ კოოპერატიული ალიანსის საერთაშორისო ყრილობის დელეგატები **ბიტტელი** (გერმანია), **რონნი** (ჩრდილოეთ ამ. შეერთ. შტ.) და **ბერტა შური** (კომინტერნის აღმასკომის საერთაშ. ქალთა სამდივნო). ორატორებმა თავიანთ სიტყვებში ხაზი გაუსვეს დამთავრებულ ყრილობის მნიშვნელობას და აღნიშნეს, რომ საერთაშორისო კოოპერატიულ ყრილობაზე პირველად გარკვევით გამოაშკარავდა წინააღმდეგობა რევოლიუციონურ და რეფორმისტულ მიმდინარეობათა შორის. შემდეგ ორატორებმა ხაზი გაუსვეს იმ უდიდეს მნიშვნელობას, რომელიც აქვს კოოპერაციის კავშირს მუშათა მოძრაობასთან და მოუწოდეს შვეციის მუშებს შექმნან ნამდვილად პროლეტარული კოოპერაცია. ყველა ორატორების სიტყვებს მიტინგის მონაწილენი მქუხარე ოვაციებით შეხვდენ (ადს).

საბჭოთა პრესა

ოპოზიცია და პარტდისციპლინა

ყოველი პარტიისათვის, მით უმეტეს ჩვენი პარტიისათვის და განსაკუთრებით დღეს საჭირო დისციპლინის სისტემატიური დარღვევით ისახელა თავი ოპოზიციამ. ველარაფერი მას ვერ აკავებს ამ გზაზე. ვეღარც პარტიის სახელოვანი ტრადიცია, განმტკიცებული სამი რევოლიუციის მანძილზე დიდი ბელადის ხელმძღვანელობით, ვერც ის, რომ ერთი ძირითადი უჯრედიც კი ჩვენი პარტიისა არ სდგას მთლიანად მის მხარეზე და ამნაირად ოპოზიცია გარიყული რჩება პარტიული მასებისაგან, ვერ აჩერებს მას საკუთარი დაპირებაც (16 ოქტ. 1926 წ. დეკლარაცია). ასე ფეხასხლეტილივით მისცურავდა ოპოზიცია უფსკრულისაკენ, როდესაც შესდგა უკანასკნელი პლენუმი ცენტრალური კომიტეტის და ც. ს. კომისიის. პარტიამ მას საშუალება მისცა შეჩერებულიყო. ხვალინდელი დღე გვიჩვენებს, რამდენად ხანგრძლივი გამოდგა ეს. შეჩერება კი უაღრესად საჭიროა როგორც პარტიისათვის, ისე თვით ოპოზიციისათვის, თუ ის დაკარგულად არა სცნობს თავს პროლეტარული რევოლიუციისათვის. ვინაიდან პარტია ვერ გაჰყვება ოპოზიციის გზას, რადგან ეს იქნებოდა დასამარება როგორც პარტიის, ისე რევოლიუციის.

მოსკოვის **„იზვესტია"** სწერს:

„პარტიას რომ დაეშვა დაუსრულებელი დისკუსია იმ საკითხებზე, რომლებიც უკვე გადაჭრილია ერთხელ მის მიერ, ის დადგებოდა, როგორც ეს არა ერთხელ იყო ნათქვამი, საფრთხის წინაშე, რომ მუშური ორგანიზაციიდან, რომელიც რევოლიუციონურ მოქმედებაშია ჩართული, ის გადაქცეულიყო ინტელიგენტების სადისკუსიო კლუბად.

მას რომ უფლება მიენიჭებია თავისი წევრებისათვის, დამორჩილებოდნენ მის გარდაწყვეტილებებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ეთანხმებიან ამ გადაწყვეტილებებს,—პარტია აღარ იქნებოდა მებრძოლთა რკინის არმია, ის აღარ იქნებოდა შემჭიდროებული რიგების მქონე ლენინის პარტია. კიდევ მეტი: ის აუცილებლად გახდებოდა იმავე საბრალო და ვიწრო ხასიათის პატივმოყვარეობის ბრძოლის ასპარეზად, რომლითაც მდიდარია ბურჟუაზიული პარტიებისა და ჯგუფების ურთიერთშორის დამოკიდებულება. მაშინ ფართოდ გაიხსნებოდა პარტიაში კარები შანტაჟის და პარტიის დაშინებას უპასუხისმგებლო პირებისა და ჯგუფების მხრივ. ხან ერთი, ხან მეორე პარტიის წევრი, რომელიც გავლენით იქნებოდა მოსილი წარსული დამსახურებათა გამო პარტიისა და რევოლიუციის წინაშე, წარუდგენდნენ პარტიას ულტიმატუმებს ულტიმატუმებზე. ხან ფარულად, ხან კი ცოტად თუ ბევრად აშკარად ისინი წარუდგენდნენ პარტიის მოთხოვნას, რომ მას გაეუქმებია ოპოზიციონერებისათვის არა სასიამოვნო გადაწყვეტილებანი და უზრუნველ ეყო მათთვის ესა თუ ის გავლენიანი მდგომარეობა. მათი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლად ისინი არა თუ გაატარებდნენ ცხოვრებაში პარტიის გადაწყვეტილებებს, არამედ ბოლოს და ბოლოს აღარც იმის წინაშე დაიხევდნენ უკან, რომ მთელი მათ განკარგულებაში მყოფი საშუალებებით სახელი გაეტეხათ პარტიული ხელმძღვანელობისათვის თუ გინდ ამ უკანასკნელის მხარეზე ყოფილიყო პარტიის უდიდესი უმრავლესობა. და ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ ასეთ მუშაობას მოჰყვებოდა დამღუპველი შედეგები და მას თანაგრძნობით შეხვდებოდნენ ყველა „შეურაცხყოფილნი" და ამ „პარტიის ხელისუფლებით უკმაყოფილონი".

განა ჩვენ ცოტა მოგვეპოვება იმის მაგალითი, რომ უკვე ასე ეგებებოდნენ დღემდე ხსენებული ელემენტები ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობას?

ლიტვა და ლატვია

კოვნო, 21 აგვისტო, ლიტვის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა ცელენსისა და ვოლდემარასის შეხვედრის შესახებ.

„ლიტვისა და ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ითათბირეს პოლიტიკისა და ეკონომიკის ყველა საკითხებზე. თათბირზე დამტკიცდა, რომ ორივე მთავრობას შორის არსებობს სრული თანხმობა ლატვია — ლიტვის ურთიერთ დამოკიდებულების საკითხებში. საბოლოოდ მიღწეულია შეთანხმება სამეგობრო, საარბიტრაჟო, სავაჭრო ხელშეკრულებებისა და მთელ რიგ სხვა შეთანხმებების ძირითად პრინციპებში. როგორც სჩანს, შეთანხმებებზე ხელის მოწერა მოხდება უახლოეს ხანში. იმ მიზნით, რომ ორივე ქვეყანამ შესძლოს შეთანხმებული პოლიტიკის წარმოება, მინისტრებმა გადასწყვიტეს მიაწოდონ ერთი - მეორეს ცნობები ამ ორივე სახელმწიფოს პოლიტიკური ნაბიჯების შესახებ. ამ მიზნით გადაწყდა პერიოდული შეხვედრების მოწყობა ლიტვისა და ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის". (ადს.).

ოხრანკის მხეცობა

ვარშავა, 21 აგვისტო. „რაბოტნიკი" აქვეყნებს ორი მუშის ღია წერილს, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ გროდნოს ოხრანკის მიერ და რომლებსაც ბრალდებოდა მონაწილეობის მიღება კომუნისტურ მოძრაობაში. ოხრანკაში დაპატიმრებული მუშები მხეცურათ აწამეს: **ცხვირში უსხამდენ წყალს, სცემდენ ჯოხებით და ნელნელა ახრჩობდნენ. ასეთი წამებით ოხრანკას უნდოდა გამოეტეხა მუშები იმაში, რომ ისინი კომუნისტები არიან.** (ადს).

ღამის ცნობები

გომინდანის ცეკას პოლიტბიუროს დეკლარაცია

შანხაი, 22 აგვისტო. იაპონიის სააგენტო ტოხო აქვეყნებს გომინდანის უხანის ცეკას პოლიტბიუროს დეკლარაციის შინაარს: „იმის გამო, რომ ნანკინის ჯგუფის სამხედრო ბელადებმა ჩან-კაი-შის გადადგომის შემდეგ უხანს მიმართეს თხოვნით, რომ ეროვნული მთავრობა გადატანილ იქნას ნანკინში,—ნათქვამია დეკლარაციაში,—უხანის მთავრობამ გადასწყვიტა შეცვალოს გომინდანის ცეკას და მთავრობის სამყოფი ადგილი. ამის გამო ჩვენ საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ მთელი რიგი მნიშვნელოვან მოსაზრებათა, რომელნიც უნდა ახსოვდეთ გომინდანის წევრთ: გომინდანის გაყოფა ორ პარტიათ მეტად სამწუხაროა, ვინც ეთანხმება ამ თვალსაზრისს, მომავალში მტკიცედ უნდა დაიცვას პარტიის მიერ დაწესებული წესები და არ განიმეოროს ანალოგიური შეცდომები; იმპერიალისტებმა ისარგებლეს გომინდანის გათიშვით და გაგზავნეს ჯარები შანდუნში და ჩრდილოეთ ჩინეთის სხვა პუნქტებში, რის შედეგიც არის ის, რომ დაღუპვის გზაზე შემდგარი ჩან-ძო-ლინი, სუნ-ჩუან-ფანი, და ჩან-ცზუნ-ჩანი კვლავ იკრებენ ძალებს და მტკიცდებიან. ეს უდიდესი ხელის შეშლაა რევოლიუციონური მოძრაობისათვის. ამის გამო, ჩვენი უპირველესი მოვალეობა პარტიის გაერთიანების შემდეგ იქნება წინააღმდეგობის გაწევა იმპერიალისტების შემოჭრისათვის და ჩინეთის გაწმენდა აქ დარჩენილი იმპერიალისტებისაგან; რამდენადაც ჩინეთში დარჩენილი კომუნისტები იმალებიან სხვადასხვა ადგილას და ელიან ხელსაყრელ შემთხვევას გამოსვლისათვის, ჩვენ მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა მივიღოთ; განსვენებული სუნ-იატ-სენი გამოსთქვამდა სურვილს, რომ ჩვენ ჩავდგომოდით ჩვენი ქვეყნის მმართველობის სათავეში. ამ სურვილის განხორციელებისათვის ჩვენ პირველ რიგში გვესაჭიროება არმიების მმართველობა. სამხედრო ძალა უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ პარტიის მიზნების მისაღწევად, არმიები უნდა გადაეცეს პარტიას და მის ბრძანებას უნდა დაემორჩილონ. ვინაიდან მეორეს მხრით პარტიის დამორჩილება სამხედრო ბელადებისადმი ფაქტიურად იწვევს ახალი მილიტარისტების შექმნას, ამიტომ ასეთ წესს მომავალში უნდა გაურბოდეთ“. (ადს).

უცხოელთა საკუთრების გარანტია

შანხაი, 22 აგვისტო. ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა იაპონიის კონსულს შანხაიში გადასცა წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მთავრობა იძლევა შანდუნის პროვინციაში მცხოვრებ იაპონელ მოქალაქეთა სიცოცხლის და საკუთრების დაცვის გარანტიას, როგორც ფიქრობენ, ეს წერილობითი გარანტია შედეგი არის იმ მოლაპარაკებისა, რომელიც სწარმოებდა ნანკინის გარეშე საქმეთა მინისტრისა და იაპონიის ელჩ იოშიზავას შორის, ამ უკანასკნელის პეკინში ყოფნის დროს. (ადს).

მუშები მოითხოვენ დელეგაციის გაგზავნას

ბერლინი, 19 აგვისტო. ჟურნალი „დიეინ-ხეიტი“ იუწყება, რომ ჟურნალის 5 მკითხველმა მხოლოდ 4 დღის განმავლობაში ბერლინში შეაგროვა 1760 ხელისმომწერი იმ განცხადებაზე, რომელიც მოითხოვს მუშათა მესამე დელეგაციის გაგზავნას საბჭოთა კავშირში ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე და საბჭოთა კავშირისადმი ხოლიდარობის კამპანიის მოწყობას გერმანიაში. (ადს).

საკოსა და ვანცეტის დასჯის წინ

ტოკიო, 22 აგვისტო. ვინაიდან იზრდება მუშათა მასების აღშფოთება საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, შეერთებული შტატების საელჩოს ტოკიოში იცავს პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი. გუშინ მასიურ საპროტესტო დემონსტრაციის დროს შეერთ. შტატების საელჩოსთან დაპატიმრეს 30 დემონსტრანტი. გუშინდელი დღის განმავლობაში შეერთ. შტატების საელჩოში მიღებულ იქნა 50 საპროტესტო რეზოლიუცია. გარდა ამისა, საელჩო იღებს წერილებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ თუ განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი შეერთ. შტატების საელჩოში გადაგდებულ იქნება ყუმბარა. (ადს).

ბაი ცზუნ-ჩის გამარჯვება

შანხაი, 22 აგვისტო. ყველაფრით მტკიცდება, რომ გენერლების ბრძოლაში ხელისუფლებისა და შანხაის დაპყრობისათვის, გამარჯვება მოიპოვა ბაი ცზუნ-ჩიმ. დღეს გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ ბაი ცზუნ-ჩი დანიშნულია შანხაის თავდაცვის უფროსად, ამასთანავე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ბაი-ცზუნ-ჩი შანხაის რაიონში არის „უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება“. (ადს).

ამერიკის მუშათა დელეგაცია საქართველოში

მოსკოვი, 27 აგვისტო. 22 აგვისტოს ლენინგრადიდან ჩამოვიდა ამერიკის მუშათა დელეგაციის წევრთა ჯგუფი; რომელიც დღეს მიემგზავრება საქართველოში. დელეგაციის წევრთა მეორე ჯგუფი გაემგზავრება ურალში და დონბასში. (ადს).

განუხორციელებელი ოცნება

ერთიანი ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნა

სმოგორჟევსკის პასუხი რეხბერგის წერილზე

პარიზი, 21 აგვისტო. მილიერანის ორგანო „ავენირი“ აქვეყნებს სმოგორჟევსკის წერილს, რომელიც წარმოადგენს პასუხს გერმანელ მრეწველის რეხბერგის მოწოდებაზე ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებული გამოსვლის შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სმოგორჟევსკი აღნიშნავს, რომ **შეუძლებელია საბჭოთა კავშირის დაპყრობა შეიარაღებული ძალით. სამხედრო ექსპედიცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თუ კატასტროფიული ნაბიჯათ არ ჩაითვალა, ყოველ შემთხვევაში განუხორციელებელი ოცნებაა.** ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ — არის ყოველ ცალკე სახელმწიფოს შინაური საქმე. რეხბერგის პროპაგანდის ნამდვილი მიზანია—არევ-დარევის გამოწვევა ევროპაში, რომლითაც გერმანია ისარგებლებს.

მარშალ ფოშის „გეგმები“

ჰელსინგფორსი, 21 აგვისტო. გაზეთი „უუსი სუომი“ აქვეყნებს თავის პარიზელი კორესპონდენტის ინტერვიუს მარშალ ფოშთან, რომელიც მოითხოვს ევროპის სახელმწიფოების გაერთიანებას და საერთო ფრონტის შექმნას „კომუნიზმის ახალი სჯულის წინააღმდეგ, რომელიც მოსალოდნელია გავრცელდეს მთელს დასავლეთში“.

ფოში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჭიროა ამ მიმართულებით საფრანგეთის და ინგლისის შეთანხმებული მოქმედება.

დასასრულ ფოშმა განაცხადა, რომ ინგლის-საფრანგეთის კავშირის სიმტკიცე „საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს ევროპის მშვიდობიანობისათვის“. (ადს).

საბჭოთა კავშირის ცნობის მოლოდინში

შეერთ. შტატების დამზღვევ საზოგადოებათა სამმართველო

უარს აცხადებს რუსეთის დახურულ დამზღვევ საზოგადოებათა თანხების განაწილებაზე

ნიუ-იორკი. 21 აგვისტო. ამერიკის დამზღვევმა საზოგადოებებმა გამოაქვეყნეს განცხადება რუსეთის ყოფილი დამზღვევი საზოგადოებების ამერიკის 5 განყოფილების ლიკვიდაციის შესახებ. აღნიშნულ განყოფილებათა საერთო ბალანსი შეადგენდა 4.633.000 დოლარს. ვინაიდან საბჭოთა მთავრობა არ არის ცნობილი შეერთებული შტატების მიერ, აღნიშნული თანხა სადაო შეიქნა და ფიქრობენ, რომ ამას მოჰყვება სერიოზული სასამართლო პროცესები. აღნიშნულ ქონებაზე პრეტენზიებს აცხადებენ: 1) დახურული დამზღვევი საზოგადოებების კრედიტორები, როგორც შეერთებულ შტატებში, ისე საზღვარ-გარეთ, 2) ზოგიერთი რუსი ემიგრანტები, რომლებიც ცხოვრობენ პარიზში და სხვა ქალაქებში და აცხადებენ რომ მათ აქვთ აღნიშნული საზოგადოებების აქციები, და 3) **საბჭოთა ბანკების განყოფილებები შეერთებულ შტატებში, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დახურულ საზოგადოებების ქონება უნდა გადავიდეს მათ საკუთრებაში.** გარდა ამისა ამ ქონებაზე თავის პრეტენზიას აცხადებს აგრეთვე ნიუ-იორკის შტატის მთავრობაც. **ამერიკის დამზღვევი საზოგადოების მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობას შეუძლია მომავალში, როდესაც ის ცნობილი იქნება შეერთებული შტატების მიერ მოითხოვოს აღნიშნული ქონება, ამიტომ დღეს სახიფათოა მისი განაწილება.** (ადს).

მოითხოვენ დელეგაციის გაგზავნას საბჭ. კავშირში

„სოციალიზმი სინამდვილეში და პრაქტიკულად“

ლონდონი, 21 აგვისტო. „სენდეი უორკერ“-ი ბეჭდავს მკითხველების მთელ რიგ წერილებს, რომლებიც მოითხოვენ მუშების გაგზავნას საბჭოთა კავშირში, ოქტომბრის ათი წლისთავთან დაკავშირებით. სხვათა შორის გაზეთი აქვეყნებს იმ დელეგაციის ერთ-ერთი წევრის წერილს, რომელმაც საბჭოთა კავშირი ინახულა 1926 წ. წერილში ნათქვამია:

„ბევრ ჩვენგანს, სანამ ჩვენ საბჭოთა კავშირს ვინახულებდით, სოციალიზმი სიზმარი ეგონა. საბჭოთა კავშირში ჩვენ, ვნახეთ სოციალიზმი სინამდვილეში და პრაქტიკულად. რაც მეტი ინგლისელი მუშები ინახულებენ საბჭოთა კავშირს, მით უფრო უკეთესი იქნება მათთვის. ისინი დაბრუნდებიან უკან და იქნებიან სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობის ცოცხალი მოწმენი“. (ადს).

ვენის ამბების შემდეგ

მენშევიკებმა ხელი აიღეს პოლიციის მოქმედების გამოძიებაზე

ვენა, 21 აგვისტო. პოლიციის მოხელეებმა უარი განაცხადეს პასუხი გაეცათ იმ კომისიის შეკითხვებზე, რომელიც შექმნილია ვენის მუნიციპალიტეტის მიერ 15 ივლისის პოლიციის მოქმედების გამოსაძიებლად. პოლიცია თავის საქციელს ასაბუთებს საკავშირო კანცლერის სამმართველოს განკარგულებით, რომელიც პოლიციას უკრძალავს რაიმე ცნობების მიცემას ვენის ამბების შესახებ. საპოლიციო ხელისუფლება აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ დასმული კითხვები შეეხება განსაკუთრებით საპოლიციო მოღვაწეობის სფეროს ან იმ საკითხებს, რომლებიც ამჟამად სასამართლოს კვლევა-ძიების სტადიაში იმყოფებიან.

კომისიის სხდომაზე მუნიციპალიტეტის წევრმა, სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა დანენბერგმა წაიკითხა საპოლიციო სამმართველოს წერილობითი პასუხი, რის შემდეგ კომისიამ სოციალ-დემოკრატების ხმების უმრავლესობით გადასწყვიტა შესწყვიტოს გამოძიება და დაავალა დანენბერგს გააკეთოს მოხსენება მუნიციპალიტეტის პლენუმზე კომისიის მოღვაწეობის შედეგების შესახებ.

ქრისტიანულ-სოციალისტების დეპუტატებმა, რომლებიც უმცირესობას შეადგენენ კომისიაში, მიიღეს რეზოლუცია, რომელიც იწონებს პოლიციისა და მთავრობის მოქმედებას ივლისის დღეებში.

რეზოლუცია უარყოფილ იქნა (ადს).

„შენიშვნები“ პარტბილეთში

ვენა, 21 აგვისტო. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ვენის ორგანიზაციის სამდივნომ წინადადება მისცა პარტიის ყველა წევრებს, რომელთა წინააღმდეგაც მიღებული იყო პოლიციის მიერ ზომები ან მიელოთ ასეთი, აცნობონ ამის შესახებ სამდივნოს სათანადო შენიშვნის შესატანად პარტიულ ბილეთში.

კომპარტიის მიერ მოწყობილ მიტინგებთან დაკავშირებით, რომლებიც გაიმართა პოლიტიკურ პატიმრების განთავისუფლებისა და ივლისის დღეებში მომხდარ გამოსვლების შესახებ ყველა სასამართლო პროცესების გაუქმების მიზნით, სოციალ-დემოკრატიული პარტია ცდილობს მუშათა მასიური მოძრაობის ყურადღება გადაიტანოს სასამართლო ძიებისა და პოლიციის არაკანონიერ მოქმედებაზე.

„არბეიტერ ცეიტუნგი“ უკანასკნელ დღეების განმავლობაში აწარმოებს კამპანიას ლოზუნგით: „გადაეცით სასამართლოს მასალები, რომლებიც ამხილებენ პოლიციის არაკანონიერ მოქმედებას“ (ადს).

საკო და ვანცეტი

სასიკვდილოთა კამერაში

გადარჩენის უკანასკნელი ცდები

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. საკოსა და ვანცეტის დამცველები ყოველგვარ ზომებს იღებენ, რათა მიაღწიონ დასჯის ვადის ხელ-ახალ გადადებას. უკანასკნელად მათ პეტიციით მიმართეს სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციებს.

მასაჩუზეტის შტატის ხელისუფლება კი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ყველა ქვეყნიდან მიღებულ პროტესტებს და განაჩენის სისრულეში მოყვანისათვის ემზადება. ციხე, რომელშიც მსჯავრდადებულები იმყოფებიან, გარშემორტყმულია პოლიციის რაზმებით.

საკო და ვანცეტი იმყოფებიან კამერაში, ელექტრონის სკამიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით.

ყველა ცდებმა უნაყოფოთ ჩაიარა

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. 20 აგვისტოს უშედეგოთ ჩაიარა ცდა, რომ ფედერალური სასამართლო ჩარეულიყო საკოსა და ვანცეტის საქმეში. ერთერთმა დამცველმა წარადგინა უზენაეს ფედერალურ, სასამართლოში პეტიცია, მაგრამ სასამართლოს მდივანმა არ მიიღო ის და აღნიშნა, რომ საბუთები, რომელიც თანდართული აქვს პეტიციას, არ იძლევიან „საკმარის“ საბაბს, რომ უზენაესი ფედერატიული სასამართლო ჩაერიოს საკოს და ვანცეტის საქმეში.

პროტესტები მთელ გერმანიაში

ბერლინი, 22 აგვისტო. 22 აგვისტოს ბერლინის ორ რაიონში შესდგა მასიური საპროტესტო დემონსტრაციები საკოს და ვანცეტის სიკვდილით დასჯის განაჩენის სისრულეში მოყვანის წინააღმდეგ.

მთელ გერმანიიდან შეუწყვეტლივ მოდის მრავალრიცხოვანი პროტესტები დასჯის წინააღმდეგ (ადს).

„დაგვიანებული წინადადება“

ბერლინი, 21 აგვისტო. ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიურომ საკოსა და ვანცეტის დაცვის ამერიკის კომიტეტისაგან ტელეგრაფით მიიღო მოწოდება საერთო გაფიცვის მოწყობის შესახებ საკოსა და ვანცეტის განთავისუფლების მოთხოვნილებით.

„ფორვერტს“-ი, რომელიც ამ ცნობას ათავსებს სათაურით „დაგვიანებული წინადადება“, ფიქრობს; რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმს კიდევაც რომ შეეძლოს სათანადო გადაწყვეტილების მიღება ორშაბათამდე; თუ სასწრაფოდ იქნება მოწვეული მისი სხდომა ტელეგრაფით; მისი გადაწყვეტილება მაინც არ იქნება განხორციელებული; ვინაიდან სიკვდილით დასჯა უნდა მოხდეს ორშაბათს ღამით.

„ამსტერდამის ინტერნაციონალის პარიზის კონგრესმა და მისმა მომხრე ორგანიზაციებმა აღნიშნავს „ფორვერტს“-ი; თავის დროზე განაცხადეს პროტესტი მომავალ სასჯელის წინააღმდეგ“.

მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია

ლონდონი, 21 აგვისტო. 21 აგვისტოს ღამით გაიდ-პარკში შესდგა რომედასის ინგლისის სექციის მიერ მოწვეული საპროტესტო დემონსტრაცია საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. დემონსტრაციას დაესწრო 30.000 კაცი. სიტყვები წარმოსთქვეს ინგლისის კომპარტიის ცეკას წევრებმა ბენ-ტილეტმა და ფინდლეიმ. გაიდ-პარკში გამართულ დემონსტრაციის გარდა ლონდონის ყველა ნაწილებში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები, რომლებიც მოწყობილ იქნა ინგლისის კომპარტიის მიერ. (ადს).

საკოსა და ვანცეტის დასჯის წინ

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის ვადა ახლოვდება და ამავე დროს არავითარი ცვლილება არ არის მოსალოდნელი მათ მდგომარეობაში, დამცველთა შუამდგომლობა განაჩენის გადადების შესახებ გუშინ უარჰყო ფედერალურ უზენაეს სასამართლოს მოსამართლემ ხოლმსმა, დღეს კი—მოსამართლე ბრანდეისმა. ხოლმსმა უარი დაასაბუთა იმით, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს არ აქვს უფლება ჩაერიოს შტატების სასამართლოს გადაწყვეტილებაში. ბრანდეისმა უარი სთქვა დამცველთა შუამდგომლობის განხილვაზე იმ მოსაზრებით, რომ მისი ოჯახები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საკოსა და ვანცეტის დაცვის კამპანიაში.

საპროტესტო მიტინგი

ვარშავა, 21 აგვისტო. ვარშავის ერთ მოედანზე გაიმართა საპროტესტო მიტინგი საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მიტინგი მოაწყო კომპარტიამ. მიტინგზე მრავალ მუშებმა მოიყარეს თავი. სიტყვით გამოვიდა კომპარტიის ორატორი. ცხენოსანი და ქვეითა პოლიცია თავს დაესხა მუშებს და მიტინგი დაშალა. მუშებმა ისევ მოიყარეს თავი მოედნის ახლოს მდებარე ქუჩაზე და ინტერნაციონალის სიმღერით დემონსტრაცია მოაწყვეს. პოლიციამ ხელმეორედ გარეკა დემონსტრანტები. დაპატიმრებულია 15 კაცი. ორი პოლიციელი დაჭრილია (ადს).

„გაათავისუფლეთ საკო და ვანცეტი“

ბერლინი, 21 აგვისტო. გერმანიის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება გერმანიის მშრომელთადმი, რომელშიაც მოუწოდებს მათ მოაწყონ ორშაბათს მუშაობის შემდეგ მთელ გერმანიაში მასიური დემონსტრაციები შემდეგი ლოზუნგებით: „გაანთავისუფლეთ საკო და ვანცეტი! გაანთავისუფლეთ გერმანიის პოლიტიკური პატიმრები“!

ამ მოწოდებას შეუერთდა აგრეთვე მემარცხენე ორიენტაციის 42 პროლეტარული პოლიტიკური, პროფკავშირთა და კულტურული ორგანიზაცია. (ადს).

ბოიკოტი შეერთებულ შტატებს

პარიზი, 21 აგვისტო. კომპარტიამ, კომკავშირმა, შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ, და ომის ყოფილ მონაწილეთა წითელ კავშირმა და რომედასმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიც მოითხოვენ კამპანიის გაძლიერებას საკოსა და ვანცეტის დასაცავად.

„ლიუმანიტე“ სწერს: „თუ საკოსა და ვანცეტის სიკვდილით დასჯის განაჩენი სისრულეში იქნება მოყვანილი, მაშინ საპროტესტო კამპანია უნდა გაგრძელდეს შეერთებულ შტატებისადმი ბოიკოტის ფორმით“.

პროფმოძრაობის მთლიანობის მტრები

ფეხსაცმელებისა და ტყავის მრეწველობის მუშათა ინტერნაციონალის კონგრესი

ლონდონი, 21 აგვისტო. 19 აგვისტოს გაიხსნა ტყავისა და ფეხსაცმელის მრეწველობის მუშათა ინტერნაციონალის კონგრესი. ყრილობას ესწრება 24 ქვეყნის წარმომადგენელი —45 დელეგატი.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ინგლისის ფეხსაცმელის მრეწველობის მუშათა კავშირის თავმჯდომარე რიჩარდსი, რომელიც თავის სიტყვაში ილაშქრებდა საბჭოთა პროფმოძრაობის წინააღმდეგ. სხვათა შორის. რიჩარდსმა განაცხადა:

„მე მოხარული ვიქნებოდი, რომ კონგრესზე წარმოდგენილი იყვენ ისეთი ქვეყნების წარმომადგენლები, როგორიც არის საბჭოთა კავშირი და იტალია, მაგრამ, ჩვენ შეთანხმებულად ვერ ვიმუშავებთ; საბჭოთა კავშირი არ შეიცვლის თავის პრინციპებს“.

შემდეგ რიჩარდსმა აუწყა კონგრესს, რომ დელეგატებს შორის ვიღაც ავრცელებს „საბჭოთა დოკუმენტებს“, რასაც ის მიაწერს საბჭოთა პროფმოძრაობის ხელმძღვანელებს, რომელთა მიზნად აქვთ დაუმორჩილონ ინტერნაციონალი „თავიანთ დიქტატურულ დირექტივებს“.

ინტერნაციონალის მდივანმა სიმონსმა გააკეთა მოხსენება ინტერნაციონალის 2 წლის მუშაობის შესახებ. თავის მოხსენებაში სიმონსმა აღნიშნა მუშათა მოძრაობის მთლიანობის მიღწევის საჭიროება, მაგრამ განაცხადა, რომ ამ მთლიანობის განხორციელება შეუძლებელია მანამდე, სანამ კომუნისტები აწარმოებენ კამპანიას რეფორმისტულ ლიდერების წინააღმდეგ. შემდეგ სიმონსი შეეხო საბჭოთა პროფკავშირებთან დაახლოვების საკითხს და განაცხადა, რომ ის უარყოფითად უყურებს წინადადებას „შეთანხმებული პროპაგანდის მოწყობის“ შესახებ. სიმონსმა გამოსთქვა იმედი, რომ კონგრესი მოიწონებს მის უარყოფით შეხედულებას შეთანხმებული პროპაგანდის მოწყობაზე საბჭოთა პროფკავშირებთან.

20 აგვისტოს დაიხურა ყრილობა. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს პროფინტერნში შემავალ ყველა გაერთიანებათა გარიცხვას ინტერნაციონალიდან.

მიღებულია აგრეთვე რეზოლიუცია ფულადი დახმარების აღმოჩენის შესახებ ყველა იმ კავშირებისათვის, რომლებსაც კონფლიქტი მოუვათ მეწარმეებთან.

რეზოლიუცია უფლებას ანიჭებს აღმასკომს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტი გაჭიანურდება, შემოიღოს გაფიცულთა სასარგებლო გამოსაღების შეკრეფა დანარჩენ ქვეყნების კავშირებში.

ინგლისის დელეგაციამ გაილაშქრა უკანასკნელი რეზოლიუციის წინააღმდეგ და გცხადა (?) განაცხადა, რომ საერთაშორისო დახმარებას უნდა ჰქონდეს ნებაყოფლობითი ხასიათი. ინგლისის დელეგაციის გალაშქრება უკანასკნელი რეზოლიუციის წინააღმდეგ აიხსნება იმით, რომ ინგლისის ტყავისა და ფეხსაცმელის მრეწველობაში უკანასკნელ 35 წლის განმავლობაში არ ჰქონია ადგილი არც ერთ სერიოზულ კონფლიქტს, რის გამო ინგლისელი მუშა-მეტყავეები ბევრად არ არიან დაინტერესებულნი საერთაშორისო დახმარებით.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მოზარდები წარმოებაში

მოსკოვი, 27 აგვისტო. მომავალი სამეურნეო წლის დასაწყისიდან მთელ მრეწველობაში დაწესებულ იქნება წარმოებაში მოზარდთა მიღების ახალი ნორმები არა მუშათა მთელი რაოდენობის, არამედ მუშათა კვალიფიციური კადრების მიხედვით. წარმოებაში მოზარდთა მიღების ახალი ნორმები დაწესებულ უნდა იქნას საკანონმდებლო წესით მრეწველობის იმ დარგებშიაც, სადაც ეს ნორმები წინედ დაწესებული არ იყო: რკინის გზის ტრანსპორტში, მარილის, ქვანახშირის, ოქროს და ნავთის მრეწველობაში. საკანონმდებლო ნორმების დაწესებამდე [illegible] უნდა დარჩეს კოლექტიურ ხელშეკრულებაში აღნიშნული ნორმის პროცენტი (ადს).

ფიზკულტურის დღესასწაული

მოსკოვი, 22 აგვისტო. გაიხსნა სრულიად რუსეთის ფიზკულტურის დღესასწაული. პირველ დღეს მოეწყო შეჯიბრი ფეხბურთში და ტენისში (ადს).

უკრაინა

„საბჭოთა ფლოტის“ შუამდგომლობა

ოდესა, 22 აგვისტო. ოდესის საოლქო სასამართლოში შემოვიდა საზღვაო უწყების სარჩელი. საზღვაო უწყება მოითხოვს გემი „ინკერმანის“ დაბრუნებას, რომელიც ეკუთვნის შავი ზღვის სავაჭრო ფლოტს. გემი წაყვანილი იქნა საზღვარგარეთ თეთრგვარდიელების მიერ ოდესის ევაკუაციის დროს. იქ კი თეთრგვარდიელებმა აღნიშნული გემი მიყიდეს ეგვიპტეს ფირმას. „ინკერმანის“ მეზღვაურთა რაზმმა ეგვიპტელებისაგან და რუსებისაგან შემდგარმა იცოდა რომ გემი ეკუთვნის საბჭოთა კავშირს და რუმინეთის ნავთსადგური კონსტანციდან სტამბოლში მგზავრობის დროს, გემი წამოიყვანეს ოდესაში.

საზღვაო უწყება ეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის მე-60-ე მუხლს, რომლის ძალით უკანონოთ კონფისკაციაქმნილი სახელმწიფო საბჭოთა ქონება, უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს. საზღვაო უწყება მოითხოვს, რომ ყადაღა დაედვას გემს (ადს).

სრულიად უკრაინის სპარტაკიადა

ხარკოვი, 22 აგვისტო. გაიხსნა სრულიად უკრაინის მეოთხე სპარტაკიადა. გახსნის დროს სიტყვა სთქვა უკრაინის კომ. პარტიის (ბ) ცეკას გენერალურმა მდივანმა ამხ. კაგანოვიჩმა. (ადს).

საბჭოთა გადაფრენები

გადაფრენა ევროპაზე

მოსკოვი, 22 აგვისტო. 21 აგვისტოს ღამის 12 საათზე მოსკოვიდან გაფრინდა მფრინავი ვოიშიცკი, რომელსაც განზრახული აქვს გადაფრენა ევროპაზე. ვოიშიცკის ახლავს მფრინავი სპირინი. ვოიშიცკი მიფრინავს საბჭოთა მანქანაზე „ანტ. 3“. ვოიშიცკი გაივლის რიგაში კენიგსბერგში, პრაღაში, ვენაში, პარიზში, ბერლინში, კოპენჰაგენში; სტოკჰოლმში; რეველში და ჩამოფრინდება ლენინგრადში (ადს).

შესტაკოვი გზაზე ტოკიოსკენ

სარაპული, 22 აგვისტო. მოსკოვიდან ტოკიოში დილის ოთხ საათზე გაფრენილი აეროპლანი, „ჩვენი პასუხი“ მფრინავ შესტაკოვით ჩამოეშვა სარაპულის აეროდრომზე 11 ს. 30 წუთზე. 21 აგვისტოს „ჩვენი პასუხი“ გაფრინდება ომსკში (ადს).

დახმარება წყალდიდობისგან დაზარალებულთ

მოსკოვი, 22 აგვისტო. 20 აგვისტოს ამხ. ლეჟავას თავმჯდომარეობით შესდგა შორეულ აღმოსავლეთში წყალდიდობისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისიის პირველი სხდომა.

სახელმწიფო ბანკის გამგეობის წევრმა კომისიას აცნობა, რომ სახელმწიფო ბანკმა „დალბანკს“ გაუგრძელა 1.250.000 მან. გადახდის ვადა და გაუხსნა 318.000 მან. კრედიტი წყლის მიერ წაღებულ ტყის მასალის გადასარჩენად. გარდა ამისა სახელმწიფო ბანკმა შორეულ აღმოსავლეთის განყოფილებას წყალდიდობით გამოწვეულ სხვა გადაუდებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მისცა ნახევარი მილიონი მანეთი.

კომისიამ აუცილებლად სცნო გაცემულ იქნეს განკარგულება, რათა შორეულ აღმოსავლეთის სხვა ბანკებმა და ფინსახკომმაც გაუგრძელონ გადასახადების გადახდის ვადა (ადს).

ციკლონი შეწყდა

ხაბაროვსკი, 22 აგვისტო. ციკლონი ზღვის ნაპირზე, როგორც ჩანს წყდება. ხაბაროვსკის და ვლადივოსტოკის ოლქებში მოსალოდნელია გამოდარება. განახლებულია მუშაობა სუჩანის მაღაროებში. ენერგიული მუშაობა სწარმოებს რკინის გზის ხაზის აღსადგენად. ხაბაროვსკ-ვლადივოსტოკს შუა მატარებლების პირდაპირი მიმოსვლის აღდგენა განზრახულია აგვისტოს ბოლოსთვის. სწარმოებს ენერგიული მუშაობა ნიაღვრით გატაცებულ მორების მოსაგროვებლად. წინასწარი გამოანგარიშებით ზარალი (რკინის გზით მიმოსვლის შეჩერებით გამოწვეულ ხარჯების გამოკლებით) აღემატება 15 მილიონ მან.

24 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე,
სახალხო კომისართა საბჭოს წითელ დარბაზში შესდგება საქ. კომპარტიის
ცეკას და ცენტ. საკ. კომისიის
გაერთიანებული პლენუმი
საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი ლ. ღოღობერიძე.

1927 წლის 23 აგვისტოს, დილის 11 საათზე,
ც. ს. კომისიის შენობაში (რუსთაველი, 24, მესამე სართული)
— დანიშნულია —
ს. კ. პ. ც. ს. კომისიის მე-7-ე პლენუმი.
დასწრება ც. ს. კომისიის ყველა წევრებ. და კანდ. სავალდებულოა.
ც. ს. კ. თავმჯდომარე ა. დოლიძე.

„კომუნისტი“
მიიღება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

პარტიული ცხოვრება

პარტია ლენინურ რიგების მთლიანობის სადარაჯოზე

ფოთი, 21 აგვისტო. საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ორგანიზაციის წევრებისა და კანდიდატების საერთო კრებამ, კომკავშირის აქტივთან ერთად მოისმინა ამხ. თოდრიას მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკ. და ცენ. საკ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ; კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„ფოთის ორგანიზაცია ღრმად დარწმუნებულია, რომ საკავშირო კომპარტიის ცეკასა და საკონტროლო კომისიის უკანასკნელ პლენუმის გადაწყვეტილებანი უფრო შეამჭიდროებენ ჩვენი პარტიის რიგებს, უფრო გაამაგრებენ მის ფოლადისებურ ერთიანობას და, როგორც ერთი კაცი, მთელი პარტია შემჭიდროვდება თავის ცეკას გარშემო. გაუმარჯოს ლენინურ ცეკას. გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას.

ბაქო, 27 აგვისტო. ბაქოს პარტაქტივის კრების შემდეგ რაიონებში სწარმოებს რაიონული პარტაქტივების კრებები და ცალკე პარტკოლექტივების უჯრედების ჯგუფობრივი და საუბნო კრებები. ყველა კრებები სავსებით იწონებენ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებებს და ბაქოს ორგანიზაციის აქტივის რეზოლიუციას. კრებები აღნიშნავენ, რომ პლენუმმა ოპოზიციის მიმართ გამოიჩინა უდიდესი მოთმინება და ერთხელ კიდევ მისცა საშუალება მას გამოასწოროს თავისი შეცდომები, მაგრამ პლენუმის ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს უკანასკნელი გაფრთხილება. იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციონერები კვლავ განაგრძობენ ანტიპარტიულ მუშაობას, ისინი დაუყოვნებლივ უნდა იქნან გამორიცხული პარტიიდან.

კრებები მიმართავენ საკონტროლო კომისიის ბაქოს კომიტეტს თხოვნით, რათა მიღებულ იქნას გადამწყვეტი ზომები ბაქოს ოპოზიციონური ჯგუფის დაშლისათვის და მისი გამთიშავი მოქმედების შეწყვეტისათვის.

კრებაზე გამოსულ ბაქოელ ოპოზიციონერებს მკაცრ პასუხს აძლევენ პარტიის უბრალო წევრები.

მოსკოვი. 22 აგვისტო. ფაბრიკა-ქარხნების და დაწესებულებების პარტუჯრედებს გამოაქვს რეზოლიუციები საკ. კომ. პარტ. (ბ) ცეკასა და ცენტ. საკ. კომისიის პლენუმის დადგენილებებთან დაკავშირებით. კრებები აღნიშნავენ, რომ პლენუმის დადგენილებები წარმოადგენენ ერთად ერთ სწორ ლენინურ ხაზს საერთაშორისო და შინაურ პოლიტიკურ საკითხებში და მხარს უჭერენ პლენუმის დადგენილებას ზინოვიევის და ტროცკის სასტიკი გაკიცხვის შესახებ. კრებები მოითხოვენ აგრეთვე სმირნოვ-საპრონოვის ჯგუფის გაძევებას პარტიიდან.

რეზოლიუციები გამოტანილია შემდეგ ქარხნების უჯრედებზე, „მოსტრიკოტაჟის“, რუსაკოვის, ტრამვაის პარკის, ოქტომბრის რკინის გზების მოძრაობის და წევის დარგების, ქარხანა „ბურევესტნიკის“ და სხვ.

ასეთივე რეზოლიუციები გამოტანილია დონის როსტოვში, ბრიანსკში, პერმში და სხვ. ქალაქებში. (ადს).

კრემენჩუგი, 20 აგვისტო. საქალაქო პარტკრებამ, რომელსაც დაესწრო 2.000-ზე მეტი პარტიის წევრი, მთლიანად და სავსებით მოიწონა საკ. კომ. პარტიის (ბ) ცეკას და უკრაინის კომპარტიის (ბ) პლენუმების დადგენილებები. კრებამ გამოსთქვა აზრი, რომ თუ ოპოზიციამ არ შესწყვიტა თავისი ფრაქციული მოქმედება საჭირო იქნება გადამწყვეტი ზომების მიღება მის წინააღმდეგ. (ადს).

პოლტავა, 20 აგვისტო. პოლტავის საოლქო პარტკომის, საოლქო საკონტროლო კომისიის და ქალაქის პარტაქტივის გაერთიანებულმა პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ თუ ოპოზიციამ მთლიანად არ შეასრულა თავისი დაპირება, მაშინ მე-15-ე ყრილობაზე უნდა დაისვას საკითხი ოპოზიციონერების გამორიცხვის შესახებ, არა მარტო ცეკადან. არამედ პარტიიდანაც (ადს).

დნეპროპეტროვსკი, 20 აგვისტო. ირკუტსკის დივიზიის სრულიად საბანაკო პარტკრება ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ მთლიანად შეუერთდა გაერთიანებული პლენუმის დადგენილებებს. კრებამ აღ ფოთებით უარყო მოპოზიციის ცრუ განაღშფოთებით უარყო ოპოზიციის ცრუ განწყრილი მიმართავს ვოლოგდის ოხრანკას: ცხადებები და „თუთხმეტთა“ პლატფორმა წითელი არმიის საკითხში და აღნიშნა, რომ მხოლოდ ცხოვრებას მოწყვეტილ, კაბინეტებში დამწყვდეულ და ფრაქციულობით დაბრმავებულ ანტიპარტიულ ელემენტებს შეუძლია ასე მსჯელობა (ადს).

ოპოზიციას უპარტიო მეთაურობს

ყოფ. ოპოზიციონერ ამხ. ზახაროვის წერილი

ხარკოვი, 22 აგვისტო. ხარკოვის გაზეთებში დაბეჭდილია ოპოზიციონერ მუშა თედორე ზახაროვის განცხადება, რომელიც მან შეიტანა ხარკოვის ორთქლმავლების მშენებელ ქარხნის უჯრედის ბიუროში. იქ, სხვათა შორის ნათქვამია:

„ერთი წლის განმავლობაში მე ვიმყოფებოდი ხარკოვის ოპოზიციის რიგებში და აქტიურად ვმუშაობდი იქ. ვესწრებოდი ოპოზიციის ყველა უმნიშვნელოვანეს სხდომებზე და თათბირებზე. აქტიურად ვიბრძოდი ცეკას ხაზის წინააღმდეგ, ვინაიდან ვფიქრობდი, რომ ოპოზიციის ხაზი, არის ლენინის ხაზი. მაგრამ ც. კ. და ც. საკ. პლენუმმა დაარღვია ოპოზიციის ყველა არგუმენტები და გამოააშკარავა, რომ ოპოზიციის ხაზი დამღუპველია რევოლიუციისათვის. მე განსაკუთრებით აღმაშფოთა იმ გარემოებამ, რომ ხარკოვის აქტივის პლენუმის შემდეგ, რომელზედაც ოპოზიციონერებმა განაცხადეს, რომ ესალმებიან პლენუმის გადაწყვეტილებებს, მეორე დღესვე, სამშაბათს, 16 აგვისტოს შესდგა ახალი ფრაქციული კრება, რომელზედაც დაესწრო 13 ამხანაგი, მათ შორის ორი ამხ. ბელოვი და მეკლერი—უპარტიო. პარტიიდან გამორიცხული. მოხსენება პლენუმის შესახებ გააკეთა უპარტიო ბელოვმა. ამ კრებაზე ლაპარაკობდენ არა პარტიის მთლიანობის შესახებ. არამედ ლაპარაკობდენ პარტიასთან მკაცრი ბრძოლის გაგრძელების შესახებ.

პირველად ბელოვმა შეადგინა ამხანაგების სია, თუ სად რომელი გამოვიდეს. რა ილაპარაკოს, დაარიგა თეზისები და რეზოლიუციების პროექტები ჯგუფურ კრებებზე შესატანად. ამ კრებამ გამოააშკარავა, რომ ოპოზიცია წინააღმდეგია მთლიანობისა და არ სდგას ლენინის გზაზე“. (ადს).

საკ. კომ. პარტიის (ბ) ცეკას მიმართვა

მოსკოვი, 22 აგვისტო. საკ. კომ. პარტიის (ბ) ცეკამ, მუშა და გლეხ ქალთა საკავშირო ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით, რომელიც დანიშნულია 10 ოქტომბრისათვის, მიმართა მოწოდებით ყველა ნაციონალურ კომპარტიის ცეკას, პარტიის საოლქო ბიუროებს, საოლქო კომიტეტებს და საგუბერნიო კომიტეტებს მიიღონ უშუალო მონაწილეობა სათემო და საგუბერნიო ყრილობების ჩატარებაში, რისთვისაც უნდა გამოყონ ყრილობის სახელმძღვანელო კომისიებში პასუხისმგებელი ამხანაგები და თავი უნდა მოუყარონ პარტიულ ძალებს კამპანიის მასებში ჩასატარებლათ.

საჭიროა აგრეთვე—ნათქვამია მიმართვაში—მოსამზადებელ მუშაობაში და დელეგატების არჩევნებში ჩაბმული იქნენ აღმოსავლეთის ეროვნებათა მუშა და გლეხი ქალები“. (ადს).

საბჭოთა უჯრედები ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში

(გამოკვლევის შედეგები)

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის საკონტროლო კომისიამ. მოახდინეს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 3 უჯრედის (საქ. ფინსახ.კომის, ა.-კ. ფინსახკომის და ა.-კ. რკინისგზათა სამმართველოს) და ბათომის ორგანიზაციის 2 უჯრედის (აჭარისტანის ფინსახკომის და ქალაქის აღმასკომის) გამოკვლევა.

აღნიშნული უჯრედების გამოკვლევა ჩატარებული იქნა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ჰქონდათ მათ გატარებული ცხოვრებაში დირექტივები საბჭოთა აპარატის გაიაფების და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ყველა აღნიშნული უჯრედები, ა.-კ. ფინსახკომის უჯრედის გარდა, ცეკას დირექტივების განხორციელებას შეუდგნენ დიდის დაგვიანებით. განსაკუთრებით დაიგვიანეს ბათომის ორგანიზაციებმა, რომლებმაც მუშაობა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გარშემო დაიწყეს მიმდინარე წლის მაისში და ივნისში.

საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფინსახკომების უჯრედებმა მიზნათ დაისახეს უმთავრესად ეკონომიური ეფექტების მოხდენა. მაგალითად, საქართველოს ფინსახკომის უჯრედის ინიციატივით ჩატარებული იქნა თბილისში 5 ფინრაიონის შემცირება. ამან მისცა ფინსახკომს 12.000 მანეთის ყოველწლიური ეკონომია. ხოლო წმინდა რაციონალიზაციის საქმეს, ე. ი. ფუნქციების გამარტივებას და საერთოდ ფინსახკომის აპარატის ამ თვალსაზრისით შესწავლას და გაუმჯობესებას აღნიშნულმა უჯრედმა ნაკლები ყურადღება დაუთმო.

გამოკვლევამ გამოააშკარავა, რომ აპარატის რაციონალიზაციის საქმეში, ა.-კ. ფინსახკომის უჯრედს ცოტა რამ გაუკეთებია და საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისიისთვის, რომელმაც მოახდინა ა.-კ. ფინსახკომის აპარატის გამოკვლევა სწორედ მისი რაციონალიზაციის თვალსაზრისით, მას არავითარი დახმარება არ გაუწევია.

ძლიერ დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ აპარატის გამარტივებით მოსალოდნელი შტატების შემცირების შიშით, უპარტიო თანამშრომლები ნაკლებ მონაწილეობას ღებულობენ მუშაობაში, რომელიც მიზნათ ისახავს აპარატის რაციონალიზაციას.

მუშური ელემენტებით აპარატის გასაძლიერებლად მუშაობას აწარმოებენ მხოლოდ საქართველოს და ა.-კ. ფინსახკომების და ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს უჯრედები. ბათომის ორგანიზაციის უჯრედებს-კი (აჭარისტანის ფინსახკომის და ქალაქის აღმასკომის უჯრედები) ამ მხრივ არაფერი გაუკეთებიათ. ფინსახკომის უჯრედის მთელი მუშაობა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გარშემო იმაში გამოიხატა, რომ უჯრედის სხდომებზე მოსმენილი იქნა ფინანსთა სახალხო კომისრის და საგადასახადო განყოფილების გამგის მოხსენებები და აღნიშნული უჯრედის მხოლოდ ცალკე წევრების ინიციატივით იქნა გამოაშკარავებული და თვიდან აცილებული პროტექციონიზმის რამდენიმე შემთხვევა.

ქალაქის აღმასკომის უჯრედმა-კი ჩაატარა სანტრანსპორტის ნაწილობრივი შემცირება და გამოამჟღავნა პროტექციონიზმის რამდენიმე შემთხვევა. ხოლო აპარატის რაციონალიზაციის საქმეში და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლაში დაკმაყოფილდა შემდეგი შესანიშნავი რეზოლიუციით: „.... და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის მიზნით მოხდენილი იქნეს კანცელიარიაში რევოლიუცია“.

უჯრედების მუშაობის სხვა ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ კომუნისტები ან მცირე მონაწილეობას ღებულობენ და ან სულ არ ღებულობენ არავითარ მონაწილეობას ეკონომიურ კომისიების მუშაობაში და კომუჯრედებიც სათანადო ხელმძღვანელობას და კონტროლს არ უწევენ აღნიშნულ კომისიების მუშაობას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, გამოკვლეული უჯრედების მუშაობის შედეგები არ არის საკმარისი.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პარტიის სამაზრო კომიტეტები უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ცეკას დირექტივების ცხოვრებაში გატარებას, დავრწმუნდებით, რომ ამ მხრივ. გამოკვლეულ უჯრედებთან შედარებით. საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციების მუშაობის საერთო შედეგები უფრო უმნიშვნელო იქნება.

ბევრ სამაზრო კომიტეტს სულ არ მოუსმენია მოხსენებები ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ, არც პრეზიდიუმის სხდომებზე და არც სამაზრო კომიტეტის ორგანიზაციულ თათბირებზე; თითქმის არც ერთმა სამაზრო კომიტეტმა არ დაამუშავა საქართველოს კომპარტიის ცეკას მიერ მოწვეულ დაწესებულებებთან არსებულ კომუჯრედების მდივნების თათბირის დადგენილებები, სადაც გასაგებათ არის დაყენებული საკითხი კომუჯრედის მუშაობის შესახებ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ.

მეტი ყურადღება მიმდინარე მომენტის მოთხოვნილებას — ბიუროკრატიზმთან ბრძოლას!

ა. გუსტიაკოვი.

პარტია პლენუმის გადაწყვეტილებების შესახებ

ამ უკანასკნელ კვირეებში მთელი პარტია ქვედაფენებამდე, ისმენს ანგარიშებს ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის მუშაობისა და გადაწყვეტილებების შესახებ. პარტიული მასის მიერ პარტიის ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებათა განხილვის შედეგები უკვე გვაძლევენ საშუალებას გამოვიტანოთ სავსებით გარკვეული დასკვნები. მთელი პარტია, როგორც ერთი კაცი, იშვიათი ერთსულოვნობითა და სიმტკიცით მხარს უჭერს ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ყველა გადაწყვეტილებებს.

სრულიად ბუნებრივია, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები თავის რეზოლიუციებში უმთავრეს ყურადღებას უთმობენ შინაპარტიულ ოპოზიციას, რომელმაც გართულებულ საერთაშორისო პირობებში პარტიის წინააღმდეგ თავისი ბრძოლის გამწვავებით საფრთხე მოუმზადა საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერების საქმეს.

მრავალი ორგანიზაცია თავის რეზოლიუციებში განსაკუთრებული სისასტიკით გმობს „პლატფორმას“ (საპრონოვი, სმირნოვი და სხ.) და ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიისაგან მოითხოვს გადამჭრელი ზომების მიღებას ამ აღმაშფოთებელი მენშევიკური დოკუმენტის ავტორების წინააღმდეგ, მოითხოვს მათ გარიცხვას პარტიიდან, რადგან „15“-ის შეხედულებები შეუძლებელს ხდიან მათ დატოვებას საკ. კომ. პარ. (ბ) რიგებში.

რომ პარტიული მასის პროლეტარული ალღო არ სტყუვდება „თუთხმეტის“ შეხედულებათა იდეური და სოციალური შინაარსის საკითხში. ეს სჩანს მენშევიკურ ჟურნალის „სოციალისტიჩესკი ვესტნიკის“ მორიგ ნომრიდან. ჩვენ გვახსოვს, რომ ეს ყვითელი „სოციალისტური“ ორგანო ივლისში ადიდებდა ოპოზიციონურ დემონსტრაციას იაროსლავის სადგურზე, როგორც „ყველაზე ძლიერ“ პოლიტიკურ მოვლენას. ეხლა იგივე ორგანო წერილში „დიდი გარდატეხის წინ“ სწერს, რომ ცნობა საპრონოვ-სმირნოვის ჯგუფის შესახებ არის „ყველაზე საყურადღებო, საინტერესო და საგულისხმო, რის წაკითხვაც კი შეიძლება“ გაზეთ „პრავდა“-ში.

„ამ ჯგუფის პლატფორმა,—სწერს ხსენებული წერილის ავტორი,—პირველად აყენებს პირდაპირ საკითხს იმ, პარტიის გარეშე მყოფ ძალების შესახებ, რომლებიც მოწოდებული არიან გადაჭრან შინაპარტიული გორდიოსის კვანძი და პირველად მიაქცევს ყურადღებას იმ როლს, რომლის შესრულება ამ შემთხვევაში შეუძლია სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა ნაწილებს, პირველ ყოვლისა სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს და წითელ არმიას. მარტო ამ საკითხის დასმით ხსენებული პლატფორმა პოლიტიკურად მაღლდება მთელს პოლემიკაზე“.

მენშევიკები ესალმებიან „ხუთმეტის“ პლატფორმას ძველი მენშევიკური შეხედულებების გამოთქმისათვის წითელ არმიაზე, როგორც „ბონაპარტისტულ ავანტიურების იარაღზე“.

მათთვის ეს ჯგუფი „მაღლა დგას“ დანარჩენ ოპოზიციონურ ჯგუფებზე და მით უმეტეს, ჩვენს პარტიაზედაც.

მენშევიკების გულის გამხარებელ ამ ოპოზიციონურ პლატფორმის გაკიცხვასთან ერთად, ჩვენი მთელი რიგი ადგილობრივი პარტ-ორგანიზაციები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ზინოვიევ-ტროცკისტული ოპოზიციის ბელადებმა პლენუმზე კრინტიც კი არ დასძრეს საპრონოვ-სმირნოვის შეხედულებათა უარყოფისათვის. სამწუხაროდ, ეს გარემოება გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ოპოზიციის ბელადები უფრთხილდებიან ამ ჯგუფის „ავტორიტეტს“ იმისათვის, რომ ის გამოიყენონ თავის შემდგომ ბრძოლაში პარტიის წინააღმდეგ.

ადგილობრივი ორგანიზაციები ერთსულოვნად გამოსთქვამენ კმაყოფილებას გადაწყვეტილებით, რომ პლენუმი თავს იკავებს ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვისაგან ცეკას შემადგენლობიდან ოპოზიციის განცხადების გამო (აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს განცხადება ოპოზიციამ შემოიტანა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც პლენუმის მიერ უკვე დამტკიცებული იყო გადაწყვეტილება ცეკას შემადგენლობიდან ოპოზიციის ლიდერების გარიცხვის შესახებ), სადაც ოპოზიცია ნაწილობრივ აღიარებს თავის შეცდომებს. ცეკას ამ გადაწყვეტილებას პარტია აფასებს როგორც უკანასკნელ ცდას, რათა დააბრუნოს ოპოზიცია პარტიის ლენინურ გზაზე.

თვით ხასიათი ოპოზიციის 8 აგვისტოს განცხადებისა არავისში არ იწვევს ეჭვს: პარტიული ორგანიზაციები ხაზს უსვამენ ამ განცხადებების არაგულწრფელ ხასიათს, რადგან ამ განცხადებას იმ ყველასთვის ცნობილ ბედის შემდეგ, რაც ეწია 16 ოქტომბრის ასეთივე განცხადებას (რომელიც შედგენილი იყო დღევანდელ განცხადებაზე უფრო გარკვეულ და და პრიმიტიულ ფორმებში), სავსებით არ დაეჯერება.

ამასთან ერთად ადგილებიდან მიღებულ რეზოლიუციებში ერთსულოვნად არის აღნიშნული, რომ ამხ. ტროცკისა და ზინოვიევისათვის მიცემული გაფრთხილება სასტიკი გაკიცხვით, უნდა იყოს ნამდვილად უკანასკნელი გაფრთხილება. იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია კიდევ დაარღვევს პარტიის წინაშე აღებულ ვალდებულებებს—„ფრაქციულობის ყველა ელემენტების“ აღმოფხვრის შესახებ,—მაშინ პარტია იძულებული გახდება მიმართოს უსასტიკეს გადამჭრელ პარტიულ ზომებს ოპოზიციის წინააღმდეგ. პარტიას მობეზრდა დავი-დარაბა ოპოზიციასთან, რომლის ფრაქციული მუშაობაც დღითი-დღე სისტემატიურ ზიანს აყენებს პარტიას, საბჭოთა კავშირს და კომინტერნს. პარტია აღარ მოითმენს ახალ მოტყუებას, ბოლშევიკური დისციპლინის ახალ დარღვევას და ლენინის მოძღვრების ყველა აღთქმების ფეხით გათელვას ოპოზიციის მხრივ.

ასეთია მთელი პროლეტარული მასის საერთო ხმა. ადგილობრივ ორგანიზაციების რეზოლიუციებში ცალკე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მომენტი. ეს არის მოწოდება ყველა უბრალო მუშა-ოპოზიციონერებისადმი, რომლებიც ჯერ კიდევ მიჰყვებიან თავის გაკოტრებულ ლიდერებს,—დაბოლოს მოვიდენ გონზე და დაუბრუნდენ პარტიის პოზიციებს. ეს მოწოდება ეთანხმება აგრეთვე ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ აღებულ ხაზს. ოპოზიციის ეს მცირე რიცხოვანი ელემენტები, რომლებიც ოპოზიციის უმცირესობას შეადგენენ, მაინც ძვირფასია პარტიისათვის.

ოპოზიციამ მიიყვანა ისინი ჩიხში, გარიყა პარტიისაგან და მათ უკვე ემუქრება უბრალო სათამაშოდ გადაქცევის საფრთხე მტრების, პროლეტარიატისათვის უცხო კლასობრივ ძალების ხელში, რომლებიც ჩვენი პარტიის „კუთხიდან“ ჩაუსაფრდენ ოპოზიციას და მოუწოდებენ მას პარტიის რიგებიდან გამოსვლისაკენ.

მრავალი მუშა-ოპოზიციონერი მიხვდა, რომ ოპოზიციის ეს გზა დამღუპველია და უკვე ჩამოშორდა მას.

დაე, ოპოზიციონურია ფრაქციონერებმა ილაპარაკონ ოპოზიციის „დევნის“ შესახებ პარტიულ კრებებზე, პარტიის მოვალეობაა თვალები აუხილოს პარტიის გულწრფელ და პატიოსან წევრ მუშებს, რომლებიც ჯერ კიდევ მიჰყვებიან ოპოზიციას. გარდა პარტიულ კრებებისა, გარდა ჩვენი პრესისა—სხვაგან არსად არ უნდა ჰქონდეს ადგილი ცეკას დადგენილებათა ახსნა-განმარტებას და გზიდან აცდენილ ამხანაგების დაბრუნებას სწორ გზაზე. ასეთია ჩვენი პარტიის წესდება.

პარტიამ შეასრულა ყველაფერი იმისათვის, რომ ჯერ კიდევ ოპოზიციის მიმდევარი, პატიოსანი და გულწრფელი მუშა-პარტიულები რაც შეიძლება მალე დაეყენებია სწორ გზაზე, ჩამოეშორებია ისინი ტროცკიზმის ლიდერებისაგან და მხარი-მხარში ჩაეყენებია ბოლშევიკურ პარტიის ლენინურ რიგებში.

უმძიმეს მომენტში ჩვენს წინაშე წამოჭრილი უდიდესი ამოცანები მოითხოვენ შემჭიდროებულ და შეთანხმებულ მუშაობას ცეკას ხელმძღვანელობის ქვეშ. ჩვენს პარტიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ოპოზიციის ფრაქციულ და გამთიშველ ბრძოლას.

„პრავდა“ 21 აგვისტო.

ბიტუმები და მათი წარმოება საქართველოში

სააღმშენებლო ტექნიკის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენ სამშენებლო მასალის თვისებათა გაუმჯობესება. ეს აზრი, მიუხედავად მისი სიცხადისა, ყოველთვის არაა შეგნებული მთელი თავისი მნიშვნელობით და მრავალი სამეურნეო მარცხი საუკეთესოდ ადასტურებს იმ საფრთხეს, რომელიც მოსალოდნელია ამ შეხედულებიდან გადახვევის დროს. ამ წერილის თემა შეეხება საამშენებლო მასალის დარგს, რომლის მნიშვნელობაც ხალხის ცხოვრებაში დიდათ აღემატება ამ მასალის წარმოებისადმი არსებულ გულგრილობას. სიტყვა ბიტუმი—ნაკლებად გავრცელებულია და ის თანამედროვე ნომენკლატურის მიხედვით ნიშნავს წყლონახშირმანების და მათ ნაწარმოებთა შავი ფერის ნარევს, რომელსაც აქვს გახურების დროს სითხედ გადაქცევისა და გაცივების დროს კვლავ გამაგრების თვისება, ამასთანავე იჩენს შეკავშირების უნარს, კარგად უძლებს ატმოსფერულ მოვლენებს, მექანიკურ ზეგავლენას და წყალს. ყველა ეს თვისებები საჭიროა იმ მასალისათვის, რომელსაც ხმარობენ გაუმჯობესებულ გზებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, დიდი ქალაქების ქუჩები ან საქალაქთაშორისო ფართო გზები; საამშენებლო მასალას. რომელიც მზადდება ბიტუმის საფუძველზე დატეხილ ქვიდან, ე. ი. ღორღიდან, ხრეშიდან, და სილიდან და კიდევ უფრო წმინდა მინერალური ფხვნილიდან — ეწოდება ასფალტის ბეტონი. ცემენტის ბეტონისაგან ის მით განსხვავდება, რომ შემაკავშირებელ ნივთიერებას მასში წარმოადგენს არა მინერალური გიდრავლიური პროდუქტი, არამედ ბიტუმიანი ნივთიერება, რომელიც მჭიდროდაა შეერთებული მინერალურ ფხვნილთან.

სამხედრო ნაგებობათათვის, ჰიდროტეხნიკისათვის და სხვა მრავალ სპეციალურ კონსტრუქციებისათვის ასფალტის ბეტონი ყველაზე უფრო მიზანშეწონილ მასალას წარმოადგენს. მაგრამ გარდა ასფალტის ბეტონისა უფრო თანამედროვე მშენებლობა, განსაკუთრებით კი ქალაქისა და საფაბრიკო-საქარხნო მშენებლობა აყენებს სხვა ამოცანებს, სახელდობრ მოითხოვს მსუბუქ, პლასტურ და წყლის გამძლე მასალას. რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება როგორც სახურავ და საიზოლიაციო მასალათ დაქანებულ სახურავის კეთების დროს, კედლების და ჭერის სინესტისაგან დასაცავად და სხ. ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად წარმოიშვა სხვადასხვა მასალა, რომელიც გაჟღენთილია და დაფარულია ბიტუმიანი ნივთიერებით. საუკეთესო ნივთიერებათ, რომელნიც ასვალტის ბეტონის, სახურავ, საიზოლიაციო და სხვა მასალის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ. არიან ბუნებრივი ბიტუმები, სხვადასხვაგვარი. სუროგატები, იქნება ეს გადამუშავებული ქვანახშირის თუ ნავთის პროდუქტები, მეტწილად მხოლოდ გარეგნულ ნიშნებით მოგვაგონებენ ბუნებრივ ბიტუმებს, მაგრამ ბევრი მხრით ჩამორჩებიან ამ უკანასკნელთ.

იმ მიზნით, რომ რაციონალურად გადიჭრას მნიშვნელოვანი სამშენებლო პრობლემები, უნდა მოეწყოს ბუნებრივ ბიტუმების წარმოება. ეს გარემოება ხელს არ გვიშლის ვისარგებლოთ სხვა ორგანიული ნედლი მასალითაც, რომლებიც ბიტუმების მსგავს პროდუქტებს იძლევიან, ე. ი. ნავთისა და ქვანახშირის გადამუშავებიდან დარჩენილი პროდუქტებით. პირიქით, უცხოეთის საგზაო მშენებლობისა და სახურავ მასალის წარმოების ფაქტები მოწმობენ ნავთისა და ქვანახშირის პროდუქტებით (როგორც ბიტუმიან მასალის წარმოებებში დამხმარე პროდუქტებით) სარგებლობის სრულ მიზანშეწონილებას. ყოველი მასალა გამოყენებულ უნდა იქნას დანიშნულებისამებრ და მისი თვისებებთან შეფარდებით, მაგრამ არ შეიძლება რომელიმე მასალის მიღება, როგორც პანაცეა წარმოების ყოველ დარგში.

საქართველოში საბიტუმო წარმოებისა და ბიტუმის მასალიდან მშენებლობის დაწყების საკითხის განხილვის დროს საჭიროა აღინიშნოს შემდეგი ძირითადი დებულებები.

ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ეს ქვეყანა ბიტუმიანი ნედლი მასალით. როგორც რაოდენობითი, ისე თვისობრივი მხრით ბიტუმის საბუდოები საქართველოში შესანიშნავად უნდა იქნენ ცნობილი.

ამასთანავე დღემდე ბიტუმების დამუშავება და მათი გამოყენება საგზაო და სხვა სახის მშენებლობაში მეტად იშვიათი მოვლენა იყო.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელებმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს ბიტუმიან ქანებს და წინადადება მისცეს ამ წერილის ავტორს შეესწავლოს ისინი ლაბორატორიული გზით.

ი. მ. ელბაქიძის მიერ პირადათ ნატანების ახლო შეგროვილი და ლენინგრადში გადაგზავნილი ნიმუშები სავსებით გამოსადეგი აღმოჩნდენ ბიტუმის წარმოებისათვის. ამ წინასწარი კვლევის შედეგებისა და საქართველოს ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ჰიჰინაძესთან შემდგომი მოლაპარაკების საფუძველზე სამთო ტრესტს პროფ. ჯანელიძის ხელმძღვანელობით დაევალა გეოლოგიური კვლევა-ძიების წარმოება ნატანების რაიონში ნარუჯისა და საკუპრეს მახლობლად, ნიმუშების გამოკვლევა და, დაბოლოს, საბიტუმო ქარხნის პროექტის შედგენა.

ამჟამად მუშაობა იმდენად წინ წაიწია, რომ შესაძლებელი ხდება შეუდგეთ ამოცანების ნაწილობრივ განხორციელებას, სახელდობრ: სასურველია წარმოების დაყენება საცდელ მასშტაბით იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცეთ სახურავი მასალის ქარხნებსა და საგზაო განყოფილებებს გაეცნონ ბიტუმის თვისებებს და შეეგუონ მას.

არსებობს ბიტუმის ორი დამახასიათებელი სახე: პირველი—უფრო მაგარი, მეორე უფრო რბილი, ისინი წარმოადგენენ მეტად ხელსაყრელ მასალას, რომელიც ერთდაიმავე დროს აუცილებელია როგორც სახურავი მასალის წარმოებისათვის, ისე საგზაო მშენებლობისა და იზოლიაციისათვის.

საქართველოს ბიტუმების უახლოესი პერსპექტივები, საითკენაც მიპყრობილი უნდა იქნეს გზის მშენებლების ყურადღება, იძლევა მათი რაც შეიძლება ფართოდ გამოყენების შესაძლებლობაში ქალაქებში ქუჩებისა და კურორტებში და საწარმოო რაიონებში გზების მოსაკირწყლავად. ასფალტის ბეტონის გზები ცნობილია, როგორც ყველაზე უფრო რაციონალური სატრანსპორტო გზები, ეკონომიური და ტექნიკური მხრით.

თბილისის ქუჩები ასფალტით მოკირწყვლას საჭიროებენ არა ნაკლებ, ვიდრე უცხოეთის დიდი ცენტრები, რომლებმაც დაიწყეს ბიტუმიანი გზების მასიური მშენებლობა.

მეორე არსებითად არა ნაკლებ მნიშვნელოვანი შესაძლებლობა მდგომარეობს დაქანებული სახურავების აშენებაში. ეს კონსტრუქცია,—რომლის პროტოტიპის ნახვა შეიძლება მეზობელ ქვეყნების სახლებში.—არის არა ნაკლებ მიზანშეწონილი, ვიდრე ბიტუმიანი გზები.

რა თქმა უნდა, საქართველოს ბიტუმებს დიდი მომავალი აქვს, რომელიც შორს გასცილდება ადგილობრივ ფარგლებს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა თავის შეკავება და საკუთარი ბუნებრივი ბიტუმების ქვეყნის შიგნით ფართოდ გამოუყენებლობა.

დასასრულ საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამთო ტრესტში და ს. მ. უ. საბჭოში გაიღვიძა საკუთარი საბიტუმო სიმდიდრის შესწავლისა და მისი დამუშავების მეცნიერულ საფუძველზე დაყენებისადმი ცოცხალმა ინტერესმა. ამაში უნდა ვხედავდეთ ამ საქმის სასურველად დაგვირგვინების სტიმულს და სახალხო კეთილდღეობის ახალი წყაროს გამარჯვების საწინდარს.

პროფ. პ. სახაროვი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მატყლის დამზადება

თელავი, 21 აგვისტო. „მწყემსის“ განყოფილება შეუდგა მატყლის დამზადებას. წინასწარ გამოანგარიშებით უნდა დამზადდეს 10.000 ფუთამდე—ანუ 2.000 ფუთით მეტი, ვინემ შარშან (ადს).

სეტყვა

ახალციხე, 21 აგვისტო. ძლიერმა სეტყვამ და ნიაღვარმა გადაიარა აწყურის თემზე; სავსებით განადგურებულია ბაღები და ბოსტნები, რომლებიც გადაურჩნენ წინანდელ სეტყვას.

სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს წარმომადგენლები გაემგზავრენ ზარალის გამოსარკვევად (ადს).

წერილები

გარე-კახეთი
მანავის თემის ავ-კარგი

1926 წლის ადმინისტრატიული დაყოფით, საგარეჯოს თემს გამოეყო რამოდენიმე სოფელი, რომლებიც დღეს მანავის თემში შედიან. მე აქ შევეხები ამ თემში შემავალ სოფლების ავ-კარგს. სოფელ თოხლაურს აქვს ოთხწლედი სკოლა, კოოპერატიული განყოფილება, კლუბი და წითელი კუთხე. სოფლის გზები ნაწილობრივ შეკეთებულია მანავის თემ-აღმასკომის მიერ. მეცადინეობა სკოლაში თავის სიმაღლეზე სდგას, მაგრამ საგრძნობლად მოისუსტებს მასწავლებელთა სკოლის გარეშე მუშაობა. ეს კი აუცილებელია ისეთ ჩამორჩენილ სოფლისათვის, როგორიც თოხლაურია.

იმედია თბილისის განათლების განყოფილება მომავალ სამოსწავლო წლიდან გამოგზავნის ერთ ან ორ მასწავლებელ მამაკაცს, რომლებიც გაუძღვებიან სკოლასთან ერთად სოფლის საქმესაც. კლუბის საკითხი ჯერ - ჯერობით ვერ არის მოგვარებული. შეფს მოუწყვია კლუბში დეკორაციები, მაგრამ კლუბს სკამები არა აქვს. გლეხების აქტივობა მოისუსტებს, მაგრამ მაინც ეტყობა სოფელს დაწინაურება.

ქ. კავშირის უჯრედი, რომლის მუშაობა მომავალში სოფლის დაწინაურების საქმეს დიდ სამსახურს გაუწევს. თოხლაურიდან აღმოსავლეთით გაშენებულია მამული ყოფ. ფრიდონოვის. დღეს კი ის სახალხო მამულია. მამულს აქვს თავისი სარდაფი და სხვა მოწყობილობანი. სამწუხაროდ უკანასკნელი წლების განმავლობაში მამული რიგიან ხელმძღვანელის უყოლობის გამო გადახმა და გადაიქცა უბრალო სახნავ - სათესად. დღეს მამულის გამგედ გამოგზავნეს აგრონომი კოტე ბერეკაშვილი. ამ ჟამად მამულის საკმაო სივრცეზე გაშენებულია ახალი ნამყენი ამერიკული ვაზისა. კარგი იქნებოდა მამულთან ერთად ხსენებულ ბერეკაშვილს ეზრუნა ადგ. ჩამორჩენილ თემის გლეხობაში აგრონომიული ცოდნის შესატანად.

სოფ. მანავში სცხოვრობს 400-მდე კომლი გლეხი. სოფელში გზები სრულიად გაუკეთებელია. სოფელი განიცდის აგრეთვე უწყლობას. სოფელს ერთ უბანში მოუხერხებია წყლის მილების გაყვანა, მაგრამ ჯიბრით მეორე უბანს არ აძლევს ნებას თავის გამოყვანილ არხიდან ისარგებლონ. ამას უნდა მიექცეს ყურადღება. სკოლის ბინა შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. სწავლა აქაც თავის სიმაღლეზე სდგას, მხოლოდ საჭიროა მასწავლებელმა მეტი უნარი გამოიჩინონ საზოგადოებრივ საქმეში. მთელ თემში მხოლოდ ერთი ქოხ-სამკითხველოა. ამის გამო გლეხებიც არ ეტანება შიგ შესვლას.

სოფ. მანავი 3—4 წლის წინად წარმოადგენდა ციების ბუდეს, მაგრამ აქ რაც საქ. წ. ჯვარმა საექიმო პუნქტი გახსნა და ციებ-ცხელება 80 პროც-ით მოსპო. გლეხები იღებენ უფასო საექიმო დახმარებას და წამლებს. პუნქტს ახლა არ აქვს ბინა. ადგილობრივმა აღმასკომმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს პუნქტის ბინით უზრუნველსაყოფად. გაზაფხულზე აღმასკომმა საძირკველი ჩაუყარა 10 ოთახიან შენობას, აქედან 4 ოთახი 4—5 თვეში დამთავრდება, დანარჩენი შემდეგ წელს.

რაც შეეხება სოფ. ბურდიანს და თარაქს აქაც ეტყობა დაწინაურება. სოფ. თარაქში უკვე ჩაეყარა საფუძველი სკოლის შენობას. სოფ. ლარაქში ვეებერთელა ჭაობია, სივრცით 1.200 მეტრი, რომელიც სასწრაფოდ უნდა იქნეს ამოშრობილი, თვარა მთელ თემში გავრცელდება ციებ-ცხელება.

ალ. ბედიაშვილი.

სენაკის საკრედიტო ამხანაგობის გადახალისება

(წერილი ახალ - სენაკიდან)

ამას წინად მოწვეული იქნა სენაკის საკრედიტო ამხანაგობის რწმუნებულთა საგანგებო კრება. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ გადაუხვია საკრედიტო პოლიტიკას, ჩაფუშა გლეხთადმი კრედიტის მიწოდების საქმე, გადავარდა ვაჭრობაში, გააბა კავშირი კერძო ვაჭრებთან, გამგეობაში თავი იჩინა არა კოლეგიალობამ, გამგეობა არ უსმენდა არც საბჭოს, არც სარევიზიო კომისიას. საქმე იქამდე მივიდა, რომ გლეხობაში გაისმა გამგეობის მუშაობის წინააღმდეგ პროტესტები, საჭირო შეიქნა გამგეობის ჭკუაზე მოყვანა. მისი რეორგანიზაციით. სარევიზიო კომისიის წინადადებით მოწვეულ იქნა რწმუნებულთა არა ჩვეულებრივი კრება. გამგეობა კრებაზე ისე დამარცხდა, რომ მოხსენების გაკეთებაც ვერ გაბედა ამის გამო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვასო ქობულია შეიქნა იძულებული თვით გაეკეთებია მოხსენება. მოხსენებიდან აშკარად გამოირკვა გამგეობის სრული უმოქმედობა, მისი მუშაობის უარყოფითი მხარეები სამსჯავროზე იქნა გამოტანილი. კრებამ ერთხმად დაადგინა გამგეობის რეორგანიზაცია. არჩეულ იქნა ახალი გამგეობა.

ბ. უჩანეიშვილი.

ს. დაგეტ-ხაჩინი, ალგულალის თემი
გლეხკომი კარგად მუშაობს

ს. დაგეტ - ხაჩინის გლეხკომი აერთიანებს ორ სოფელს დიდსა და პატარა დაგეტ - ხაჩინებს. ამ ორ სოფელში სცხოვრობს სულ 3062 სული. დაგეტ - ხაჩინის გლეხკომს აქვს წისქვილი, თვიური შემოსავალი მისი უდრის 40 ფუთს, აქვს ბაღჩა ხილის და ბოსტნეულის, რომლის შემოსავალი უდრის 200 მანეთს, საფონდო სახნავი მიწები 6 დესეტინაა. მიეცა დახმარება დაუბრუნებლად ქვრივ - ობლებს 32 ფუთი ხორბალი, წითელ არმიელების ოჯახებს—43 მანეთი, სკოლას 48 მანეთი—ღარიბ მოწაფეებისთვის წიგნების შესაძენად, სოფლის კლუბს 20 მანეთი, წყაროს გამოსაყვანად და გზების შესაკეთებლად 80 მან. დღევანდლამდე გლეხკომს გაუცია სესხი 624 ფ. 23 გირ. ხორბალი. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გლეხკომის შემადგენლობას სავსებით შეუგნია თავისი მოვალეობა.

გარსიაშვილი.

ძველი სენაკი, სენაკის მაზრა
მოგვეცით დასასვენებელი ადგილი

არ არის თითქმის არც ერთი მოზრდილი თემი, რომ არ ჰქონდეს სახალხო სახლი. ამ მხრივ ძველი-სენაკი ერთობ ჩამორჩენილია. წიგნთსაცავ სამკითხველო მოთავსებულია უხეირო შენობაში, რაც უფრო სამკიტნოს ადგილია, ვიდრე სამკითხველოსი. არც სათეატრო დარბაზი გვივარგა, რომელსაც სხვათა შორის არაფერი გააჩნია, სულ უბრალო სცენის მოწყობილობაც კი არ აქვთ. ძველი-სენაკის თემი რამოდენიმე ათეულ კომლი მცხოვრებლებისაგან შესდგება და სირცხვილიც კია ერთი ხეირიანი დასასვენებელი სახლი არ ჰქონდეს. ადგილობრივი მკვიდრნი ამას აუცილებლად ყურადღებას მიაქცევენ, რომ საქმეს დამწყები მეთაური ჰყავდეს.

იმედი გვაქვს ადგილობრივი ხელისუფლება ითავებს ამ საქმეს.

შალიკო.

წერილებიდან

ქვიანი, გურია
გაგვიხსენით სკოლა

დიდი ხანია დაისვა საკითხი სოფ. ქვიანში სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნის შესახებ. ამისათვის ქვიანის საზოგადოებამ შეიძინა სასწავლებლისათვის 8 დესეტინა ადგილი და ორი სართულიანი შენობა სკოლისათვის.

ბევრი ეცადენ ძველი რეჟიმის დროს, მაგრამ ვერას გახდენ. გასაბჭოებიდან უკვე აღძრულ იქნა შუამდგომლობა და განათლების კომისარიატმაც მიაქცია ამ მდგომარეობას ყურადღება მაგრამ საქმის მოგვარებას მაინც ვერაფერი ეშველა. საჭიროა ამ მდგომარეობას იქციოს ყურადღება ოზურგეთის განათლების განყოფილებამ და მოაგვაროს ეს საკითხი.

გ. ნულაძე,

ხ. ნინოწმინდა, თბილისის მაზრა
წელს ნათესები გადახმა

ნინოწმინდა დაშორებულია თბილისიდან 42 ვერსით. ეს სოფელი კულტურულად ჩამორჩენილია. ის მეტად ღარიბია. წელს განსაკუთრებით დაზარალდა: პურის მოსავალი ძალიან მცირეა, რადგანაც გვალვებმა სავსებით აშრიტეს მარცვალი. სარწყავი მინდორი მცირეა. სიმინდის მოსავალსაც კარგი პირი არ უჩანს. სოფლის გარედ მისდევენ ვაზის მოშენებას, მაგრამ წყალი არა აქვთ.

ნინოწმინდელი.

ქ. ხონი, ქუთაისის მაზრა
სახ. დაზღვევის საქმე

ქ. ხონში ჩამოყალიბდა სახელმწიფო სავალდებულო საგანგებო დაზღვევა, რასაც ხალხი აღფრთოვანებით ეგებება; მოითხოვენ დამატებით დაზღვევას სახლებისა და საქონლისას—ეს რამოდენიმეჯერ უკვე გატარებულია. სააგენტო აკეთებს მოხსენებას უბნებში მასიურ კრებებზე და აცნობებს მასას დაზღვევის მნიშვნელობას და სარგებლობას. დაზღვეულია მთელი ქალ. ხონის ქონება სახლებისა და სასოფლო - სამეურნეო ცხოველების სახით. ღარიბი გლეხობა სააგენტოს მიერ განთავისუფლებულია გადასახადისაგან, ზარალის დროს კი ეძლევა დახმარება.

ი. ფალავა.

სოფლის ქრონიკა

— **ზემო - აჭარაში** ახლო ხანში გაიხსნება ერბო - ყველის დამამზადებელი ქარხანა.

— **ქუთაისის ხე - ტყის** ქარხანაში ამჟამად დგამენ ახალ ლოკომოტივს 100 ცხენის ძალიანს.

— **კინო.** ქუთაისის მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიხსნა იაფ-ფასიანი კინო.

— **ბარაკები.** ქუთ. აღმასკომმა გადასწყვიტა გარე უბნებში რამდენიმე ადგილას მოაწყოს გადამდებ სნეულებათა დაავადებულთათვის ბარაკები.

მუშათა ცხოვრება

გადასახადის ამკრეფ ზოგიერთ მოხელეების შესახებ

(აღმასკომის საყურადღებოდ)

თბილისის აღმასკომის ფინინსპექტორებს ყავთ საგანგებო აგენტები გადასახადების ამკრეფათ. სამწუხაროთ ყველა მოქალაქეს არ ესმის, რომ საჭიროა გადასახადის თავის დროზე გადახდა. ათასნაირი ხრიკებით ცდილობენ ისინი თავი დაიძვრინონ გადასახადისაგან. განსაკუთრებით ვაჭრები არიან ამაში დახელოვნებული. მალავენ საქონელს, მალავენ თავის საკუთრება - ნივთებს; არქმევენ თავიანთ ნივთებს სხვის სახელს და ასე არ აძლევენ საშუალებას ფინინსპექტორის მოხელეს ასწეროს დავალიანებულ მოქალაქესთან რაიმე ნივთი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გამტყუნების მაგიერ ხელი უნდა შეუწყოთ, ქალაქის მოხელეს, რომ მან შესძლოს გადასახადის აღება.

ხოლო რა უწოდოთ ისეთ მოხელეს, რომელიც ერთი საზომით უდგება ყველა დავალიანებულს, არ არჩევს — ვაჭართან აქვს საქმე თუ სხვასთან. არ კითხულობს ვის ნივთს სწერავს და სამართლიანად იქცევა თუ არა. არის შემთხვევა, რომ მოხელე მოდის ისეთი მუშის ოჯახში, რომელსაც აქვს პატარა ქოხი — ერთი ანუ ორი ოთახი. ასეთ მუშაზე შეწერილია გადასახადი რამოდენიმე მანეთი. როცა ასეთი უწყება პირველად უნდა დარიგდეს მოხელე თავს არ იწუხებს. მას გადასახადის უწყება არ მოაქვს მევალესთან. არც მეორე გაფრთხილება მოაქვს. შემდეგ მოდის უკვე ისეთი განკარგულება, რომ თუ ამ ხუთ დღეში არ მოგიტანია ორმაგი გადასახადი — აი ამ ნივთს ვბეჭდავ და გაიყიდება.

არის ოჯახში ერთი ალიაქოთი. კაცი ყოველდღე სამუშაოდ გადის, ქალაქში დარბიან ხან აღმა და ხან დაღმა და ვერაფერი გაუგიათ. ერთი კვირის შემდეგ კი მოდიან და უკვე ლომბარდში იბარებენ სახლის პატრონს.

ასეთი სისტემა ყოვლად დაუშვებელია. გადასახადის შესახებ უნდა მოვიდეს პირველი ცნობა აქ აღნიშნული უნდა იყოს გადასახადის საბოლოო ვადა, თუ მოვალემ არ გადაიხადა—მეორედ უნდა გააფრთხილონ, და მხოლოდ მესამე გაფრთხილების შემდეგ დასაშვებია ნივთის აწერა. ასეთია რამდენადაც ჩვენ ვიცით კანონიც. ამაზე გადახვევა არის უკანონობა.

იყო ასეთი შემთხვევაც: ერთ მოხუც პენსიონერთან მივიდენ და ასწერეს ნივთი. არც ერთხელ მას უწყება ან გაფრთხილება არ მიუღია. მოვალეს ქონდა უფლება არ გადაეხადა ეს ვალი ასე უცბად, რადგან მას ამის შესახებ ცნობა არ ქონდა, მაგრამ მეორე დღეს ეს ფული შეტანილ იქნა ხაზინაში.

გადის ორი კვირა და გამოდის ეხლა მეორე აგენტი გვარად კიკნაძე.

— თუ ხვალ ლომბარდში არ შეიტანე ფული, — მოვალ და ნივთს გავყიდიო.

ერთი სიტყვით უკანონოდ იქცევიან ზოგიერთი აგენტები.

ამას უნდა მოეღოს ბოლო. უნდა იქნეს კანონი დაცული. ჩააბარეთ უწყება მოვალეს დროზე; ეცადეთ გამოარკვიოთ მუშა - მშრომელთან გაქვთ საქმე თუ ვაჭარ - სპეკულიანტთან.

გრიგალი.

სადელეგატო კრება

(თბილისის საყუდი)

18 აგვისტოს შესდგა თბილისის საყუდის და სარონოდო ფარეხის დელეგატების საერთო კრება.

მოხსენება გააკეთა სადუქნო - საკონტროლო კომისიის წევრმა ამხ. აკოფოვამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს კომისია მიმაგრებულია „ზაქტპო“-ს მე-4 მაღაზიაზე. კომისიის უმთავრესი საკითხი იყო, მაღაზიის გაფართოება. აგრეთვე კომისია აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ფასების დაკლების გატარებაში.

კომისიის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო და მიიღო შემდეგი პრაქტიკული წინადადებანი: ეთხოვოს „ზაქტპო“-ს გამგეობას, რათა სადუქნოს საკონტროლო კომისიის შენიშვნებს მიექცეს ყურადღება; კომისიას დაევალოს თვეში ერთხელ დაათვალიეროს ყველა გასასყიდი საქონლები, მათი ხარისხის გამოკვლევის მიზნით; მიექცეს ჯეროვანი ყურადღება მომხმარებელთა მოთხოვნილებებს და აგრეთვე გაზეთებში მოთავსებული ცნობებს; დაცულ იქნას მტკიცე წესი ნორმიანი გასავალი საქონლის სწორი განაწილების მხრივ მომხმარებელთა შორის; მტკიცეთ იქნეს დაცული წესი ფასების დაკლების შესახებ და ასეთი პრეისკურანტები გაკრულ იქნეს.

დასასრულ კრებამ ერთხმად დაამტკიცა ადგილკომის თავმჯდომარეთ ამხ. **ნიკოლოზ პატარიძე.**

მუშკორი— ძია-ლევანა.

შოფერები მივლინების დროს

სრულიად საქართველოს ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის პრეზიდიუმმა იქონია მსჯელობა შოფერების მივლინებაში ყოფნის დროს (გამგზავრების და დაბრუნების დროს) მათთვის სამივლინებო ხარჯების შრომის ხელფასის ანაზღაურების შესახებ.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ პრეზიდიუმმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მეშვეობით შრომის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა შოფერების სამივლინებო დღიურების გამოანგარიშების დროს, შოფერებისათვის დაშვებული იქნას გამონაკლისი მივლინებაში წასულის და დაბრუნების ცალ-ცალკე დღეებათ გამოანგარიშებით. ვინაიდან უკანასკნელთ მივლინებაში გამგზავრების მთელ მანძილზე, უხდებათ ფიზიკური მუშაობა, რაიც არ შეიძლება შეფარდებული იქნას მატარებლით მივლინებაში გამგზავრებულ პირთა პირობებთან.

ვ. სულაქველიძე.

„ზაქტპოს“ სესხის შესახებ

გაჭირვებულ მუშა - მოსამსახურეთათვის კარგია სესხი, როგორც ხელ მოსამართი, მაგრამ ისეთი წესი, როგორიც ეხლა სუფევს, საანგარიშო კანტორებში, და მით უფრო დეპოს კანტორაში, დაუშვებელია. მკითხავთ რაზე.

ერთი, რომ მუშები ანებებენ თავს თავიანთ დაზგებიდან მუშაობას და ათასობით შემოიჭრებიან კანტორაში, ყველა ცდილობს, რაც შეიძლება ადრე მიიღოს. ამ ნიადაგზე ხდება ისეთი აურ - ზაური, რომ მოანგარიშეებს უხდებათ გაანებონ თავი თავის საქმეებს და შეუდგენ ჩეკების წერას. თვეში ასეთ მდგომარეობას 2—3-ჯერ აქვს ადგილი. თითო ჯერზე არა ნაკლებ 100 ჩეკი იწერება, თუ მივიღებთ მხედველობაში გრძელვადიან ჩეკების გაწერას თვეში საშუალოთ იწერება არა ნაკლებ 1.000 ჩეკისა. ეხლა ავიღოთ მუშების გაცდენა და ლოდინი ჩეკების მისაღებათ. თითო კაცი დაკარგავს მის მოლოდინში არა ნაკლებ ერთი - ნახევარ საათს. მასთან კანტორის მოხელეებიც აურ - ზაურის გამო ბევრ დროს კარგავენ.

ამით ტრანსპორტს დიდი ზარალი ეძლევა. თავიდან რომ მოვიშოროთ ასეთი უგეგმო მუშაობა, საჭიროა გამოიცვალოს სისტემა. ეს შეიძლება შემდეგნაირად: თვით „ზაკტპომ“ უნდა გამოგზავნოს თავისი აგენტი დეპოში რომელსაც დაევალება წინასწარ წიგნაკების აღება და ჩეკების დაწერა, დანიშნულ დროზე მოვლენ მუშა - მოსამსახურენი „ზაკტპოს“ აგენტთან, და დროს დაუკარგავად მიიღებენ დამზადებულ ჩეკებს. არც კანტორის მოხელეები დაკარგავენ დროს და არც აურ - ზაურს, ლანძღვა-გინებას ექნება ადგილი.

მუშკორი ძია—ლევან.

საყურადღებო წვრილმანი

ხუგაროვმა მილიციელი გალანძღა და გალახა. 3 აგვისტოს მეათე სამილიციო რაიონში მიიღეს ტელეფონოგრამა, რომ დინამოში გაეგზავნათ ოთხი მილიციონერი წესიერების დასაცავად. კომისარიატიც ასე მოიქცა. პოსტიდან გამოცვლის შემდეგ მილიციელები გამოცხადდენ ოთხ საათზე კომისარიატში, რის შემდეგ ისინი გაგზავნილ იქნენ დინამოში. როდესაც მივიდენ იქ დაუხვდათ მოქ. **ხუგაროვი,** რომელმაც შეხვედრისთანავე ერთ მილიციელს დაუწყო ლანძღვა-გინება: შენ ვირო, სად იყავით ამდენხანს. ესეც არ აკმარა და ჯოხიც დაარტყა. შემდეგ დაუწყო მუქარა, რომ სამსახურიდან დაითხოვდა. მილიციელი სთხოვდა წაყოლოდა მას კომისარიატში, მაგრამ ხუგაროვმა არ ინება წასვლა და იძახოდა: რა არის კომისარიატი, ყველას მოგხსნით სამსახურიდანო.

თუნდაც რომ დიდი კაცი იყოს, ასეთი საქციელისათვის პასუხი უნდა მოეთხოვოს მოქ. ხუგაროვს.

მახვილი.

ფორმა ერთი უნდა იყოს ყველასათვის.

(რესპუბლიკის მილიციის უფროსის საყურადღებოდ)

მილიციას აქვს თავისი დებულება, რომელიც მილიციის სამსახურს განსაზღვრავს. იქ ნათქვამია, რომ მილიციაში ყველას სამსახურის დროს უნდა ეცვას მასზე მინიჭებული ფორმა. მაგრამ ეს არ ხდება. უფროსი თანამშრომლები და რაიონის უფროსები იცვამენ თეთრ ხალათებს და ქუდს, როგორიც მათ მოესურვებათ, და თუ კი უმცროსები ჩაიცვამენ ასეთებს, მაშინვე მიიღებენ შენიშვნას. რად უნდა ხდებოდეს ეს ასე. ფორმა ყველასათვის ერთნაირად უნდა იყვეს სავალდებულო.

მ—ლი.

საყურადღებო წვრილმანები

— **მუშური მადლობა.** დიდი ყურადღება ექცევა მუშების ჯანმრთელობას. მე ჩემი ავადმყოფობის დროს მოთავსებული ვიყავი კამოს საავადმყოფოში და უნდა სიმართლე ითქვას, მოვლა და ყურადღება ძალიან კარგი მქონდა. ჩემ მუშურ მადლობას ვუძღვნი ხსენებულ საავადმყოფოს როგორც მაღალ, ისე დაბალ პერსონალს.

მუშა მ. გასპაროვი.

— **პასუხი უნდა მოეთხოვოს თავხედ უფროსს.** (მილიციის უფროსის საყურადღებოდ). მილიციაში არის სადისციპლინო წესდება, რომელიც ეხება სამსახურებრივ მცირე დანაშაულს. თუ კი ვინმე ჩაიდენს მცირე დანაშაულს, ის დაისჯება დისციპლინარული წესით, და თუ კი მას არ ყოფნის ეს სასჯელი მას მისცემენ სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში, მაგრამ ასე არ მოიქცა ხმალაძის თანაშემწე წერეთელი. მე-12 უბნის უნცროს მილიც. ზაზურაშვილს სცემა საგუშაგოში. თუ მილიციელი დამნაშავე იყო მას შეეძლო ის პასუხისგებაში მიეცა და ცემის უფლება კი მას არავითარ შემთხვევაში არ ქონდა.

ასეთი მოქმედება სცემს მილიციის პრესტიჟს. საჭიროა პასუხი მოეთხოვოს მას ასეთი თავხედობისათვის.

მახვილი.

მუშათა ქრონიკა

— **სხდომა.** სამშაბათს, აგვისტოს 23-ს, დილის 11 საათზე ს. პ. კ. ს. საორგანიზაციო განყოფილებაში დანიშნულია ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ჩასატარებელ კომისიის სხდომა.

— **კლუბის 21983 წევრი.** საქართველოს პროფსაბჭოს შრომის სტატბიუროს ცნობით ა.-წ. 1 თებერვლისათვის საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ მუშათა კლუბებში ჩაბმულია 21.983 კლუბის წევრი. მათ შორის 4.406 ქალია.

ჩვენი ფოსტა

მუშკორ მეხს—გთხოვთ შემოიაროთ რედაქციაში.

კონკურსი
საუკეთესო კოლმეურნეობაზე

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაადგინა მოაწყოს კონკურსი საუკეთესო კოლექტიურ მეურნეობაზე ა-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში.

კონკურსის ორგანიზაციაში მონაწილეობის მისაღებათ ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა მიიწვია ამიერ-კავკასიის ფედერაციის ყველა სასოფლო-სამეურნეო ბანკები.

გორის ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე

შორს ჟორდანია-რამიშვილის სისხლიანი ხელები

14 აგვისტოს საღამოს 6 საათზე ქალაქის ბაღში შესდგა გორის ინტელიგენციის და ხელოსანთა მრავალრიცხოვანი საერთო კრება, რომელსაც მრავალი მუშა - მოსამსახურე დაესწრო. კრებაზე მოსმენილი იქნა გორის აგიტპროპაგანყოფილების ამხ. შ. ნუცუბიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის და ქართველი კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციის ავანტიურისტულ მუშაობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ სიტყვებით გამოვიდნენ: გორის მშრომელი ინტელიგენციის — ექიმების სახელით კოტე ელიოზიშვილი, მასწავლებლების სახელით კოტე გაბარაშვილი და არჩილ ღვინიაშვილი. უპარტიო ქალების სახელით ილაპარაკა ექ. კოსტავამ.

სიტყვების შემდეგ საერთო კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლიდანაც მოგვყავს ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილები.

გორის მუშა - მოსამსახურეთა და ხელოსანთა საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და ქართველ კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციის ავანტიურისტულ მუშაობის შესახებ, აღნიშნავს შემდეგს:

„კაპიტალიზმის ბუნება და საერთაშორისო იმპერიალიზმი დიდი ხნით ვერ ითმენს მშვიდობიანობას. სანამ არსებობს კაპიტალიზმი ქვეყნიერება არ შეიძლება დაზღვეული იქნეს ომის საშიშროებისაგან. საერთაშორისო იმპერიალიზმის მებაირახტრეთ გამოდის ინგლისის კონსერვატიული მთავრობა.

იმპერიალისტებს მოსვენებას არ აძლევს სოციალისტური საბჭოთა კავშირის ათი წლის არსებობა, რომელიც პროლეტარიატის მთავარი დასაყრდენია კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სიტყვით სოციალიზმზე და მშვიდობიანობაზედ ლაყბობა — საქმით იმპერიალიზმის ხელის შეწყობა, მუშათა კლასის ღალატი და დახვრეტა, აი საერთაშორისო მენშევიზმის გამცემლური ბუნება. ასეთ გზას ადგია გამცემლები ლიდერები, კაუცკი და მაკდონალდები და სხვები მეორე ინტერნაციონალიდან.

განსაკუთრებულ მდგომარეობაშია საქართველოს კონტრ - რევოლიუციონური ემიგრაცია, გამცემლებ ჟორდანია და რამიშვილის მეთაურობით.

იმათ არამც თუ უღალატეს რევოლიუციას არამედ ღალატობენ მთელ ქართველ ერს.

ჟორდანია, რამიშვილის ავანტიურისტულმა ჯგუფმა სტერლინგებზედ მიჰყიდა ინგლისის იმპერიალისტებს ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესები.

მათ წარმოგზავნეს საქართველოში კონტრრევოლიუციის მოციქულები ქარცივაძე და ანჯაფარიძეები აჯანყების და ავანტიურის მოსაწყობად, პოლონეთის და ინგლისის ჯაშუშებათ.

ქართველი მშრომელი ხალხი აღშფოთებულია საქართველოდან გახიზნულ ემიგრაციის ავანტიურისტული მოქმედებით.

გორის მშრომელი ინტელიგენცია ზიზღს უცხადებს მოღალატე ემიგრანტებს ჟორდანია - რამიშვილებს და მათ ჯგუფს.

გორის ინტელიგენცია აცხადებს, რომ ის მთელი კავშირის მშრომელებთან ერთად მზად არის შეებრძოლოს და სათავეშივე ჩაახშოს მენშევიკური ავანტიურა და იმპერიალისტების ზრახვანი“.

მასწავლებელთა დეკლარაცია

ყოველივე პატიოსანი ინტელიგენტი დღეს სრულიად შეგნებულად საბჭოთა პლატფორმაზე სდგას. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ აუარებელი ფაქტები გვაქვს იმის დამამტკიცებელი, რომ ბოლშევიკებმა სავსებით გაამართლეს მშრომელი ხალხის იმედები. განა ფაქტი არა არის, რომ სახელმწიფოს ინდუსტრიალიზაციაზე აღებული ხაზი, წარმოების და მეურნეობის აწევა, ჩვენი სიამაყის ზაჰესის გაშვება, მსწრაფლის ნაბიჯით ელექტროფიკაციის წინსვლა, ახალი ფაბრიკა - ქარხნების აგება—ყველაფერი ეს საგრძნობლად აუმჯობესებს მშრომელი ხალხის და გლეხების მდგომარეობას. განა ფაქტი არ არის ის გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლების 6-ი წლის არსებობის დროს საქართველოში იმდენი გაკეთდა, რაც არასოდეს არ გაკეთებულა საუკუნეთა განმავლობაში. ავიღოთ მშენებლობის დარგი; ავიღოთ ზაჰესი ამ 6 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ რომ არაფერი არ გაეკეთებინა და მარტო ზაჰესი აეგო ისიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ მას, ამ ხელისუფლებას აქვს უნარი სახელმწიფოს მშენებლობისა. ავიღოთ სხვა დარგები მშენებლობისა: ქუთაისის მაუდის ქარხანა, თბილის ქარხანა; ჯანმრთელობის დარგში — საუცხოვო სანატორიუმები არაზინდის, ლიბანის, თვით გორში მშვენიერი საავადმყოფო და ორი დისპანსერი ვენერიული და მალარიის, ტირიფონის არხი და სხვა.

ავიღოთ განათლების დარგი. თქვენ ყველამ კარგათ იცით, რას წარმოადგენდა ძველი სკოლა. ეს იყო სკოლა ბურჟუაზიული, გლეხების და მუშების შვილებისათვის ამ სკოლის კარები დაკეტილი იყო. სკოლა დაშორებული იყო ცხოვრებისაგან, ის ზრდიდა „ჩინოვნიკებს“ და თვით მასწავლებელიც ჩინოვნიკი იყო.

მასის განვითარებაზე არავინ ფიქრობდა, პირიქით მას განგებ სიბნელეში სტოვებდენ, რადგან იცოდნენ რომ ამგვარად უფრო ადვილი იყო მასზე ბატონობა.

მენშევიკების დროს სკოლა თითქმის არ შეცვლილა; ცვლილება იყო მარტო იმაში, რომ მოხდა სკოლის ნაციონალიზაცია, ე. ი. სწავლება იყო ქართულ ენაზე, სხვაფრივ სკოლის სტრუქტურა, პროგრამები — ისევ ძველი დარჩა.

ავიღოთ თანამედროვე სკოლა: ეს სკოლა შრომის სკოლაა, მისი შინაარსი, პროგრამები, სწავლების მეთოდები შრომის პრინციპზეა აგებული, იგი დაახლოვებულია ცხოვრებასთან, იგი გაზრდის ცხოვრებისათვის მომზადებულ ახალგაზრდებს. ხელისუფლებას ეხლა აღებული აქვს გეზი სპეცსასწავლებლებზე, ე. ი. ისეთ სასწავლებლებზე, რომლებიც მოამზადებენ სხვადასხვა დარგების კვალიფიციურ მუშაკებს. მიქცეულია დიდი ყურადღება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე. თითქმის ყველა სოფელში არის სალიკვიდაციო სკოლა მოზრდილებისათვის. ახლო მომავალში მოწმენი გავხდებით იმისა, რომ არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ იქნება საქართველოში. უმწეო ობოლ ბავშებისთვის იხსნება საბავშო სახლები, სადაც ისინი იძენენ სწავლას და ემზადებიან ცხოვრებისათვის.

თანამედროვე მასწავლებელი საზოგადო მოღვაწეა. განსაკუთრებით სოფლის მასწავლებელი, იგი სოფლის ყველა ორგანიზაციაში იღებს მხურვალე მონაწილეობას.

ერთი სიტყვით რა დარგიც არ უნდა ავიღოთ, ყველგან ვხედავთ დიდ მიღწევებს..

და აი ეხლა, როდესაც მშრომელთა მასსა ჩაბმულია მუშაობაში, ჟორდანია - რამიშვილები კვლავ გზავნიან თავის ემისარებს და გეგმებს, რითაც ცდილობენ ჩააჩრჩონ კვლავ საქართველო სისხლის მორევში. საკვირველი ამბავია. ჟორდანია აქ იყო, სამი წლის განმავლობაში ნგრევის და ომების მეტი არაფერი გაუკეთებია და ეხლა სურს მზა-მზარეულზე მოიკალათოს. მაგრამ ის სცდება, მას კარგად უნდა ახსოვდეს ერთი რამ: ისტორიის მსვლელობას ვერავინ შეაჩერებს, სახელმწიფოს ფუძე—მუშები და გლეხები თავის ხელისუფლების მხარეზე არიან, არავის დაუთმობენ ამ ხელისუფლებას. ჟორდანიამ დაჰკარგა ყოველივე ნდობა ქართველი ერის შეგნებულ ნაწილში, და მას აქ საქართველოში ადგილი არა აქვს.

გორის მასწავლებლები მტკიცედ სდგანან საბჭოთა პლატფორმაზე და ზიზღს უცხადებენ ემიგრანტებს, რომლებიც ლამობენ თავისი სისხლიანი ხელები კვლავ გამოიშვირონ საქართველოსაკენ. გორის მასწავლებლობა მზად არის უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცვას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, იგი მუდამ ხელისუფლებასთან არის და იქნება.

არჩილ ღვინიაშვილი, კ. გაბარაშვილი, მ. მელიქიშვილი, ს. ურფანიანცი, მ. ანდრონიკოვი, თ. გაჩეჩილაძე, შ. გაჩეჩილაძე, ნ. ჭიჭინაძე, თ. ჭიჭინაძე, მ. თავდგირიძე. ნ. თავდგირიძე, დ. თავდგირიძე. ლ. უაისაშვილი, ილ. თარხნიშვილისა, ი. ქუმსიშვილი. ო ჯაფარიძე, ოლ. ნარიაშვილი, ს. ჩიხლაძე, ქ. სააკაშვილი, ი. კუზანოვი, სვ. თულაშვილი, ივ. მთიულიშვილი, ა. ხახანოვი, ი. ალიხანოვი, შ. ბერიძე, კ. არველაძე, ს. კასრაძე.

რა გაკეთდა
(სახალხო ღვინის სარდაფი)

სახალხო ღვინის სარდაფის მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ დაამზადოს და ბაზარზე გამოუშვას საუკეთესო ხარისხის ევროპიული და ადგილობრივი ტიპის ღვინოები. ამ მიზანს სარდაფი სავსებით ანხორციელებს. გადაჭარბებულ თავის ქებად ნურავის ჩამოგვართმევს თუ ვიტყვით, რომ მთელ საკავშირო მაშტაბით თბილისის სახალხო ღვინის სარდაფი სახალხო მამულთან ერთად ერთი მეღვინეობის ორგანიზაციაა, რომელმაც არა თუ შეინარჩუნა თავისი პრესტიჟი, არამედ ბევრად აამაღლა ის. ცნობილ სამარკო ღვინოებს № 66, 64, 47, 48, 45, სახალხო სარდაფმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიუმატა ახალი ტიპის ღვინოები საერთო რიცხვით 8 ნომერი. ეს ღვინოებია: სუფრის № 22, და 18 კახური ტიპის № 2 და პორტვეინის ტიპის № 1, № 4, 9 და 10 სამკურნალო ყურძნის წვენი.

ახლად გამომუშავებული ტიპის ღვინოები იმდენად კარგი ღირსების აღმოჩნდენ, რომ მცირე ხნის განმავლობაში ფართო მოხმარების საგნად გახდენ. უნდა აღინიშნოს, რომ პორტვეინის ტიპის ღვინოების დამზადება საქართველოს ღვინოებიდან პირველი ცდა იყო და ბევრი უიმედოთ უყურებდა ამ საქმეს. მაგრამ სინამდვილემ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. სახ. მამულთა ტრესტის სარდაფის პორტვეინის ტიპის ღვინოებს დღეს საკავშირო ფარგლებში ვერ შეედრება ვერც ერთი სხვა ფირმის პორტვეინის ტიპის ღვინოები ვერც ტიპით, ვერც გემოთი, ვერც „თაიგულით“. ეს პირველი ნაბიჯი დიდ იმედებს იძლევა, ვინაიდან რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა შემაგრებული ტიპის ღვინოებზე.

აგრეთვე ფრიად დამაკმაყოფილებელი შედეგი მოგვცა ყურძნის წვენის დამზადების პირველმა ცდამ. ასე რომ მომავალში სარდაფი ამ ტიპის ღვინოსაც დიდი რაოდენობით დაამზადებს მაგ. მიმდინარე წელში განზრახულია 200.000 ბოთლის დამზადება. თუმცა მოთხოვნილება ამჟამად ორჯერ-სამჯერ აღემატება აღნიშნულ რაოდენობას.

გარდა ამისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არცერთი ღვინით მოვაჭრე კერძო თუ სახელმწიფო ფირმა დღეს ბაზარზე არ უშვებს გასასყიდად ძველ 3—4—5 წლიან ღვინოებს, რადგან ასეთის მარაგი მათ არ გააჩნიათ. ვაჭრობენ უმთავრესად ახალი მოსავლის ღვინოებით. ამ მხრითაც სახალხო მამულთა ტრესტი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. მას არ უღალატნია ტრადიციისათვის და სამარკო ღვინოებს ბაზარზე სამი წლისაზე ახალგაზრდას არ უშვებს. ჩვეულებრივად კი ჩვენი სამარკო ღვინოები 47, 48, 66, 64 და სხვები 4—5 წლისა გამოდის ბაზარზე გასაყიდად, რაც მათი ღირსებისათვის დიდი დადებითი თვისებაა.

სახალხო სარდაფში ინახება უძვირფასესი კოლექცია ძველი ადგილობრივი ღვინოებისა 70.000-დე ბოთლი, რომელთაგან უძველესი არის **1892 წლისა.** იქვე ინახება 6.00-მდე ბოთლი უძვირფასესი ღვინო საზღვარგარეთის კოლექციისა, რომელთაგან უძველესი არის **1808 წლისა.** ეს საკოლექციო ღვინოები ამჟამად დაუფასებელი საგანძურია როგორც მატერიალური, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით.

ამასთან ერთად სარდაფში სწარმოებს მუშაობა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. ამ მიზნით უკვე გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ბევრ სამუშაო დარგში შემოღებულ იქნა გაუმჯობესებული მანქანები. ასე, მაგალითად, სახალხო სარდაფში ამჟამად მუშაობს ბოთლების სარეცხი მანქანა, ეტიკეტების დასაკრავი მანქანა, კაპსულების დასაცობი მანქანა. ღვინოების გადასაღები მანქანა. ღვინოების გასაწმენდი მანქანები, პასტერიზატორი და სხვა.

მექანიზაცია მუშაობისა ორი მხრით იძლევა დადებით შედეგს: ერთი მხრით ადიდებს მუშაობის ნაყოფიერებას, ხოლო მეორე მხრით შესამჩნევად აუმჯობესებს თვით ნამუშევარის ხარისხსაც განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომის ნაყოფიერების ზრდის ეფექტი. მაგალითად, ხელით 1 მუშა დღეში (რვა საათში) რეცხავს 250—300 ბოთლს, სარეცხი მანქანის საშუალებით 1 კაცს დღეში (8 საათში) შეუძლია გარეცხოს 2.000 ცალი ბოთლი, ე. ი. შეუძლია გასწიოს 7 კაცის მაგიერობა. 600 ბოთლის ეტიკეტებით მორთვას უნდებოდა 1 კაცი დღეში, ამჟამად მანქანის საშუალებით 1 კაცს შეუძლია 2.500—3.000 ბოთლის მორთვა ეტიკეტებით. თუ ხელით 1 კაცი დღეში 1.200 ბოთლს გაუკეთებდა კაპსულებს, დღეს მანქანის საშუალებით 3—4 ათასი ბოთლის მოკაზმვა შეუძლია 1 კაცს. თუ წინად 1 კაცი ხელით 200 ვედრო ღვინოს გადაიღებდა დღეში, დღეს მანქანის საშუალებით 1 კაცს 8.000 ვედრო ღვინის გადაღება შეუძლია დღეში.

ამ მხრივ სავსებით ვატარებთ ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლებისა და ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციების დირექტივებს, რაშიაც დიდათ გვიწყობს ხელს სახალხო მამულთა ტრესტი.

უკანასკნელ ხანებში სახალხო სარდაფში გამართული იქნა რამდენიმე საწარმოო თათბირი, რომლებზედაც სავსებით გაშუქებულ იქნა ის დეფექტები, რომლებიც ხელს უშლიდა ნაყოფიერ მუშაობას. გამომუშავებულ იქნა მთელი რიგი ზომებისა, რომელიც ტრესტის სამმართველოს დასტურითა და ნივთიერი დახმარებით სავსებით ტარდება ცხოვრებაში.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ტრესტის სამმართველო და სარდაფის მუშა-მოსამსახურენი მომავალშიაც შეთანხმებული იმუშავებენ და მზრუნველობას არ მოაკლებენ ამ ფრიად მნიშვნელოვან სამეურნეო ორგანოს, რომლითაც თამამად შეუძლია იამაყოს საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას.

დ—ი.

ნავთის ახალი წყაროები

შირაქის და ილდოგანის ნავთი

ამ დღეებში თბილისში დაბრუნდა საქართველოს სამთო ზედამხედველობის უფროსი და მთავარი რწმუნებული შირაქის რაიონში ინჟ. ა. კანდელაკი, რომელმაც ნავთის ახალი სარეწაოების შესახებ ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი ცნობები:

შირაქის ნავთის დამუშავება

როგორც იცით, შირაქში ნავთის დამუშავების საქმე გადაცემული აქვს იტალია - ბელგიის შერეულ საკონცესიო საზოგადოებას. აღნიშნულმა საზოგადოებამ შირაქში ნავთის საგამოკვლევო სამუშაოები უნდა დაასრულოს ხუთი წლის განმავლობაში (1929 წლის მარტში), ხოლო საექსპლოატაციო ვადათ კონცესიონერს მიცემული აქვს 30 წლიწადი 1929 წლიდან.

საგამოკვლევო სამუშაოების დაწყებიდან დღემდე ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები: მოხდა შირაქის უბნის გეოფიზიკური გამოკვლევა, ამოღებულ იქნა ოთხი პატარა ჭაბურღილი თითო ას-ასი მეტრის სიღრმეზე და 23 ივლისიდან დაიწყეს დიდი ჭაბურღილის ამოღება. უკანასკნელ ჭაბურღილის სიღრმემ უნდა მიაღწიოს 500-600 მეტრამდე. ამ სიღრმიდან, კონცესიონერის გამოანგარიშებით, უნდა დაიწყოს ნავთის შადრევანმა. სამუშაოების დათვალიერების დროს, 15 აგვისტოს ჭაბურღილი ამოღებული იყო 25 მეტრის სიღრმეზე. ჭაბურღილის ამოსაღები კოშკი საუცხოვოდაა მოწყობილი. მუშაობას ხელმძღვანელობს საკონცესიო საზოგადოების დირექტორის თანაშემწე ინჟ. ა. **გიუნმურელი,** ხოლო ჭაბურღილის ტეხნიკურ ხელმძღვანელად ითვლება ცნობილი ფრანგი სპეციალისტი მოქ. ა. **კალმეტი.**

მე, როგორც ს. მ. უ. ს. მთავარ რწმუნებულს აღნიშნულ სამუშაოების შესრულებაში მაინტერესებდა ის პირობები, თუ როგორ და რა წესით აწარმოებს კონცესიონერი საგამოკვლევო სამუშაოებს და რა პერსპექტივები აქვთ მათ. ჩემის აზრით, იქ შემჩნეულ დეფექტებს შორის აღსანიშნავია ერთი უმთავრესი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჭაბურღილის ამოსაკავებელი მილის დიამეტრი მეტად მცირეა და ამ დიამეტრზე 500-600 მეტრი სიღრმის გავლა ძალიან გაძნელდება. გარდა ამისა კონცესიონერმა 1929 წლის მარტამდე უნდა ამოიღოს სხვადასხვა ჭაბურღილები 2.000 მეტრის საერთო სიღრმით, ხოლო მოწყობილობა და დანარჩენი სამუშაო იარაღები მათ არა აქვთ. კონცესიონერს საგამოკვლევო სამუშაოების დასრულებისათვის დარჩა მხოლოდ წელიწად ნახევარზე ცოტა მეტი დრო.

ილდოგანის ნავთი

გარდა შირაქისა მე დავათვალიერე აგრეთვე თრიალეთის რაიონში მდებარე, ძველი, ამჟამად უკვე მივიწყებული, ნავთის სარეწაოები, ე. წ. ილდოგანის უბანში, ნავთის სარეწაოები, მუშაობას აწარმოებდა ერთი ინგლისური კომპანია, რომელმაც იქ ამოიღო ოთხი საცდელი ჭაბურღილი. ერთი ჭაბურღილიდან სხვათა შორის უკვე ამოდიოდა ნავთის შადრევანი. რამდენადაც მე მახსოვს ამ ჭაბურღილის სიღრმე აღწევდა დაახლოვებით 280 მეტრამდე.

1915 წელს ილდოგანში მუშაობა დაიწყო ცნობილმა ბაქოელმა ნავთის მრეწველმა მუხტაროვმა, მაგრამ ომიანობის გამო, ამ სამუშაოებს მან მალე თავი გაანება. შემდეგ კი აღნიშნული სამუშაოები სავსებით მივიწყებულ იქნა.

მე მაინტერესებდა გამომეკვლია, თუ რა დარჩა ილდოგანის ძველი სამუშაოებიდან, ან რა იარაღები და მოწყობილობები არის ადგილობრივ და რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ჟამად მუშაობის განახლება, სამწუხაროდ, ილდოგანის ნავთის სარეწაოებზე, არ აღმოჩნდა არც ერთი იმ სიმდიდრეთაგანი, რომელიც აქ დასტოვა, როგორც ინგლისურმა ნავთის დამუშავებელმა კომპანიამ, ისე მუხტაროვის ფირმამ. ყველა იარაღები, ჭაბურღილების გასამაგრებელი მილები და სხვა მოწყობილობები დაუტაცნიათ და ამჟამად ყველა ამოღებული ჭაბურღილები თითქმის განადგურებულია. ყველაზე უფრო საინტერესო არის ჯერ კიდევ ომამდე წარმოებული რაიონის გამოკვლევების საბუთები, რაც თავის დროზე ინახებოდა თრიალეთის სამაზრო აღმასკომში, ხოლო თრიალეთში სამაზრო აღმასკომის გაუქმების შემდეგ — ეს საბუთები არავინ იცის თუ სად არის. ამას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი სამუშაოების დასაწყებად, რომ ჩვენ აღარ მოგვიხდეს ხელახალი გამოკვლევების დაწყება, შესაძლო არის ეს საბუთები ნაწილობრივ ინახებოდეს თელავის სამაზრო აღმასკომში ან სხვა რომელიმე თემაღმასკომებში. ამის გამოსარკვევად სამთო სამმართველოს მიერ დაუყოვნებლივ იქნება მიღებული ზომები.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

პროფ. ნ. ი. სუშკინის და ლ. ი. სიროტინსკის დასკვნა

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, პროფ. **სუშკინმა** და **სიროტინსკიმ** დაათვალიერეს ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სურამის საუღელტეხილო უბანი, სადაც ისინი დაწვრილებით გაეცნენ ელექტროენერგიის გადამცემ ხაზის მიმართულებას და გამოიტანეს თავისი დასკვნა.

პროფესორების აზრით, გზის მიერ მავთულების და მათი დასაყრდნების გაყვანა გამოანგარიშებულია საკმაო სიფრთხილით. საამისოდ შემუშავებული პროექტი საკმაო გარანტიას იძლევა გადამცემ ხაზის მექანიკური სიმკვიდრისათვის.

მავთულების ჰორიზონტალური განწყობილება აუცილებლობას წარმოადგენს და ექსპერტების აზრით ამას აქვს სერიოზული უპირატესობა.

კონსტრუქციის მხრივ, სამანძილთაშორისო, კუთხური და ანკერული ტიპის საყრდენები საერთოდ მიზანშეწონილი არიან თავისი კონსტრუქციით. მიუხედავად საკმარისი სიმკვიდრისა, საყრდენების წონა არაა დიდი და ყოველ შემთხვევაში იგი არ აღემატება გერმანულ საყრდენების წონას.

რკინა-ბეტონის საფუძვლის მოწყობას ანკერულ ანძებისათვის შესაძლებელია სერიოზული დაბრკოლებები გადაეღობოს წინ. ამისათვის შესაფერ პირობებში ამგვარი საფუძვლები უნდა შეიცვალონ უფრო მსუბუქებით, განსაკუთრებით, რომლებიც გამოსადეგი იქნება დიდი მანძილიან სპეციალური კონსტრუქციის საყრდენებისათვის.

ორმაგი ხაზიანი გადამცემის აგება ხაშურზესტაფონის უბანზე პროფესორებმა ზედმეტად სცნეს. ექსპერტების აზრით, ჯერ-ჯერობით უნდა აიგოს მხოლოდ ერთხაზიანი გადამცემი.

მეორე ხაზის აგება უნდა დაიწყოს პირველი ხაზის დამთავრების შემდეგ.

იმ მოსაზრებას, რომ პირველ ხანებში შეიძლება დაკმაყოფილება ერთი ხაზითაც, ამართლებს ის გარემოება, რომ ტიპიური საყრდენების კონსტრუქცია საიმედოა.

პროფესორებმა მოიწონეს ამასთანავე ზესტაფონში და მოლითში ქვე-სადგურებისათვის ამორჩეული ადგილები.

გეგმით გათვალისწინებულია მოლითის ქვესადგურის დაშორება 20 მეტრით რკინის გზის ლიანდაგიდან. ექსპერტების აზრით ეს არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს.

დაათვალიერეს რა ადგილები რკინის გზის გასწვრივ ხაშურიდან-ზესტაფონამდე, ექსპერტებმა მიზანშეწონილად სცნეს გადამცემ ხაზის დაშორება მისგან, რადგან ხაზის სიახლოვე რკ. გზასთან არ შეამსუბუქებს გადამცემ ხაზის ექსპლოატაციას.

საერთოდ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის პროექტების შესწავლამ და მუშაობის მიმდინარეობასთან გაცნობამ პროფესორები დაარწმუნა იმაში, რომ საელექტროფიკაციო სამუშაოები კარგად არის მოგვარებული და მშენებლები სისწორით ატარებენ დასახულ ღონისძიებებს.

სას.-სამ. პროდუქტებით ვაჭრობის კონცენტრაცია

19 აგვისტოს თბილისში გამართულ კოოპერატიულ ორგანიზაციათა თათბირზე, რომელზედაც ირჩეოდა სას.-სამ. პროდუქტებით ვაჭრობის კონცენტრაციის საკითხი, გარჩეულ იქნა აგრეთვე საკითხი დარაბების განაწილების შესახებ კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციათა შორის იმ დახურულ ბაზარში, რომელსაც აღმასკომი აშენებს.

თათბირმა დაადგინა:

თბილისის ბაზრის სასოფლო - სამ. პროდუქტებით (მწვანილი, ხორცი, თევზი რძის და სხვა პროდუქტები) ვაჭრობა მრავალ ცალკე სავაჭრო წერტილების დაფანტულობის გამო ქაოტიურ მდგომარეობაში იმყოფება.

ეს გარემოება აუცილებლად საჭიროთ ხდის აშენებულ იქნეს ღია და დახურული ბაზრები.

აღმასკომის შემუშავებული პროექტი სალდათის ბაზარზე დახურული ბაზრის აგების შესახებ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, ვინაიდან ბაზარი შესდგება პატარა დარაბებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ მხოლოთ კერძო ვაჭრები და თავისი მოწყობილობით სრულიად ვერ დააკმაყოფილებენ კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებს.

ამიტომ თათბირმა დაადგინა იშუამდგომლოს, რათა დახურულ ბაზრის პროექტი შემუშავდეს კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის მოთხოვნილებებთან შეფარდებით. ბაზრის მთელი მოედანი გადაეცეს ხსენებულ ორგანიზაციებს.

ხარჯების შემცირება

ა.-კ. სახ. კომ. საბჭომ და ა.-კ. უმაღლ. ეკ. საბჭომ წინადადება მისცეს ა.-კ. მუშ. და გლ. ინსპექციის და რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭოებს მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა დაჩქარებულ იქნას მუშაობა საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭოს იმ დადგენილების შესასრულებლად, რომელიც ეხება დანართი ხარჯების შემცირებას, და კერძოდ ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დაუყოვნებლივ გატარდეს ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების შემცირება არა უმცირეს 15 პროც.-ისა.

ა.-კ. მუშ. და გლ. ინსპექციას წინადადება მიეცა ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს უახლოეს სხდომაზე გააკეთოს მოხსენება იმის შესახებ, სავსებით გაატარეს თუ არა ორგანიზაციებმა ის შემცირებები, რომლებიც მოთხოვნილია ა.-კ. მუშ. და გლ. ინსპექციის კოლეგიის მიერ.

სას.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი

(მეოთხე სხდომა)

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ინსპექტორებსა და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ინსტრუქტორთა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ მოხსენებას აკეთებს ლ. ცინცაძე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები. სადირექტივო ორგანოთა დადგენილებები, რომლებიც ჯამს უკეთებენ ორივე სისტემის მუშაობას, გადამჭრელ პასუხს იძლევიან კოოპერატიულ მშენებლობაში წამოჭრილ კითხვებზე.

ამ დადგენილებათა შორის, კანონი კოოპერატიულ კრედიტის შესახებ წარმოადგენს წინა დადგენილებათა ლოღიკურ დასკვნას, რომელიც სასოფლო სამეურნეო კრედიტის და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობაში მოასწავებს გარდატეხას. კოოპერატიულ კრედიტის შესახებ გამოქვეყნებული კანონით—საბოლოოდ უარყოფითად წყდება მომავალში წმინდა საკრედიტო კოოპერაციის მშენებლობის საკითხი. კოოპერაციის ამ ორი შტოს მოქცევით ერთ სისტემაში და მათი ქვედა საფეხურების გაერთიანებით ჩვენ ვღებულობთ ერთ „ზოგად“ ფორმას სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის სახით. ამ გაერთიანების აუცილებლობა საჭირო შეიქნა მას შემდეგ, რაც ერთის მხრით გამომჟღავნდა სასოფლო სამეურნეო კრედიტის სისტემის ქვედა საფეხურის ნაკლები რენტაბელობა და ხშირ შემთხვევაში მისი დეფიციტიანობაც. მეორე მხრივ, სასოფლო სამეურნეო საკრედიტო სისტემა ვერ ასრულებდა თავის მთავარ მიზანს, მეურნეთა კოოპერატიულად შეკავშირების საქმეს.

სახელმწიფო სასოფლო -სამეურნეო კრედიტი მისი ქვედა საფეხური საკრედიტო ამხანაგობების სახით წარმოადგენდა სახელმწიფო საშუალებათა განმანაწილებელ პუნქტებს, რომლებიც მოკლებული იყვნენ თვითმოქმედებას და ინიციატივას. საკრედიტო კოოპერაციის ამ გზით მშენებლობა შეუძლებელი იყო. ეს თავის დროზე იქნა შემჩნეული მმართველ ორგანოთა მიერ. სახელმწიფოებრივი საშუალებანი განხილულ უნდა იქნეს როგორც საშუალება კოოპ. კრედიტის განვითარებისათვის. ამასთანავე იცვლება ხელმძღვანელობის ძველი ფორმებიც. სასოფლო-სამეურნეო საკ. ამხანაგობათა მთლიანი ხელმძღვანელობა, სრული რევიზია და სხვა გადაწყვეტილია კოოპ. კავშირების სასარგებლოდ. ეს საკითხი ჩვენში დღემდე მოუგვარებელია. ჩვენ კიდე ვგვაქვს პარალელიზმი მუშაობაში.

სასოფლო-სამეურნეო ბანკი კოოპ. კავშირთან ერთად განაგრძობს სასოფლო-სამეურნეო საკ. ამხანაგობების ხელმძღვანელობას. ეს გარემოება გაუგებრობას ბადებს ქვედა საფეხურის ამხანაგობებში. ამიტომ უარყოფილი უნდა იქნეს ხელმძღვანელობის განაწილება და უკანასკნელი უნდა ხდებოდეს ერთი და იმავე მეთოდით და გეგმით. სასოფლო-სამეურნეო ბანკების და სასოფლო სამეურნეო კოოპ. კავშირების ინსტრუქტორთა მუშაობაში უნდა მოხდეს სფეროების სრული გამიჯვნა. ინსპექტორებს უნდა დაევალოთ ამხანაგობებში მხოლოდ საკრედიტო საქმიანობის დაყენება და ხელმძღვანელობა. მთელი დანარჩენი საქმიანობა ამხანაგობებისა უნდა სწარმოებდეს „სოფლის კავშირი“-ს ინსტრუქტორების საშუალებით. ამით ჩვენ შევძლებთ კოოპერატიულ მშენებლობის სწორედ წარმართვას და აღმოფხვრით პარალელიზმს, რომელიც დღემდე დარჩენილა ჩვენს მუშაობაში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ინსპექტორებმაც.

ვარციხის სახალხო მამული



ვარციხის სახალხო მამული (ქუთაისის მაზრაში) ეკუთვნის საქართველოს სახალხო მამულების ტრესტს ყველაზე უფრო შემოსავლიან სახალხო მამულთა რიცხვს. მამულის შემოსავლიანობა დიდათ იზრდება ამ უკანასკნელ დროს. ყოველ წლობით სულ უფრო და უფრო იზრდება მამულის ნაყოფიერება. წელს მამულმა დაამუშავა: სამი მილიონი გრადუსი რექტიფიკაციაქმნილი სპირტი, აქვე მზადდება ტკბილი ღვინოები. გარდა ამისა მამული თავის მარნებში ამზადებს ერთ მილიონ-ნახევარ გრადუს კონიაკის სპირტს სეზონის განმავლობაში და 200.000 ვედრო ღვინოს. მამულს აქვს კონიაკის საწყობი და შამპანიურის ქარხანა, სადაც 50000 ბოთლი შამპანიური მზადდება ყოველ წლიურად.

სურათზე — ვარციხის სახალხო მამულის მთავარი კანტორა.

თბილისის პროლეტარიატი

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ას ოცდა სამი მანეთი (123 მან.) და ვიწვევ გორის მაზრიდან: წითელ ქალაქის რაიონის და ქარელის რაიონის ქვემოდაღნიშნულ საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებებს და ადგილკომებს:

სამომხმარებლო კოოპერატივს 25 მანეთზე, საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა ადგილკომს 35 მან., განათლების მუშაკთა ადგილკომს 15 მან., სარაიონო გლეხკომს 15 მან., სახელმწიფო სოც-დაზღვევას 12 მან., საკრედიტო ამხანაგობას 15 მან. და რაიონულ პოლიტგანის დრამ-წრეს 6 მან.

თიანეთის რაი-პარტკომის პ.-მ. მდივანი

ვიქტორ გოგია.

შორაპნის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ს. ცუცქირიძის გამოწვევით შემომაქვს 5 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქიათურის სადგურის თანამშრომლებს: **კონტ. ხულორდავას, ილია ცქიტიშვილს, ელიზბარ ბერიშვილს, გერასიმე მელიას;** სადგურის უფროსებს ფოთის—**გიორგი მაჭავარიანს,** ბათუმის—**ივანე ბურჭულაძეს,** სამტრედიის— **მიხეილ მდივანს,** რიონის— **ალექ. ჩხეიძეს,** ქუთაისის—**ნეოფიტე რუხაძეს** და შორაპნის—**ვარლამ საყვარელიძეს.**

ქიათურის სადგურის უფროსი **მიხეილ ნიკოლაიშვილი.**

ამხ. სოლომონ მიქელაძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ შემომაქვს **ხუთი მან.** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ქ. სამტრედიიდან—**ალექსანდრე ქუთათელაძეს** (ეპო), **ილია თევზაძეს, ყარამან მაღრაძეს** (რკ. გზ. საგანგებო კომისია), **გრამიტონ შოთაძეს, სიმონ ნამიჩეიშვილს** (სახალხო სასამართლო), **გრიშა ჩაჩიბაიას** და ხრესილში **ვარლამ ხოტივარს** (სახალხო სასამართლო).

ილია (ჭიჭიკო) მიქელაძე.

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად **ერთი მან.** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **ნიკიფორე სისვიევს, შალვა ჩიხლაძეს, შ. და ხ. ალხაზაშვილებს, იაკობ ძოწენიძეს, ვ. კვიმსაძეს, არ. ავალიანს, ნ. ჯიშკარიანს, გ. ბარათაშვილს, ხ. ავალიანს** და ნამოხვანის მასწავლებელ **ჯიმშერ მიქაბერიძეს.**

ი. ბოჭორიშვილი.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ შემომაქვს ნ. კეჟაყმაძის გამოწვევით **ხუთი მან.** და ვიწვევ ზუგდიდიდან შემდეგ ამხანაგებს: **ეკა გურგენიძეს, გრიგოლ მალანიას, კარპეზ ფარცვანიას, კლემენტი კოდუას და კოწია კორძაიას.**

სილ. გოგიხელი.

შემომაქვს ამხ. ისონ ჯღორბენაძის გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: აბასტუმ. კურ. სამმართველოდან: **კანკავა გრ., მარიანაშვილი გრ., დუბენკო სიმონ;** მესამე სანატორიუმიდან: მთ. ექიმს **სევერიან თაყაიშვილს,** ორდინატორს **მუხატიაშვილს გრ.** და **პოლოსოვს არამაის.**

გ. პაიჭაძე.

ამხ. აქსენტი ზვამბაიას და ისონ შენგელიაძის გამოწვევით შემომაქვს **ხუთი მან.** თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის ფონდის“ სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ოფურჩხეთის ექიმს **გრიგოლ ჩარექიშვილს,** ლეჩხუმის მაზრიდან ექიმს **რაითას ასათიანს** და მის თანაშემწეს **პეტრე ივანოვს,** ქუთაისის ექიმს **სპირიდონ ჯალალანიას.**

ვლ. ნარეშელაშვილი.

დღეს შემოვიდა; 154 მან.

წინეთ შემოსულთან ერთად 6.727—82 და ერთი მაჯის ოქროს საათი.

საციებელი პუნქტ. მოწყობა

ამ.-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა ამ.-კავკასიის რესპუბლიკებში მთელ რიგ საციებელი პუნქტების მოწყობის გეგმა. საციებელ პუნქტების მოწყობაზე ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა, რაც იმით აიხსნება რომ სასოფლო - მეურნეობის განვითარების გამო, ბაზარზე გამოდის სასოფლო - მეურნეობის ისეთი პროდუქცია, რომელიც სიცხეში ძალიან ჩქარა ფუჭდება, რაც აბრკოლებს მის ექსპორტს შორეულ ქვეყნებში.

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის ვარაუდით მომავალ საბიუჯეტო წლის განმავლობაში ა.-კ. სხვადასხვა რესპუბლიკებში მოწყობილ უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი საგრილებელი პუნქტები: ფოთში დაიწყება ახალი პუნქტის აგება, სადაც იწარმოებს უმთავრესად საზღვარგარედ გასატანი პროდუქტების დამზადება; ბაქოში დასრულდება უკვე დაწყებული დიდი საგრილებელი შენობის დამთავრება, რაც ჯდება 1.200.000 მანეთი. სომხეთში აგებული იქნება ორი საციებელი საწყობი: ერთი ერევანში და მეორე ელენოვკაში (სევანის ტბასთან). საქართველოში კი ახალ საციებელ პუნქტებს გარდა ფოთისა, ააგებენ სამტრედიაში და ნავთლუღში.

შეშის მომარაგება

ამიერ - კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ცირკულიარული წერილი დაუგზავნა ა.-კ. ფედერაციაში შემავალ ყველა რესპუბლიკების რწმუნებულთა სამმართველოებს მომავალი ზამთრის სეზონისათვის შეშის მომარაგების კამპანიის ჩატარების შესახებ.

წერილში აღნიშნულია, რომ წინასწარ უნდა იქნას მიღებული ზომები, რათა წელს აღარ განმეორდეს შარშანდელი მაგალითი შეშის დამზადების საქმეში. შარშან, მიუხედავათ იმისა, რომ საკმაო რაოდენობის შეშა იყო დამზადებული, სიცივეების დადგომისთანავე შეშის ყველა საწყობები ცარიელი აღმოჩნდა, ხოლო ამავე დროს კერძო მწარმოებლებმა ბაზარზე დიდძალი შეშა შემოიტანეს და ორმაგ ფასში ყიდდენ მას მუშა - მოსამსახურეებზე. ამ გარემოებამ საგრძნობი გავლენა მოახდინა განსაკუთრებით დაბალი მუშა - მოსამსახურეების ბიუჯეტზე.

წელს საჭიროთაა ცნობილი შეშის დამზადება დაწყებულ იქნეს აგვისტოს 20-დან, მოხდეს შეშის არსებული რაოდენობის აღრიცხვა საწყობებში და შემუშავდეს მტკიცე ფასები შეშაზე, როგორც დასამზადებელ რაიონებში, ისე გამსაღებელ პუნქტებისათვის.

შეშის დამზადების კამპანიის მსვლელობის შესახებ სისტემატიურათ უნდა ეგზავნებოდეს ცნობები ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატს, რომელიც თავის მხრივ მიიღებს ზომებს კამპანიის დაბრკოლებლივ ჩასატარებლათ.

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

(საუბარი ამხ. ლვოვიჩთან)

ჩრდილოეთ სპარსეთიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კონსული ქალ. არდებილში (ჩრდ. სპარსეთი) ამხ. **ლვოვიჩი.** ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. **ლვოვიჩმა** განაცხადა შემდეგი:

—უკანასკნელ ხანებში, როგორც მთელ სპარსეთში, ისე კერძოთ ჩრდილოეთ სპარსეთში (განსაკუთრებით სპარსეთის აზერბეიჯანში) ძლიერ გაძლიერდა მოძრაობა საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის სასარგებლოდ, სპარსელი ვაჭრები დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებისადმი. სპარსეთიდან მოსკოვში სპარსეთ-საბჭოთა სავაჭრო პალატას მისამართზე იგზავნებოდა მთელი რიგი დეპეშები, რომ დაეჩქარებიათ სავაჭრო ხელშეკრულების დადება,

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირის ვაჭრობას სპარსეთთან აშკარა წარმატება ემჩნევა.

საბჭოთა კავშირიდან გატანილი საქონელი თანდათანობით იპყრობს სპარსეთის ბაზარს.

სპარსეთის ხელისუფლება მეტად კეთილმეზობლურადაა ჩვენდამი განწყობილი.

სახკომსაბჭოში

მეტრიული სისტემის გატარების შესახებ

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ მიიღო ინსტრუქცია ისეთი კუთხეების მოწყობის შესახებ, რომელთაც მიზნათ აქვთ დასახული სოფლის მოსახლეობაში მეტრიული სისტემის პროპაგანდა.

რუსთველის თეატრის შეკეთება

საამშენებლო - სატეხნიკო კომიტეტის მოხსენების თანახმად სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ საჭიროდ სცნო გაღებულ იქნეს საამშენებლო ფონდიდან 2.769 მან. რუსთველის თეატრის შესაკეთებლად.

ახალქალაქის მაზრაღმასკომის შუამდგომლობა

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ დააკმაყოფილა ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა თბილისის ქალაქის ბანკში კრედიტის გახსნის შესახებ, ახალქალაქის საავადმყოფოს რემონტისა და ტელეფონის ქსელის გაფართოების საჭიროებისათვის.

„საქართველოს ღვინო“-ს განყ. ქ. სოხუმში

საგეგმო კომისიის და სოფლის კავშირის დასკვნის თანახმად სახკომსაბჭოს განმწესრიგებელმა სხდომამ ნება მისცა „საქართველოს ღვინო“-ს გახსნას თავისი განყოფილება ქ. სოხუმში.

თბილისის ქალაქის ბანკის განყოფილების გახსნა ქ. ახალქალაქში

სახკომსაბჭოს განმწესრიგებელ სხდომამ დააკმაყოფილა ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა ქ. ახალქალაქში თბილისის ქალაქის ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ.

ოქტომბრის 10 წლის თავისათვის

„ზაკსოიუზის“ თავმჯდომარის ამხ. ბუკრეევის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი ოქტომბრის მე-10 წლის თავისათვის კარტოგრამების, დიაგრამების, სტატისტიკურ ტაბულების და სხვ. გამოფენის მოწყობის შესახებ.

თათბირმა მიზანშეწონილად და საჭიროდ სცნო, რომ თბილისში მოეწყოს კარტოგრამების, დიაგრამების და ფოტოგრაფიების გამოფენა, რომლებიც უნდა გამოხატავდენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ყველა მიღწევებს სასოფლო მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის და კულტურულ - სოციალურ, კოოპერატიულ და პროფესიონალურ ცხოვრების ყველა დარგებში.

გამოფენის გარდა საჭიროდ იქნა ცნობილი სოფლის მოსახლეობაში მხატვრულ პლაკატების გავრცელება ეროვნულ ენებზე, საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების პოპულიარიზაციისათვის.

რათა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ფართო წრეები გაეცნონ ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მიღწევებს, საჭიროდ იქნა ცნობილი გამოიცეს მხატვრული ალბომი, რომელშიაც დასურათხატებული იქნება საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ოქტომბრის მე-10 წლის თავისათვის.

გამოფენის დახურვის შემდეგ, მასალები, რომლებსაც ექნება განსაზღვრული ღირებულება, გადაეცემა მუზეუმებს.

გამოფენისათვის გამოყენებული იქნება თბილისის ერთ-ერთი სასწავლებლის შენობა.

მალარიის საწინააღმდეგო ექსპედიცია კახეთში

ერთ თვეზე მეტია, რაც კახეთში მუშაობას აწარმოებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გაგზავნილი მალარიის საწინააღმდეგო ექსპედიცია. ექიმ-სპეციალისტების და მედპერსონალის გარდა ექსპედიციის შემადგენლობაში შედიან ინჟინერ - ჰიდრავლიკი და ტოპოგრაფი. ექსპედიციის მუშაობას ხელმძღვანელობს პროფ. **ვირსალაძე.** პირველად ექსპედიცია მუშაობას შეუდგა ქიზიყის ციებ-ცხელებიან რაიონებში.

ექსპედიცია ორ მიზანს ისახავს—მალარიის მიზეზების გამორკვევას და მეორე—მალარიით დაავადებულ მცხოვრებთა მკურნალობას.

პირველ რიგში ექსპედიციამ დაიწყო მუშაობა იმ მიზეზების გამოსარკვევად, რომლებიც ხელს უწყობენ მალარიის გავრცელებას. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა ჩაატარეს ჰიდრავლიკმა და ტოპოგრაფმა, რომელთაც დაწვრილებით გამოარკვიეს ქიზიყის დაჭაობიანობის მიზეზები. ამ სამუშაოებთან ერთად პარალელურად სწარმოებდა მალარიით დაავადებულთა მიღება და მკურნალობა. მკურნალობის პროცესში სპეციალისტ ექიმები იკვლევდენ დაავადების ხასიათს და ამავე დროს აწარმოებდენ მოსახლეობის ქინიზაციას. ყოველდღიურად ექსპედიციის ექიმები ღებულობდენ ასობით დაავადმყოფებულებს, რომელნიც საექიმო დახმარების მისაღებათ მოდიოდენ შორეულ ადგილებიდან. სამი კვირის განმავლობაში დახმარება მიეცა და მკურნალობა გაეწია 3.000-ზე მეტ ავადმყოფს.

ექსპედიციამ ქიზიყის მაღლობ რაიონებში დაამთავრა მუშაობა და ასეთსავე მუშაობის გასაგრძელებლად მიემგზავრება ალაზნის ველზე.

ქრონიკა

ამხ. ჩუბარის გამგზავრება

უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ჩუბარი**, რომელიც ამას წინად ჩამოვიდა თბილისში, გუშინ უკრაინაში გაემგზავრა.

თბილისის ალმასკომის პლენუმის მოწვევა საგარეჯოში

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა **ალმასკომის პლენუმი მოწვეული იქნეს 5 სექტემბერს საგარეჯოში. პლენუმი გაარჩევს** შემდეგ საკითხებს: 1) საადგილ - მამულო განყოფილების მუშაობა, 2) კეთილმოწყობის პერსპექტიულ გეგმის განხილვა, 3) საადგილმამულო პერსპექტიული გეგმის განხილვა; 4) ადგილობრივ თემ - ალმასკომების მოხსენება და სხვ.

ამხ. კასიანი შვებულებაში

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **კასიანი** შვებულებაში წავიდა. ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება დაევალა ამხ. **ს. იაკუბოვს.**

ინჟ. ფენერის ჩამოსვლა

გუშინ საღამოს თბილისში ჩამოვიდა საზოგადოება „რუსგერსტროის“ დირექტორი ლიუდვიგ ფენერი.

მუშების დაჯილდოება

თბილისის ალმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა წყალსადენის მუშები **ერშოვი, თუშმალიშვილი და ახალბედაშვილი** წყალსადენის წარმოებაში გაუმჯობესებების შეტანისათვის დააჯილდოვოს პირველი 350 მანეთით, მეორე—250 მ. და მესამე 200 მანეთით.

სახალხო განათლება

განათლების კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით თბილისის მოზრდილთა მაღალი ტიპის სკოლას ენიჭება 9 წლედის უფლებები. განცხადებების მიღება სკოლაში მსურველთათვის იწარმოებს ა.-წ. 21 აგვისტოდან 3 სექტემბრამდი. (ანდრეევის ქ. № 49).

საქონლის მიღება

20 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის სახელზე თბილისში მიღებული იქნა ერთი ვაგონი მანუფაქტურა ერთი ვაგონი ასანთი და საპარფიუმერიო და გალანტერიო საქონლის დიდი პარტია.

მოთხოვნილება ჩვენებურ საქონელზე

ს. მ. უ. ს-ში მიღებულია ცნობა, რომ უკრაინის ბაზარზე ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა ქუთაისის მაუდის ფაბრიკის პროდუქციაზე, ბორჯომის წყალზე და ქართულ ბამბაზე.

ს. მ. უ. ს. ტრესტების კანტორა შუამდგომლობს გაგზავნილი იქნეს უკრაინაში სარეალიზაციოთ 20 ვაგონი ბამბა, და თუ შესაძლებელი იქნება მაუდის დიდი პარტია, გარდა ამისა იტყობინებიან, რომ ახლო ხანში უკრაინის სავაჭრო ორგანიზაციები საქ. ს. მ. უ. ს. ტრესტს დიდ შეკვეთებს მისცემენ.

სახალხო მეურნეობის ბალანსი

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს და ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე საჭიროდ იქნა ცნობილი პირველ რიგში სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენა ამიერ - კავკასიის მასშტაბით.

3.000 მან. თავდაცვისათვის

საქართველოს მემაღაროეთა პროფესიონალურმა კავშირმა გადასდო 3.000 მანეთი აეროპლან „საქართველოს პროფკავშირი“-ს ასაგებად.

შეღავათები საბჭოთა მეურნეობებისათვის

ა.-კ. სახ. კომ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაზე გავრცელდეს შეღავათები სასოფლო-სამეურნეო გადასახადში იმ საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებიც აწარმოებენ წმინდა ხარისხის თესლეულს და სელექციური ხასიათის სხვა მცენარეულობას.

პური ამიერ - კავკასიისათვის

21 და 22 აგვისტოს სახელმწიფო ბანკის, „ხლებოპროდუქტის“ და „კავხლების“ სახელზე მოვიდა დიდძალი ფქვილი.

პური

ცეკავშირმა ჩრდილოეთ კავკასიაში შეიძინა 200 რონოდა პურის ფქვილი. პურს ამ დღეებში მიიღებენ თბილისში.

თბილისის ალმასკომში

◆ **მანგლისის ელსადგურის შესაკეთებლად** გადადებულია 2366 მანეთი.

◆ **ალმასკომმა გადასწყვიტა** ავჭალის წყალსადენის მუშა - მოსამსახურეებისათვის შეიძინოს რკინის გზის უფასო ბილეთები.

◆ **სესხი გლეხებს.** თბ. ალმასკომმა გადასწყვიტა თბ. მაზრაში მოუსავლობით დაზარალებულ გლეხებს მისცეს გრძელვადიანი სესხი.

◆ **სასაკლაოს მანქანების შესაკეთებლად.** თბ. ალმასკომმა გადასდო 5.000 მანეთი.

◆ **სახანძრო საგუშაგო.** თბ. ალმასკომმა დაადგინა ახალდაბაში (ნადიროვკაში) მოაწყოს სახანძრო საგუშაგო.

◆ **გზები.** მაზრაში ახალ გზების გასაყვანად და ძველების შესაკეთებლად ალმასკომმა გადასდო 150.000 მანეთი.

სახალხო განათლება

◆ **საბავშო სახლების ბავშები,** რომლებიც ამ ჟამად იმყოფებიან აგარაკებზე თბილისში ჩამოვლენ 1 სექტემბერს.

◆ **შეშა.** თბ. განათლების განყოფილება შეუდგა შეშის მომარაგებას სკოლებისათვის.

ჯანსახკომში

◆ **მოსახლეობისათვის უფასო საექიმო დახმარების** გასაწევად მომავალ წელში ჯანსახკომი დახარჯავს 2.500.000 მანეთს.

◆ **სოფლად ექიმბაშების და ცრუ მკურნალობის** წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად ადგილობრივ მომუშავე ექიმებს დაევალათ სისტემატიურად მოაწყონ ლექცია - საუბრები.

◆ **სრ. საკავშირო სატუბერკულიოზო ყრილობა** შესდგება თბილისში მომავალი წლის მაისში

◆ **საექიმო რაზმები.** ჯანსახკომმა დასავლეთ საქართველოში მიავლინა ქალთა სნეულების საექიმო რაზმი.

შრომის დაცვა

◆ **საზოგადო სამუშაოები.** შრომის კომისარიატმა გამოყო ცალკე კომისია მომავალ წელში მთელ საქართველოში საზოგადო მასიური სამუშაოების მოწყობის გეგმის შესადგენად.

◆ **შრომის დაცვის განყოფილება** იმუშავებს გეგმას სამუშაო დროის განსასაზღვრავად მწყემსებისა და მოჯამაგირეებისათვის.

სხვადასხვა

◆ **სასპორტო სტადიონი.** საქ. ფიზკულტურის საბჭო ვაკეში აწყობს სასპორტო სტადიონს.

ამერიკელი ინჟენრების ჩამოსვლა

კვირას თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკელი ფირმის „ჯენერალ - ელექტრიკ კომპანი“-ს წარმომადგენლები — **ინჟ. ს. ტრონე და ა. დუი.** აღნიშნული ფირმა ითვლება ერთ-ერთ უდიდეს კომპანიათ მთელ ამერიკაში. ფირმა აწარმოებს უმთავრესად ელექტრო სადგურების და ჰიდრო - ელსადგურების მშენებლობას.

საუბარი ინჟ. ტრონესთან

საბჭ. კავშირში, კერძოთ საქართველოში ჩამოსვლის მიზნების შესახებ ინჟ. **ტრონემ** ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— ჩვენ ვართ წარმომადგენლები ამერიკელ მრეწველების იმ ჯგუფის, რომელიც საბჭოთა კავშირთან ფართო ეკონომიური ურთიერთობის მომხრეა. ჩვენი ჩამოსვლის უმთავრესი მიზანია გავეცნოთ საბჭოთა კავშირში ახალ ჰიდრო-ელსადგურების მშენებლობას და გამოვერკვიოთ, თუ რა შესაძლებლობები არსებობენ აქ ჩვენი საზოგადოების სამუშაოთ.

საბჭოთა კავშირში ჩვენ ჩამოსული ვართ უკვე მეორე თვეა და ამ ხნის განმავლობაში მოვასწარით დავგვეთვალიერებია თითქმის ყველა აგებული დიდი ჰიდრო - ელსადგურები. თქვენი ჰიდრო - ელსადგურები შესანიშნავადაა აგებული და ბევრი მათგანი არ ჩამორჩება ამერიკულ სადგურებს.

ჩვენზე განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ზაჰესმა, რომელიც პირადათ ჩემის აზრით სანიმუშოდაა აგებული არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვა ჰიდრო - ელსადგურებთან შედარებით, არამედ იგი თავისი მიზანშეწონილი კონსტრუქციით ძალიან შორს ჩამოიტოვებს ევროპის და ამერიკის ბევრ ჰიდრო - ელსადგურებს.

საზოგადოთ, მე როგორც ინჟენერმა უნდა ვაღიარო, რომ არსად, არც ერთ ქვეყანაში ისეთი მონდომებითა და ხალისით არ აწარმოებენ საელექტროფიკაციო მუშაობას, როგორც აქ. ზაჰესის აგება ამტკიცებს, რომ თქვენი ქვეყანა სავსებით უზრუნველყოფილი ყოფილა შესაფერად მომზადებული საინჟენერო ძალებით, რაშიც ჩვენ ამერიკაში ეჭვი გვეპარებოდა.

მოწყობილობათა მხრივ კი თქვენ სადგურებს უსათუოდ აქვს უმნიშვნელო დეფექტები, რის გამოსწორებასაც თქვენ შესძლებთ სულ უახლოეს წლებში.

ფრანგი გეოლოგი თბილისში

პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა პარიზის უნივერსიტეტის ასისტენტი გეოლოგიურ კათედრაზე, ცნობილი გეოლოგ - პროფესორის **ჰოგგ-ის** თანაშემწე **პიერ ბონნე.** გუშინ თავის სამეცნიერო დავალებათა შესახებ პ. ბონნემ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— ამიერ - კავკასიის გეოლოგიურ გამოკვლევებზე მე ვმუშაობდი ჯერ კიდევ ომამდე 1909 წლიდან 1914 წლამდე. მაშინ ჩემი გამოკვლევის რაიონათ ამორჩეული მქონდა ძველი ნახიჩევანის ოლქი, გეოკჩის ტბიდან დაწყებული სპარსეთის საზღვრამდე.

ამ გამოკვლევების დროს მე შევკრიბე მრავალი მნიშვნელოვანი მასალა ა.-კავკასიის შესახებ, რომელიც, სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, სრულიად არაა შესწავლილი მეცნიერულათ. თბილისში მე მინდოდა მენახა გეოლოგიის პროფესორი — **ა. ჯანელიძე** და სხვა გეოლოგები, რომელთაც ჩემთვის უნდა მოეცათ ზოგიერთი განმარტებანი. მე ისინი უკვე ვინახულე და ვესაუბრე მათ. ამჟამად ვაწარმოებ თბილისის მახლობელი უბნების ზერელე შესწავლას.

ცოტა ხნის შემდეგ ვფიქრობ წავიდე ძველ სამუშაოთა ადგილზე, სადაც შეუდგები მიტოვებული გამოკვლევების გაგრძელებას, შევისწავლი მთაგრეხილების გეოლოგიურ წყობას და სხვ.

შეკრებილ მასალებს დავამუშავებ და შემდეგ მათ წარუდგენ პარიზის უნივერსიტეტს, რომელიც მას გამოსცემს ცალკე შრომათ.

ამასთანავე მე ვფიქრობ, გავეცნო საქართველოს გეოლოგიურ პირობებს, რაც ჩემთვის სრულიად ახალი იქნება, თუმცა შესაძლებელია აქ ეს საკითხი უკვე კარგათაა დამუშავებული.

თქვენ კითხვაზე — აქვს თუ არა კავშირი და ურთიერთობა პარიზის უნივერსიტეტს თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტთანო, უნდა გითხრათ, რომ რამდენათაც მე ვიცი კავშირი და ურთიერთობა ორივე უნივერსიტეტს შორის ძალიან კარგია, ვინაიდან ჩვენ პარიზში ვღებულობთ, უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ყველა შრომებს და სამაგიეროთ ჩვენც ვაგზავნით აქ იქაურ შრომებს.

აგარაკებზე

წყალტუბო

წყალტუბოში წელს დიდძალი მოაგარაკეა. ავადმყოფები მოდიან, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან. აგარაკი სათანადოთაა მოწყობილი. გახსნილია კოოპერატივი, სასადილო, კინო. აბაზანებში დაცულია სასტიკი სისუფთავე. საგრძნობია ბინის სივიწროვე. ქუთაისიდან წყალტუბომდე სისტემატიურად დადის ავტომობილები.

ქობულეთი

წელს ქობულეთშიაც დიდძალი მოაგარაკეებია. ოთახების სიმცირის გამო, ბევრი ბრუნდება უკან. საკურორტო სამმართველომ გადასწყვიტა წელსვე შეუდგეს ქობულეთში ახალი საგარაკო სახლების აგებას და ქობულეთის საერთო კეთილმოწყობას.

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები

ამ.-კავკ. სახ. კომ. საბჭომ და ა.-კ. უმაღლ. ეკ. საბჭომ საჭიროდ სცნეს ტყეების მდგომარეობის სასწრაფოდ გამოკვლევა, ვინაიდან რესპუბლიკებში სწარმოებს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მტაცებლური განადგურება, რაც მძიმე შედეგებით ემუქრება ა.-კ. ს. ფ. რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობას.

ა.-კ. მუშ. და გლეხთა ინსპექციას წინადადება მიეცა შეიტანოს ეს გამოკვლევა მომავალ სამეურნეო წლის მუშაობის გეგმაში; ამომწურავი მოხსენება ამ საკითხზე ა.-კ. მუშ. და გლ. ინსპექციამ უნდა წარუდგინოს ა.-კ. უმაღლ. ეკ. საბჭოს 1928 წლის 1-ლ იანვრისათვის.

რესპუბლიკების სახ. კომ. საბჭოებს წინადადება მიეცა აღმოუჩინონ ა.-კ. მუშ. და გლ. ინსპექციას მაქსიმალური დახმარება სატყეო მეურნეობის გამოკვლევის დროს.

მემტრედეობა

ამ.-კავკასიის თავდაცვა - ავიაქიმის ავიატექნიკურ ძალთა ქვე - სექციასთან დაარსდა მტრედების სექცია. ქვე - სექციაში უკვე ჩაწერილია 41 წევრი.

შესდგა სექციის საორგანიზაციო კრება, რომელზედაც ამორჩეულ იქნა პრეზიდიუმი.

თანახმად საორგანიზაციო კრების მიერ მიღებული დებულებისა, სექცია ეხლავე უნდა შეუდგეს პრაქტიკულ საქმიანობას: საფოსტო მტრედების მოშენებას, მათ გაწვრთნას და ამიერ-კავკასიაში მტრედების საშუალებით კავშირის მოწყობას.

განზრახულია აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის ორგანოების წინაშე, რათა აკრძალულ იქნეს მტრედებზე ნადირობა და მტრედები დაცულ იქნენ გაზადგურებისაგან.

ქვე - სექცია თბილისში აწყობს საფოსტო მტრედების მოსაშენებელს და მუდმივ სადგურს.

ავიაქიმში

ა.-კ. თავდაცვა - ავიაქიმის პრეზიდიუმში

ამიერ - კავკასიის თავდაცვა - ავიაქიმის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე რომელსაც დაესწრენ რესპუბლიკანურ საზოგადოებების პასუხისმგებელი მდივნები მოსმენილ იქნა უკანასკნელთა მოხსენებები, რესპუბლიკებში თავდაცვის კვირეულის შედეგების და საზოგადოების მდგომარეობის შესახებ კვირეულამდე და მის შემდეგ.

მოსმენილ იქნა აგრეთვე ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის ყველა სექციების მოხსენებები საფუძვლო კალენდარული გეგმის მიხედვით მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ შეჯამებულ იქნა ყველა მიღწევები და დაფექტები სექციების მუშაობაში და მიეცათ მათ დირექტივები მომავალი საქმიანობისათვის.

სხდომაზე წარმომადგენლებმა ადგილებიდან აღნიშნეს, რომ არ არსებობს ცოცხალი ხელმძღვანელობა ცენტრალურ ორგანიზაციების მხრივ ადგილებზე.

ამისათვის მიღებულ იქნა კონკრეტიულ ღონისძიებები ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად და ამორჩეულ იქნა რაიონები, სადაც სისტემატიურად გაიგზავნებიან ინსტრუქტორები მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

მადლობა.

რკინისგზებზე

დაჯახება

22 აგვისტოს დილის ოთხ საათზე და 55 წუთზე სადგ. ქურდამირში ადგილი ქონდა მატარებლების დაჯახებას.

სადგურში შემოსული საქონლის მატ. № 108 მიღებულ იქნა მეორე, მატ. №200-თ დაკავშირებულ ხაზზე.

დაჯახების დროს მატ. № 200ს -ს შემადგენლობიდან დაზიანდა ოთხი დახურული ვაგონი, ხოლო მატ. № 108-დან ერთი ცისტერნა.

აჯიქაბულიდან მოითხოვეს დამხმარე მატარებელი და ხაზი გაწმინდეს.

დაჯახებაში დამნაშავედ იქნა ცნობილი სადგურის მორიგე ელქონიძე.

შეშა

რკინის გზელების შეშით მოსამარაგებლად, ა.-კ. რკინის გზის სატყეო განყოფილებამ აგვისტოს განმავლობაში გასცა დაკვეთა 300 კუბიკურ ფუტამდე შეშის დამზადებაზე.

კვალიფიკაციის გასინჯვა

გზის ოსტატებთან მომუშავე მეტაბელეების და რკინის გზის შენობების ზედამხედველების კვალიფიკაციის შესამოწმებლად გადაწყვეტილია მთელი გზის ფარგლებში მათი გამოცდის ჩატარება.

გამოცდას აწარმოებს სპეციალური კომისია, იმ პირებს, რომლებიც დაიჭერენ გამოცდას მიუნიჭებათ მეტაბელ-მონაგარიშეების სახელწოდება და მიეცემა დამატებითი დატვირთვა ძირითად ხელფასზე—30-დან—50 პროც.

ხელოვნება

კონკურსი პიესებზე

ს. ს. რ. განათლების სახ. კოსიარიატის ხელოვნების განყოფილებამ გამოაცხადა დრამატიულ ნაწარმოებთა საპრემიო შეჯიბრი. შეჯიბრში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა დაიცვან შემდეგი პირობები: ნაწარმოებთა შინაარსს უნდა შეიცავდეს: ა) თანამედროვე საბჭოთა სოფელი, მისი ყოფა - ცხოვრება და ზრდის პროცესი. ბ) თანამედროვე საქართველოს ქალაქი, მისი მისწრაფება, ზრდა, განვითარება და ყოფა - ცხოვრების მხარეები, გ) პიესის თემა აუცილებლად გაშლილი უნდა იყოს შესაფერ სიუჟეტით, ხოლო დაწერილი, დრამის, ან კომედიის სახით.

საუკეთესო ნაწარმოებებისათვის დანიშნულია ორ-ორი პრემია: 850 მანეთი და 400 მანეთი.

ნაწარმოების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 15 სექტემბერი.

წარმოადგენილ ნაწარმოებთა შესაფასებლად ხელოვნების განყოფილებასთან არსდება სპეციალური ჟიური შემდეგ პირებისაგან: მარიამ ორახელაშვილი, გ. ყურულაშვილი, ა. ქ. თათარიშვილი, კ. მარჯანიშვილი, ა. ახმეტელი, ს. ამაღლობელი, შ. დუდუჩავა, ლ. ჯაფარიძე.

ჭიათურის დრამის სეზონი

ჭიათურის თეატრში მომავალი სეზონის ჩასატარებლად მოწვეულია მსახიობი პ. ფრანგიშვილი, რომელსაც ამასთანავე მინდობილი აქვს მთავარი რეჟისორობა და დასის შედგენა. დასში ჯერ-ჯერობით მოწვეული არიან ა. ლოლუა, თ. აბაშიძე, და ნატ. კაკაბაძე; ან. მურუსიძე, ვ. კობელი. ზ. ურუშაძე, ა. ალაზნისპირელი და ოსიაშვილი (მოკარნახე).

◆ **სამხატვრო კურსები.** მომავალ სასწავლო წლიდან თბილისში გაიხსნება სამხატვრო კურსები.

◆ **ვიქტორინა კრიგერის** ცეკვის საღამო გაიმართება 24 აგვისტოს საბჭ. და სავაჭრო მუშაკების კლუბში.

სახკინმრეწვში

◆ **„იბრაგიმ და გოდერძი“.** რეჟ. შ. ბერიშვილმა დაასრულა ახალ სურათის „იბრაგიმ და გოდერძი“-ს მონტაჟი. სურათი თბილისში ნაჩვენები იქნება სექტემბრის ბოლო რიცხვებში.

◆ **„სისხლის ალება“.** ამჟამად რეჟ. მიხინი იღებს სურათს: „სისხლის ალება“.

◆ **„ფერბერი მთებში“** ახლო ხანში დასრულდება სურათის: „ფერბერი მთებში“-ს გადაღება. სურათს იღებს რეჟ. მაკაროვი.

◆ **„ბოშას სისხლი“.** ამ დღეებში რეჟისორი პუში დაასრულებს სურათ „ბოშას სისხლი“-ს გადაღებას. სცენარი დაწერილია ბერკოვიჩის მოთხრობის მიხედვით. მთავარ როლებში: შირაი, მიქაბერიძე, თაყაიშვილი და ტერიევი.

სასამართლო

მატარებლის დამტვრევა ძეგვის ხიდთან

გ. წ. 6 ნოემბერს, სად. მცხეთასა და ქსანს შუა, ძეგვის ხიდთან დაიმტვრა საბარგო მატარებელი, რომელიც შესდგებოდა 56 ვაგონისაგან.

დამნაშავენი პასუხისგებაში იქნენ მიცემული და საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამომძიებელს.

გამოძიებით გამოირკვა შემდეგი:

მცხეთიდან გასული მატარებელი რაღაც მიზეზების გამო შეჩერდა ძეგვის ხიდის მახლობლად, სადაც იმყოფება ნავთსადენი.

შემდეგ მატარებელმა განაგრძო გზა, გაიარა ძეგვის ხიდი და შეუდგა აღმართზე ასვლას. რელსებზე სილა არ იყო დაყრილი და ამის გამო მატარებლის ბორბლებმა დაიწყეს სრიალი.

მემანქანე კრავცოვმა და კონდუქტორმა ტარანოვმა გადასწყვიტეს მატარებლის უკან დახევა. მათ განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. მაგრამ უკან დახევისას მატარებელი გაწყდა და 25 ვაგონი დაეჯახა ძეგვის ხიდს.

დაჯახება იმდენათ მძლავრი იყო, რომ 22 ვაგონი ძლიერ დაზიანდა.

ამ შემთხვევის დროს სასიკვდილოდ დაშავდა კონდუქტორი ტაბატაძე და დაიჭრა მგზავრი მერუაშვილი.

რკინისგზამ მიიღო დიდი ზარალი.

გამოირკვა, რომ მემანქანე კრავცოვს და კონდუქტორ ტარანოვს არ მიუღიათ არავითარი ზომები კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.

კრავცოვი და ტარანოვი დაპატიმრებული არიან და ახლო ხანში წარსდგებიან ოლქის სასამართლოს წინაშე.

ქელეხის მსხვერპლი

ა. წ. 17 მაისს, სოფ. კორსავის (თბილისის მაზრა) მცხოვრებ ბუთლა დადალაურს გარდაეცვალა დედა.

დედის დასაფლავების დღეს მან გამართა დიდი ქელეხი.

ქეიფობის დროს ძლიერ დათვრა ბუთლას ბიძა ალექსანდრე დადალაური.

ალექსანდრემ სრულიად უმიზეზოდ სილა გააწნა ბუთლას შვილს გიორგის. ამ უკანასკნელმა შეურაცყოფილად იგრძნო თავი და საცემად წაიწია ალექსანდრესაკენ.

დიდის ვაი-ვაგლახით დააშვიდეს მოჩხუბარნი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გიორგი სწრაფად მივარდება ალექსანდრესთან და ჩასცემს დანას.

— ბიძაჩემო, რა დაგიშავე, რომ დანასა მცემ,—ამოიკვნესა ალექსანდრემ და უგრძნობლად დაეცა მიწაზე;

ალ. დადალაური გადაგზავნეს საავადმყოფოში, სადაც იგი მიღებული ჭრილობისაგან განიკურნა.

გ. დადალაური პასუხისგებაშია მიცემული. საქმე ამ დღეებში გაირჩევა ოლქის სასამართლოში.

შემთხვევები

სპირტის ქარხანაში მომხდარ უბედურ შემთხვევის გარშემო

გუშინ, „საქართველოს ღვინო“-ს გამგეობაში სპირტის ქარხანაში მომხდარ უბედურების შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობეს:

არაყის საწყობში მოწაფე კობახიძე სპირტით ავსებულ ბოთლებს ლუქავდა. მან შეცდომით თავდაცობილ ბოთლის მაგიერ თავღია ბოთლი აიღო და როცა დასალუქავად გადააბრუნა სპირტი ცეცხლში ჩაიქცა.

გაჩნდა ცეცხლი.

მუშა ალექსანდრე უკლება (33 წლისა) შეეცადა ხელით ჩაექრო ცეცხლი, რადგან ცეცხლის გაძლიერებით მოსალოდნელი იყო ქარხნის აფეთქება. უკლებამ ხელები შეახია ბოთლის ნამტვრევებს. ამავე დროს მას ხელებსა და მუცელზე წაეკიდა ცეცხლი.

ხანძარი ადრევე ჩააქრეს.

ხანძრით გამოწვეული ზარალი 200—300 მანეთს უდრის.

ალ. უკლება გუშინ გარდაიცვალა რესპუბლიკის საავადმყოფოში.

მძარცველების დაპატიმრება

უკანასკნელ ხანებში ა.-კ. რკ.-გზ. ბათომის უბანზე ძალიან გახშირდა ვაგონებიდან მგზავრების ბარგების მოტაცების შემთხვევები.

ა.-კ. საგზაო-სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტ - სამართველომ მიაქცია ამ მოვლენას ყურადღება და შეუდგა საჭირო ღონისძიებათა მიღებას.

სამართველოს თანამშრომლებმა სადგ. გორში, შპალების საჟღენთ ქარხანასთან მდგომ ერთ-ერთ ვაგონში აღმოაჩინეს რამოდენიმე კაცი, რომლებიც გართულნი იყვნენ ბანქოს თამაშში.

მათგან დაპატიმრებული იქნა ერთი—გვარად **შტეინი.** დანარჩენები გაიქცენ.

კვლევა - ძიების დროს აღმოჩენილ იქნა ორი ნაგანის სისტემის რევოლვერი. ერთი რევოლვერი იპოვნეს ჭაში სკრის ნავთსადენის სადგურთან. იქვე აღმოჩნდა ნაქურდალი „რედიკული“. მეორე რევოლვერი აღმოჩენილ იქნა იმავე სადგურზე შპალების ქვეშ.

◆ **ბავშის გასრესა.** ლენინის ქუჩაზე ავტომობილმა (№ 466) გასრისა მცირეწლოვანი ბავში სარქის მიქელაშვილი. შოფერი შეიპყრეს.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 21 აგვ. ვერცხლის ქ. № 49 გაქურდეს ლეონ სუთიძის ბინა.

◆ **კლუბის გაქურდვა.** 20 აგვ. ღამით გაქურდეს მედსანშრომის მუშაკთა კლუბის საწყობი, წაიღეს 100 მანეთის ნივთები.

◆ **გაუპატიურება.** 21 აგვ. დღით ბოტანიკურ ბაღში ორმა უცნობმა სიკვდილის მუქარით გააუპატიურეს ზ. ს., რომელსაც წაართვეს აგრეთვე 28 მანეთი.

◆ **ცენტრალურ ბაზარში.** მირაქ გუსეინ ოღლის ჯიბიდან ამოაცალეს საფულე სხვადასხვა საბუთებით და ფულით.

◆ **ცეცხლი.** 21 აგვ. ალგეთის ქ. № 2 ვალაბეგ აჯალოვის ფარდულს გაუჩნდა ცეცხლი რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა. ზარალი 300 მანეთს უდრის.

◆ **შეპყრობა.** 21 აგვისტოს ქურდობისათვის შეიპყრეს ნასიბ ხალინოვი.

◆ **დაჯახება.** რიყის ქუჩაზე არშაკ მიკირტიჩიანცი ველოსიპედით დაეჯახა ტრამვაის რონოდას და მძიმეთ დაშავდა.

◆ **შეპყრობა.** რიყის ქ. № 60 პავლე პოპოვის ბინის გაქურდვისათვის შეიპყრეს ვინმე ხლებცოვი.

◆ **ბოქლომის აგლეჯის** საშუალებით 21 აგვ. სუფკარაპეტის ქ. № 7 გაქურდეს გრიგოლ ბაბალოვის ბინა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 21 აგვ. ეტაფის ქ. № 5 ანტონ ბიბილურის ბინიდან მოიპარეს 250 მან. ნივთები.

◆ **ჯიბგირის შეპყრობა.** 21 აგვისტოს ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს გუსეინ გულიდაჯახ ოღლი.

◆ **კარების შემტვრევის** საშუალებით 21 აგვ. მატინოვის ქ. № 10 გაქურდეს ლევან გრიგორიანცის ბინა.

◆ **ცენტრალურ ბაზარში.** შეიპყრეს ოგანეზ გალოიანი, რომელმაც გლეხს ბაგრატ ზაზრაშვილს მოპარა ფული და ნავაჭრი საქონელი.

დიდი ხანძარი „დეზერტირკაზე“

რაზმელების თავგანწირული მუშაობა ცეცხლის ჩასაქრობად.—დაიწვა 36 დუქანი და დიდძალი საქონელი.—უმთავრესად დაზარალდენ ხელოსნები.—ზარალი უდრის 50.000 მანეთს.—გაქურდულია 10 დუქანი.

კვირას, 21 აგვისტოს, ღამის 11 საათზე და 5 წუთზე, „დეზერტირკას“ ბაზარზე გაჩნდა ხანძარი.

ცეცხლის გაჩენა პირველად გაიგეს საგუშაგოზე მდგომმა მილიციელებმა, **ჭელიძემ და ჩაჩხიანმა.**

ხანძრის გაჩენის შესახებ ჭელიძემ საჩქაროდ ტელეფონით აცნობა მეთორმეტე სამილიციო რაიონს, რომელმაც გამოიწვია ცეცხლისმქრობელი მეორე რაზმი. რაზმი დახლოვებით ათი წუთის განმავლობაში გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე, მაგრამ ერთი რაზმი უძლური გამოდგა საშინელ სტიქიასთან ბრძოლაში.

ჩქარა ამოვარდა დიდი ალი, რომელიც ემუქრებოდა ახლო-მდებარე სავაჭროებს და სახლებს.

პირველად ცეცხლი დაიწყო ბაზრის შუა ადგილიდან და ვრცელდებოდა მეტად ადვილად, რადგან დუქნები წარმოადგენს ხის შენობას.

მცირე ხნის შემდეგ გამოცხადდა აგრეთვე ცეცხლისმქრობელთა პირველი და მესამე რაზმი. მათ გამოცხადებამდე ცეცხლი უკვე მოედო მრავალ დუქნებს, საიდანაც ემუქრებოდა საქართველოს სატყეო ტერსტის ხე-ტყის საწყობს.

ბაზარს ცეცხლი ეკიდებოდა ორი მხრიდან და ამის გამო მდგომარეობა მეტად სახიფათო იყო. საჭირო იყო გაძლიერებული ცეცხლის რკალის გარღვევა, რომ რაზმი მუშაობას შესდგომოდა, რაც რაზმელებისაგან მოითხოვდა თავგანწირულ სიმამაცეს და გმირობას, ისინიც თავგანწირულად შეიჭრენ ცეცხლში და შეუდგენ მის ჩაქრობას. თავდაუზოგველი სწრაფი მუშაობით ცეცხლი სამი საათის განმავლობაში ჩაქრობილ იქნა სავსებით.

შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდენ თბილისის ცეცხლისმქრობელთა რაზმის ბრანდმაიორის მოადგილე **კლაჩკოვი,** ქალაქის კომენდატი **ლ. აბაშიძე,** სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები და პროკურატურის წარმომადგენელნი.

ხანძრის ამბავი სწრაფად მოედო მთელ ქალაქს და ხანძრის ადგილზე თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა. ყველა ახლობელი ქუჩები გაივსო.

წესრიგის დასაცავად გამოწვეული იქნა ჯარის ნაწილები, ცხენოსანი მილიცია და საუწყებო მილიციის თანამშრომლები.

ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ გამოირკვა, რომ დამწვარია 36 დუქანი და მათში მოთავსებული საქონელი.

დაიწვა ბაზრის ის ადგილი, სადაც მუშაობდენ ტანთსაცმელების, ქუდებისა და ფეხსაცმელების მოხელენი, უმთავრესად დაზარალდენ ხელოსნები.

ფეხსაცმელებისა და ტანთსაცმელების გარდა დაიწვა აგრეთვე საბაკალეიო და საწვირლმანო დუქნებიც.

ხანძარით გამოკვლეული ზარალი დაახლოვებით უდრის 50.000 მან.

უმნიშვნელოდ დაზიანდა საქართველოს სატყეო-ტრესტის ხე-ტყის საწყობი.

ბაზრის მახლობლად წყლის ნაკლებობის გამო რაზმელები იძულებული იყვნენ წყალი წამოეღოთ წყალსადენის სადგურიდან, რომელიც დიდათ დაშორებულია ბაზარზე.

ცეცხლის ჩაქრობის დროს მუშაობდა ექვსი ცეცხლისმქრობელი მანქანა.

უბედურ შემთხვევით ისარგებლეს ქურდბაცაცებმა და გაქურდეს აბასთუმანის ქუჩაზე მდებარე ათი დუქანი.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

დაზიანებულია აგრეთვე ექვსი დუქანი.

ხანძრის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია.

შესდგა სპეციალური კომისია ხანძრის გაჩენის მიზეზების გამოსარკვევად.

„სამება“ რომელიც ფლანგავდა რკინისგზის ფულებს

რკინის გზაზე ნარდათ მომუშავე მუშებისათვის ხელფასის მიცემის ასეთი წესი არსებობს:

თითოეული სალიანდაგო განყოფილების ცალკე უბანი ადგენს გზის სამმართველოში მოთხოვნილების ფურცელს, რომლითაც გამოაქვთ ფული და შემდეგ ამ ფულს ურიგებენ მუშებს.

რას არ გამოიგონებს გამფლანგველის „ჭკუა“. თურმე შესაძლებელი ყოფილა ამ წესის თავის ინტერესებისათვის გამოყენება, ყალბი საბუთების შედგენით, ამგვარად გზის სალაროდან ფულების გამოტანა და არხეინად მითვისება.

ეს „უდიდესი აღმოჩენა“ ეკუთვნის სალიანდაგო განყოფილების მე-6 უბნის უფროს მოანგარიშეს **ზალიკანიანს.**

ეს ახალმოდის „გამომგონებელი“ გასული წლის აგვისტოდან მოკიდებული აქნამდისინ ადგენდა მე-6-ე მომუშავეთა ხელფასის ყალბ მოთხოვნილების საბუთებს, გამოჰქონდა საკმაოდ თვალსაჩინო თანხა და ითვისებდა.

ამ „საბუთებზე“ „აწერდენ ხელს“ უბნის უფროსი, ბუხჰალტერი და კანტორის მოხელე. საბუთებისათვის საჭიროა განსაკუთრებული შტამპი გზის სამმართველოს საფინანსო - საანგარიშო განყოფილებისა. ეს საქმეც ძალიან იოლად მოაგვარა ზალიკანიანმა. მან ნამდვილი შტამპი გადაიღო შაპიროგრაფზე და შემდეგ ყოველთვის იოლად მიდიოდა ამ საშუალებით.

მუშების მაგიერობასაც თვითონ სწევდა—თვით აწერდა მათ მაგიერ ხელს. ასე, რომ ერთსა და იმავე დროს იგი „უბნის გამგეც“ იყო, „უბნის ბუხჰალტერიც“, „უბნის კანტორის მოხელეც“ და თვით „მუშებიც“.

ცხადია, ამ საქმეს მარტო ზალიკანიანცი ვერ შესძლებდა, ამისათვის მან „თანაშემწედ“ აიყვანა იმავე უბნის მოანგარიშე **ჯავახიშვილი,** და ორთავემ გაინაწილეს „მძიმე შრომა“.

გარდა ამისა, საჭირო იყო გზის სალაროში „საიმედო“ კაცის ყოლა.

ზალიკანიან - ჯავახიშვილმა გზის სალაროში გაიჩინეს „საიმედო“ პირი: ადგილობრივ თანამშრომლის **ანდღულაძის** სახით (თბილისის სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი).

მომავალ ინჟენერს გამოჰქონდა სალაროდან ფულები ამ ყალბი მოთხოვნილების ფურცლებით.

ასე გრძელდებოდა თითქმის ერთ წელს. ეჭვი არავის შეპარვია ამ საბუთებში. ისე იყო მოწყობილი „საქმე“.

დადგა ზაფხული, დაიწყო შვებულებების პერიოდი.

„საგმირო საქმეებისაგან“ მოქანცული „სამების“ წევრებმაც მიაშურეს აგარაკებს, ზალიკანიანი ვერ დაკმაყოფილდა ადიგლობრივი აგარაკებით და თავის ცოლ-შვილით მიაშურა ანაპას.

ჯავახიშვილი მოეწყო წაღვერში.

ანდღულაძემ რომელი აგარაკი ამოირჩია არ ვიცით.

ამ პირების შვებულებაში წასვლის შემდეგ, გამოირკვა მთელი ამ ბნელი საქმის საიდუმლოებანი. დაიწყო კვლევა - ძიება; მიაგნეს კვალს. მიაღწია ამ ამბავმა აგარაკებზე მყოფ „სამების“ წევრების ყურამდე. ზალიკანიანმა მიატოვა ანაპაში ცოლ - შვილი და მოკუსლა.

ა.-კ. საგზაო - სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტ - სამმართველოს თანამშრომლების მიერ მიღებულ ზომებით **გუშინ დაპატიმრებულ იქნენ ზალიკანიანი და ჯავახიშვილი. ანდღულაძე** უფრო ადრე დააპატიმრეს

მათ მიერ გაფლანგული თანხა უდრის 26.533 მანეთს.

ა—ნი.

ბიბლიოგრაფია

მ. იაროსლავსკი

„ახალი“ ოპოზიციის გზა

სახელგამი, 1927 წ. გვ. 96, ფასი—45 კაპ.

ბროშიურაში „ახალი“ ოპოზიციის გზა“ ამხ. იაროსლავსკი ეხება ოპოზიციის ფრაქციულ ბრძოლას საკ. კომ. პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. იაროსლავსკი არკვევს ოპოზიციის პრაქტიკული საქმიანობის პრინციპიალურ საფუძვლებს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ახალ გაერთიანებულ ოპოზიციას არამც თუ არ შეუწყვეტია 16 ოქტომბრის განცხადების შემდეგ ფრაქციული გამოსვლები, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა იერიშები პარტიის წინააღმდეგ და „უბრალო ქაღალდის ნაგლეჯად“ აქცია თავისი დაპირებანი პარტდისციპლინის დაცვის შესახებ.

ამხ. იაროსლავსკი აქვეყნებს თავის წიგნაკში მრავალ ისეთ დოკუმენტს ოპოზიციის სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთ დამოკიდებულებებიდან, რომლებიც ცხადყოფენ, რომ განხეთქილებასა და უთანხმოებას ადგილი აქვს თვით ოპოზიციაში. ამა წლის დასაწყისში თვით ოპოზიციაში ჩნდება „მემარცხენე“ ოპოზიციონური ჯგუფი საპრონოვისა და სმირნოვის მეთაურობით, რომელიც უპირისპირებს თავის თავს ტროცკისა და ზინოვიევის პოზიციას და გამოდის თავისი განსაკუთრებული პლატფორმით.

ეს ჯგუფი ბევრად აჭარბებს „მემარცხენეობაში“ ტროცკისა და ზინოვიევს და თავის პლატფორმის პროექტში მოითხოვს აქტიურ გადაჭრით ბრძოლას პარტიის უმრავლესობის პოლიტიკის წინააღმდეგ. პარტიის ცეკას პოლიტიკას ეს „მემარცხენე“ ჯგუფი ახასიათებს, როგორც პარტიის საბოლოო ლიკვიდაციის პოლიტიკას. დოკუმენტები, რომლებსაც აქვეყნებს იაროსლავსკი ცხადათ აშკარავებენ თუ რამდენათ ღრმად ჩაეფლო ოპოზიცია ფრაქციულობის ჭაობში და რა დიდი მანძილით დასცილდა იგი ლენინიზმს.

ავტორს მოჰყავს მრავალი ფაქტები ოპოზიციის ფრაქციული და ანტი-პარტიული მოქმედების შესახებ—ზინოვიევის გამოსვლა გაზეთ. „პრავდას“ 15 წლის იუბილეს თავზე, ამხ. სმილგას საქციელი და ანტიპარტიული დემონსტრაცია სადგურზე სმილგას ციმბირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარეთ გამგზავრების გამო ხაბაროვსკში, ტროცკის გამოსვლა კომინტერნის მე-8-ე პლენუმზე და მრავალი სხვა მოქმედება, რომელიც არსებითად ეწინააღმდეგება პარტიის მე-14 ყრილობის დადგენილებებს. ყოველივე ეს კი საბუთს აძლევს ამხ. იაროსლავსკის განაცხადოს, რომ ოპოზიცია თვითონ თავისი მოქმედებით ისეთ მდგომარეობაში აყენებს თავს, რომ მას არ შეუძლია ლოიალურად ემსახუროს პარტიას, ბოლომდე გულწრფელად დაიცვას პარტიის ხაზი.

იაროსლავსკი თავის ბროშიურაში იხილავს „უკიდურეს მემარცხენეთა“ განცხადებას—ოპოზიციის 15 მომხრეთა მიერ ხელმოწერილ საბუთს, 83-ის პეტიციას, წარდგენილს ცენტრ. კომიტეტში და „მემარცხენე“ ოპოზიციონერთა „ბუფერულ“ პლატფორმას, რომელიც ცნობილია პარტიაში, როგორც „ქვრივის წერილი“. ამ უკანასკნელი წერილის ავტორების მიზანია ერთგვარი შემარიგებელი საშუალო ხაზის გამოძებნა, ივიწყებენ რა იმას, რომ პრინციპიალურ უთანხმოებათა დაფარვის და მიჩქმალვის პოლიტიკა დამახასიათებელია ოპორტინისტული პარტიებისათვის, ხოლო კომუნისტური პარტიის სიმტკიცე და მთლიანობა სწორედ ასეთ პრინციპიალურ უთანხმოებათა დაძლევის შედეგია.

საერთოდ ავტორი მოკლეთ ეხება ოპოზიციასთან ყველა მთავარ სადაო საკითხებს და ნათელყოფს იმ წინააღმდეგობათა ჩიხს, რომელშიაც მოემწყვდა ოპოზიცია, რაც საბოლოოდ იწვევს მის იდეურ გახრწნას.

ნ. გ—ა.

სპორტი

ველოდრომის გახსნა

კვირას 21 აგვისტოს მოხდა თბილისის ახლად შეკეთებულ ველოდრომის საზეიმო გახსნა. გახსნა დაიწყო თბილისის ყველა ველოსიპედებით მრბენთა აღლუმით.

აღლუმის შემდეგ ფიზკულტურის თბილისის საბჭოს პას. მგ. მდივანმა **კვინიხიძემ** წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც გააშუქა ველოსპორტის ხასიათი და მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა იმ მძიმე პირობებს, რომელშიაც უხდება განვითარება ამ სპორტს თბილისის მასშტაბით.

შეჯიბრის წინ დიპლომები და მოწმობები დაურიგეს იმ პირებს, რომელთაც გაიმარჯვეს შარშანდელ ველო - შეჯიბრში.

ჯილდოები მიეცა: 1926 წ. თბილისის ჩემპიონს **არსენიევს, რუდენკოს, ანდრეევს, წვერიანოვს, მიკირტუმოვს და ტატანიანცს.**

დიპლომები დაურიგდათ შარშან თბილის-ქავკავ—თბილისის მარშრუტით მოწყობილ ველოგადარბენის მონაწილეებს: **სტეფანოვს,** (რომელმაც გადარბენაში დაიკავა პირველი ადგილი), **მერაბოვს** (მეორე ადგილი) და **სილოვს** (მე-3 ადგილი.)

ამის შემდეგ დაიწყო შეჯიბრი წრის შემორბენაში. პირველად დაწესებულ იქნა დისტანცია 1 კილომეტრის მანძილზე. პირველ რიგში **ჯანპოლოდოვმა** მოუგო **ლეკსუტკინს** და მანძილი დაფარა 2 წ. და 59 წამის განმავლობაში. მეორე რიგში **სტეპანიანცმა** მოუგო **ჟუკოვსკის** და მანძილი დაფარა 2 წ. 30 წამში. შემდეგ: **გრიგორიანი** უგებს **ფირსოვს** და მანძილს ფარავს — 3 წ. 59 წამში და **ლეკსუტკინი — ნესტოროვს** (მანძილი დაფარა 2 წ. და 6,9 წამში).

პირველ შეჯიბრში უფრო საინტერესო იყო წრის შემორბენა ორ საუკეთესო სპორტსმენის **არსენიევის** და **სესხავინის** მიერ. პირველად მივიდა ფინიშთან არსენიევი, რომელმაც 200 მეტრი გაიარა 18 წამში.

მეორე შემორბენაში **სტეპანოვი** უგებს **ფირსოვს.** პირველად 200 მეტრის მანძილი გაირბინა 18.9 წამში.

სასტაიერო (როდესაც სპორტსმენი ველოსიპედით მისდევს მოტოციკლეტს) პირველ შემორბენაში (მანძილი 4 კილომეტრი) **გრიგორიანი** უგებს **წვერიანოვს** და მანძილს ფარავს 7 წუთისა და 13.5 წამის განმავლობაში.

მეორე შემორბენაში **სტეფანოვი** უგებს **ლეკსუტკინს** და მანძილს ფარავს 6 წუთში და 39 წამში.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს: **საწარმოო კვალიფიციურ მუშათა პირველი სექცია:** შატიაშვილი, ანა, გასპაროვა ანა, ნინიძე ვლადიმერ, პოგოსოვა სოფია, პოზიევა შუშანიკა, ბეგლანიანც, მამულაშვილი სოფია, ბაგრატიონი დარია; **გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია:** აბანოვი ლევან, მელიქ ბაღდასაროვი; **შავ მუშათა მესამე სექცია:** ნიკიტინა ვარვარა, შახნაზაროვი ფანია, ბაკურაძე ერმილე, მელაშიკოვ მარია. **მეხუთე სექცია:** ვოსკანიანც ჰაიკ, იუნაწოვ აბრამ, კარამიშევ ვასილი, პარადივ პირია, სარიბეკოვ მიმას, ვარდიევი სამსონა, ბიტაბრამ იაკობ.

ნარევი

ლოიდ-ჯორჯის ფინანსიური ოპერაციები

ამ რამოდენიმე ხნის წინათ **ლოიდ ჯორჯმა დავიდ იულსა და ტომას კატტოს** მიჰყიდა თავისი გაზეთი „დეილ ქრონიკლ“ და ხუთი პროვინციალური გაზეთი, რომელთა კონტროლი მის ხელში იყო. სულ ამ გაზეთებში ლოიდ ჯორჯმა მიიღო 2.900.00 გირ. სტერლინგი (29 მილიონი მანეთი), აქედან 1.750.000 სტერლინგი ნაღდ ფულად, დანარჩენი თანხის კი—„დეილი ქრონიკლის“ აქციები.

ახალ პირების ხელში გადასვლით, როგორც ინგლისური გაზეთები იუწყებიან, გაზეთების პოლიტიკური ფიზიონომია, „არ იცვლება“. დადებული ხელშეკრულება შეიცავს ზოგიერთ მუხლებს, რომელთა მიხედვით, „დეილი ქრონიკლმა“ უნდა გაატაროს პოლიტიკური ლიბერალიზმის ხაზი და აწარმოოს ბრძოლა როგორც რეაქციონერებთან, ისე კომუნისტებთან. ლოიდ ჯორჯს 1937 წლამდი რჩება უპირატესობა უკანვე შეიძინოს თავისი გაზეთი. ლოიდ-ჯორჯმა დაიტოვა აგრეთვე უფლება, რომ თუ ამას მოისურვებს, თავისი უფლებები გადასცეს ლიბერალების საპარლამენტო ფრაქციის ლიდერს.

გაზეთების წრეებში „დეილ ქრონიკლ“-ის გაყიდვას თვლიან ლოიდ-ჯორჯისათვის მეტად ხელსაყრელ ოპერაციათ—რადგან მან მიიღო ნაღდათ 1.750.00 სტერლინგი და შეინარჩუნა კონტროლი გაზეთებზე.

ლოიდ-ჯორჯის ამ ფინანსიურ ოპერაციასთან დაკავშირებით კვლავ ალაპარაკდენ ლიბერალური პარტიის სპეციალური საარჩევნო ფონდის შესახებ, რომელიც ლოიდ-ჯორჯის პირად გამგებლობაში იმყოფება. ამ ფონდის რაოდენობა, მისი წყაროები და აგრეთვე ხარჯვის წესი, საიდუმლოებით არის მოცული. ლოიდ-ჯორჯი კი სდუმს ამის შესახებ.

„ღვთისმშობლის“ აფეთქება

ამ რამოდენიმე ხნის წინათ, რომის ახლო, სოფ. პინოში აფეთქებულ იქნა მადონას („ღვთისმშობლის“) ცნობილი ქანდაკება. პირველად, ფიქრობდენ, რომ ქანდაკებას მეხი დაეცა და მან გამოიწვია მისი დაღუპვა. მაგრამ შემდეგში გამოირკვა, რომ ქანდაკება ვიღაცამ ააფეთქა. ადგილი, სადაც ქანდაკება იდგა, დიდძალ მლოცველებს იზიდავდა.

იმავე ხანებში პოლიციამ ყურადღება მიაქცია ერთ ახალგაზრდა მუშას, რომელიც დაპატიმრების შემდეგ გამოტყდა, რომ „ღვთისმშობელი“ მან ააფეთქა. დაპატიმრებულმა განაცხადა, რომ მას სძაგს ქრისტიანობა და რომ არ დაეპატიმრებიათ, იგი ააფეთქებდა „წმინდა კიბესაც“ და საკურთხეველსაც, სადაც ეს კიბე დადგმულია.

„წმინდა კიბე“ შესდგება მარმარილოს 28 საფეხურიდან. ლეგენდის თანახმად ის იმპერატრიცა, ელენემ მოიტანა იერუსალიმიდან და დადგა ძველ ლიუტერანულ ტაძარში. პაპა სიქსტ V-ეს განკარგულებით კიბე სასახლიდან გადატანილ იქნა სპეციალურად აგებულ საკურთხეველში, სადაც დადგმული იყო ქრისტეს „სასწაულთმომქმედი“ ხატი. სალოცავად მოსული დედაბრები მუხლზე ფორთხვით ადიოდენ „წმინდა“ კიბეზე, რომ მთხვეოდენ „წმინდა“ ხატს.

ხუცები ძლიერ აღაშფოთა „ანტიქრისტეს“ „მოციქულის“ საქციელმა და სასტიკ სასჯელს მოითხოვენ „ერეტიკოსისათვის“.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 60

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ

რათა არსებული საბინაო ფონდი დაცულ იქნეს და საბინაო ქირა დაუახლოვდეს ისეთ რაოდენობას, რაც საჭიროა საბინაო მეურნეობის ხარჯების ასანაზღაურებლად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ქალაქებში საბინაო ქირისა და ბინების სარგებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ 1926 წლ. ივნისის 4-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა (სსრ კავშირის კანონთა კრებული 1926 წლ. № 44, გვ. 312)—ადგენენ:

1. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ბინის ქირას დააწესებს ქვემოაღნიშნული მუხლების საფუძველზე:

2. ყველა ის პირი, რომელსაც უჭირავს საცხოვრებელი სადგომი, როგორც ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაციაქმნილ, მფლობელობაში (მიუხედავათ იმისა, თუ ვის მართვა-გამგეობაშია იგი გადაცემული), ისე კერძო ფლობელობის სახლებში, ვალდებულია გადაუხადოს სახლის სამოურაოს (სახლის მფლობელს, საბინაო ამხანაგობის გამგეობას, სახლის მართველს და სხვ.) ბინის ქირა, თანახმად სამაზრო აღმასკომის დადგენილებისა, რომელი დადგენილებაც გამოცემულ იქნება ამა დადგენილების საფუძველზე.

შენიშვნა: ეს დადგენილება არ გავრცელდება სასტუმროებზე, ახლად აგებულ, დამთავრებულ და აღნაგობის ხელშეკრულებით აღდგენილ სახლებზე და აგრეთვე იმ სადგომებზე, რომელნიც საკურორტო ადგილას მისულთ სეზონის განმავლობაში უჭირავთ.

3. ბინის ქირა გამოიანგარიშება მხოლოდ საცხოვრებლად ვარგისი სივრცის მიხედვით (სამზარეულო, წინა მისავალი ოთახი, დერეფანი, აბაზანა და სხვ. ანგარიშში არ მიიღება).

4. ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება თვითეულ კვადრატიულ მეტრზე თვეში.

5. იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომელნიც თვეში 125 მანეთს იღებენ, დაწესდება ბინის ქირის მინიმუმი—3 კაპ. (იმათთვის, ვინც 20 მანეთზე ნაკლებს იღებს) და მაქსიმუმი—28 კაპ. თვითეულ კვადრატიულ მეტრზე თვეში.

იმ პირთათვის, რომელნიც თვეში 125 მან. მეტს იღებენ, საბინაო ქირის განაკვეთი დაწესდება შემდეგი რაოდენობით: ყოველ 25 მანათზე, 275 მანეთამდის, 125 მანეთისათვის დაწესებულ განაკვეთს დაემატება 3 კაპ., ხოლო 275 მან. ზევით—4 კაპ. მეტრზე.

6. ბინის ქირის გამოანგარიშების დროს სათვალავში არ მიიღება მუშა-მოსამსახურის ზედმეტი და ნაჭრობით მუშაობის სასყიდელი და არც იმ პირთა სპეციალური დატვირთვის გასამრჯელო, რომელნიც შრომის ხელფასს პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფით იღებენ.

შენიშვნა: სამხედრო მოსამსახურენი ბინის ქირას გადაიხდიან ძირითადი განაკვეთის მიხედვით.

7. ის პირი, რომელიც სამუშაო ხელფასს პერსონალური თუ სპეციალური განაკვეთით იღებს, ან შეთავსებით მუშაობს რამდენიმე დაწესებულებაში, ან და რომელსაც, სასამსახურო სამუშაო ხელფასის გარდა, აქვს თავისუფალი პროფესიის შემოსავალი მე-16 მუხლის შენიშვნა), აგრეთვე ის პირი, რომელიც თავისი მტკიცე განაკვეთის დამატებად იღებს განსაზღვრულ მუდმივ სადასატვირთო გასამრჯელოს—ტანტიემას, საკომისიო და პროცენტულ ანარიცხს—ბინის ქირას გადაიხდის მთლად თავისი საერთო თვიური სამუშაო საშოვარის რაოდენობის მიხედვით, მხოლოდ რათა იგი ბინის ქირის გადახდის მხრივ გათანასწორებულ იქნეს მე-5 მუხლში აღნიშნულ პირებთან, საბინაო ქირას გადაიხდის შემდეგის მონაკლებით საერთო თვიური საშოვარზე: ვინც იღებს 100 მანეთამდე, მოაკლდება 15 პროც., 100-125 მ-დე—20 პროც., 125-150 მანეთამდე—25 პროც. და 150 ზევით—30 პროც.

8. წინა მუხლებში ჩამოთვლილი პირნი მოვალენი არიან თავის დროზე წარუდგინონ სახლის სამოურაოს შესაფერი ცნობები მათი სამუშაო ხელფასის რაოდენობის შესახებ.

9. უმუშევარი, რომელიც პროფკავშირის წევრია, ან რომელსაც აქვს სოციალური დაზღვევის უფლება, გადაიხდის ბინის ქირის მინიმუმს.

10. მარტოხელი მუშა, დღიური მუშა, ბინაზე მომუშავე პირი, მუსიკოსი, კერძო მასწავლებელი და სხვ., ვისაც მუდმივი სამუშაო არა აქვს, ქირას გადაიხდის:

ა) პროფკავშირის წევრი—პროფკავშირის წევრად მყოფი სათანადო კვალიფიკაციის მუშების თანაბრად კავშირის ცნობის მიხედვით;

ბ) არა წევრი პროფკავშირისა—სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უმეტეს 45 კაპიკისა.

11. სასარეწაო და შრომის ქარტელის წევრი ქირას გადაიხდის:

ა) ვინც მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაო ხელფასს იღებს, გადაიხდის ისე, როგორც დაქირავებით მომუშავე პირი;

ბ) ვისაც არა აქვს განსაზღვრული მტკიცე სამუშაო ხელფასი—სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უმეტეს 45 კაპიკისა.

12. შინამრეწველი და ხელოსანი, რომელიც შინამრეწველთა და ხელოსანთა საზოგადოების წევრად ირიცხება, ქირას გადაიხდის:

ა) ვისაც დაქირავებული მუშა არ ჰყავს მხოლოდ ერთი მუშა-სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უმეტეს 45 კაპიკისა.

ბ) ვისაც ერთზე მეტი დაქირავებული მუშა ჰყავს—სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უმეტეს 70 კაპ.,

(დასასრული იქნება)

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივლისის 4.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

29 აგვისტოს, დილის 8 საათზე ც. კ. ქალთა განყ. მოწვეულია სრულიად საქართველოს ჯამაგირიან მომუშავე **ქალთა ორგანიზატორების თათბირი.**

შემდეგი დღის წესრიგით:

1) საერთაშორისო მდგომარეობა,
2) სადელეგატო კრებების ხელ-ახალი არჩევ [illegible] არჩევნები.
3) მასსიური მუშაობა.
4) ადგილებიდან მოხსენებები.
5) ქალთა გასამხედროება.
6) კომკავშირში ქალიშვილთა შორის მუშაობა.
7) მიმდინარე საკითხები.

ხსენებულ ზემოაღნიშნულ თათბირზე სავალდებულოა ყველა ჯამაგირიან ქალთა ორგანიზატორების დასწრება.

ცეკას ქალთა განყოფილების მდივანი **ბერიძე.**

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ 23 აგვისტოს, საღამოს ექვს საათზე. პროფსაბჭოს პატარა დარბაზში შესდგება საინსტრუქციო თათბირი ქალაქის რაიკომის კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების მდივნებისა და აგიტპროპორგანიზატორების.

კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების მდივნებისა და აგიტპროპორგანიზატორების გამოცხადება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომა შესდგება დღეს, 23 აგვისტოს საღამოს ექვს საათზე. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებას ოთახში.

საქართველოს რემედსის ცეკა იტყობინება, რომ დღეს 23 აგვისტოს საღამოს ექვს საათზე შესდგება პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება ყველა პრეზიდიუმის წევრებისა სავალდებულოა.

საქ. რემედ. ცეკა.

ქალაქისა და სოფლის კავშირისათვის ხელშემწყობ საზოგადოების თბილისის სახალხო პრეზიდიუმის სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 24 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საფინანსო განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის საფინანსო განყოფილებაში დილის 9 საათიდან—2-დე.

სურხატიანი („მარტაკოჩი“) ვ. სუტირინი („ზარია ვოსტოკა“), პ. საყვარელიძე (სახელგამი), ე. სეფას (ზაკკნიგა) სოსიანი, სულუხია, ვ. სევერინი, გ. სემიხი, არ. ტერარუთინოვი, სეკ. თალაკვაძე (სახელგამი), შალვა ტაბიძე (სახელგამი), ალ. ტატიშვილი, ი. თალაკვაძე, დ. ტერ-სიმონიანი, ალ. თათარიშვილი..

ოთხშაბათს 24 აგვისტოს დილის რვა საათზე ცეკას **ქალთა განყოფილებაში მოწვეულია თათბირი.**

ყველა ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

1) შავერდოვა—(ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი), 2) ლოლობერიძე (ც. კ.) 3) მაშკივიჩი—(ც. კ.), 4) იმედაძე—(ც. კ.), 5) ზელიაევსკაია (ტ. კ.), 6) გობეჩია (ა. ლ. კ. კ: ც: კ:), 7) კომახიძე (მიწა-ტყის კავშ.), 8) თალაკვაძე—(ქალთა მდგომ. გამაუმჯ. კომისია), 9) გეგეშიძე (პირველი რაიკომი), 10) მიხაილოვსკაია—(მეორე რაიკომი), 11) ჩილ-აკოპიანი (მესამე რაიკომი). 12) ანდრიაძე (მეოთხე რაიკომი).

ც. კ. ქალთა განყ. მდივანი **ბერიძე.**

მიღებულია კინო-სურათი
რომელმაც მიიღო
≡ 1 ≡
ჯილდო
ამერიკაში გამართულ კონკურსზე
„სკარამუშ“
რეჟისორი—რექს ინგრემ.
მთავარ როლებში:
რამონ ნავარო და ალისა ტერრი.
ნაჩვენები იქნება:
დღეიდან საზაფხულო კინო-თეატრებში
აპოლოში და დარბაზში
1 სეანსის დასაწყისი საღ. 7 ს. 45 წ.
ნ. 1606. 1—1.

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო
(არტოს ბაღში).
0—13 ნ. 1388

დიდი წარმატების გამო გრძელდება გრანდიოზული კინო-რომანის ჩვენება, რომელიც შესდგება 10 ნაწ.
„გოლიათების ბრძოლა“
მსოფლიოში განთქმული კინო-სურათი, რომელმაც მიიღო პირველი ჯილდო ამერიკაში გამართულ კონკურსზე
„სკარამუშ“
რეჟისორი— რექს ინგრემ
მთავარ როლებში: რამონ ნავარრო და ალისა ტერრი
1 სეანსის დასაწყისი 7 ს. 45 წ.
ანონსი: ამ დღეებში რიჩარდ ტოლმეჯი განთქმულ კინო-სურათში „ცრუ ატტორნეი“

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ოთხშაბათს 24 აგვისტოსთვის დღის 12 საათ. პუშკინის ქ. № 33 სახელმწიფო დავალიანების ასანაზღაურებლად დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება 300 ვედრა კახური ღვინო კასრებით
ნ. 1607

ქ. თბილისის მე-4 უბნ. სახ. სასამართლ. აღმასრულებელი ს. გავსოვიჩი
ამით აცხადებს, რომ ის 26 აგვისტოს 1927 წ. დღის 11 საათ. სახლში № 144 პლეხანოვის ქუჩ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის ელისაბედ ალექსანდრეს ასული ლაბაურის მოძრავ ქონებას: სამი მაგიდა, ორი სკამი, სარკე, კამოდი, სამოვარი და სხვ. შეფასებულს 55 მან. „შინამრეწვკრედიტი“-ს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის პირველი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 20 მაისის 1927 წ. თარიღით, № 1825 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. 3615

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს რდაპირ 3

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა. № 3. 25—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 3334 ბორის გიორგის-ძე ბარამიძეს სახელზე, ჩ. გ. 3639

დაკარგა პასპორტი № 21467 კავშირის წიგნაკი № 3882 და პარტბილეთი № 0859805 არშაკ-იორამოვის სახელზე ჩ. გ. 3637

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი დარეჯანი მათითაიშვილის სახელზე ჩ. გ. 3641

დაკარგა სამხედრო საარიცხვო ბარათი, და მეტრიკული ამონაწერი გიორგი ფილიპეს-ძე ომიაძეს სახელზე ჩ. გ. 3643

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი ოლღა შიოს ასული ქუნდუხაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3644

დაკარგა ნასყიდობის ქაღალდი ბესარიონის ასული შავგულიძეს სახელზე ჩ. გ. 3636

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი გურამი ვლადიმერის-ძე კორძაიას სახელზე, ჩ. გ. 3640

დაკარგა პასპორტი № 50065 მორდეხა ისხაკის-ძე ბიბიაშვილის სახელზე ჩ. გ. 3637

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი № 21 მამია გიორგის-ძის თავართქილაძის სახელზე, ჩ. გ. 3638

დაკარგა წითელ-არმიელის წიგნაკი № 48 გალაქტიონ კონსტანტინეს-ძე გვგუაძეს სახელზე, ჩ. გ. 3634

დაკარგა თბ. დამზღვევ სალაროს წიგნაკი იოსებ ზაქ. იმედაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3642

ალმასკომის სტამბა. კამოს ქ. 6ა